III

პარი მესამე

ყარამანიანი

ხალხურ ლიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან, «საამოთ სასმენელი».

გამოცემა შეორე.

საკუთარის რედაქციით გამოცემული

დ. ლაზარევის-ძიერ.

თბილისი.

სტამბა ტ. ბ. როტინიანცისა, გოლოვინსკი პროსპ., № 39.

1916.

III

კარი მესამე

უარამანიანი

აქ რაჭინდის ძმის სინდთა ხელმწიფის ქეთან-შაჰის მოსვლა, უშანგის საბრძოლველად ურიკსვის ჯარით, ხოსროეშირისა და გულჩინის ომბავი. ქეთან-შაჰისაგან ჯარამიჯინისა და ოჰეალი-ჯადოს მოკვანა მათ საბრძოლველად.

ეს ქამად ინდოეთი სამ სახელმწიფოთ იყო გაყოფილი, სამნი ძმანი ხელმწიფობდნენ. უფროსს ძმას სახელად რაიაზამ ეწოდებოდა, ცხრაასის ციხის მქონებელი იყო, ოთხი ათასის ქალაქისა, ათასოთხასის კუნძულისა.—მეორე ძმას ქეთან-შაჰ ეწოდებოდა, ათას-სამასის ციხის მქონებელი, სამი-ათას-შვიდასის ქალაქისა და კუნძულისა.—მესამე ძმას რაჭინდი ერქვა, ხუთას-სამოცის ციხისა და რვაასის ქალაქის მქონებელი. ესე რაჭინდი იყო რომლის საბრძანებელი უშანგმა დაიპყრო. ამისი ქვეყნის დაპყრობა, შუათანა ძმას სინდთა ხელმწიფეს ქეთან-შაჰს მოახსენდა რომ „თქვენს უმაღლესობას ესრედ მოახსენდეს, მუჰლელ-ლან ხელმწიფის შვილი უშანგ-შაჰ, წამოსულა ინდოეთის სახელმწიფო მთლად დაუპერია და რაც დიდრონი კაცები ყოფილან ყველასათვის თავები დაუჭრია. შემდეგ თქვენ ძმა რაჭინდს მრავალი ჯარები შეუყრია და სპანდიერბარიც მოუწვევია თავის შემწედ, მაგრამ უშანგს ერთი სახელოვანი ფალეანი ჰყავს, რომელსაც სახელად ყარამანი ეწოდება, იმას ერთი დაკერით სპანდიერბარი მოუკლავს და სარეიხურამანიც ცხენიდამ ჩამოუგდია. თქვენ ძმა რაჭინდს, რომ ომით ვერა გაუწყვეტია უშანგს დამორჩილებია, მისი მონა შექმნილა და თვისი ქვეყნებიც მისთვის მიუცია და თავისი ქალი სარეიხურამანიც ყარამანისთვის. შემდეგ უშანგ-ხელმწიფეს ბევრი ქვეყნები ისევ რაჭინდისთვის უბოძებია და ეხლა კი უშანგი ისევ იმის სახელმწიფოში ბრძანდება". —

რა სინდთა ხელმწიფემ ესე შეიტყო, ძრიელ განრისხდა, ისეთი ხმით შესძახა რომ თაეს ნაზირ-ეეზირნი და ფალეეანნი ყველა გაკვირდნენ და ერთმანერთს ყურება დაუწყეს. ქეთან-შაჰ ისე განრისხდა რომ ხან ადგა, ხან დაჯდა, მცირე ხანს ნემდეგ დაშშეიდდა და თეისთა დიდებულთა უბრძანა: გაიგეთ ჩემ გიე ძმას რა ჩაუდენია? რომელიც ინდოეთის მპყრობელი იყო, წასული და ერთს ერანელს ყოფობია, ის ჩემი ძმობის ლირსი აღარ არის. ან ის უშანგი ფინ არის რომ ინდოეთს მოეიდეს და იმისთანა საქმეები ჩაიდინოს!? — ამლა სულობია რომ წაეიდე არც ჩემი ძმა გაუშვა ცოცხალი და არც ის უშანგი. მერე წაეიდე და ერანის სახელმწიფოს ისე გაეაოხრო რომ სულ სპილოების ფეხ-ქვეშ გაეაპტეერო.

მაშინვე მცირე ლაშქრით წასული დაპირა, მაგრამ დიდებულთა მცირე ლაშქრით დაუშალეს და მოახსენეს: „ხელმწიფეო, მცირე ხანს დაწყნარდით და სხვა ქვეყნებიდამ ლაშქარი შეეკრიბოთ, ყველა ქვეყნებში წერილები მისწერეთ რომ ჯარები შაჰარი-რომის ქალაქს მოეიდნენ და იქ შეგეკრიბნენ. თქვენ უფროსს ძმასაც წიგნი მისწერეთ და დაიბარეთ, ქუი სანგისტანში სპანდიერის ძმა არის ყარამიჯინი ისიც მოეიდეს. ჰუი-ათეშიდამ აზრაილ-ჯადო რომ მოკლა გარდან ქეშანმა, იმისი ძმა ოჰყალი-ჯადოც, რომ იმათ თაეიანთ ძმების სისხლი აილონ". ესეც უნდა იცოდეთ ხელმწიფეო რომ უშანგი მცირე ეინმე არ გეგონოთ, რაც ის ცხენს ამხედრებულა და ხმალი წელს შემოუჭერეაეს და ერანიდამ გამოსულა, რომელ ქვეყანასაც მისდგომია, ვერც ერთ ქვეყანას ვერ გაუძლია. სამოცდაათი წელიწადი იქნება რომ მისი ჯარი არაეისგან დამარცხებულა. ეხლა ფარ-მეფეს ხელმწიფის შეილი ყარამან-ყათილი მას ახლაეს, ხომ მოგეხსენებათ, სანგისტნის სულთანს სპანდიერს ყაფის მთის დევები ვერ გაუძლებდნენ, მაგრამ ყარამანმა ერთი დაკვრით შუა გაჰკვეთა ცხენითურთ. ეხლა ის უშანგ-შაჰის ტახტის პირველი ფალეეანია, იმის პასუხის გაცემა არაეის შეუძლიან, თუ არ ოჰყალი-ჯადოს და ყარამიჯინს.

ესეთი რჩევა ძლიერ მოიწონა თაეის დიდებულებისა და ბრძანა: „მე უშანგისთანა კაცისთეის ჩემ უფროსს ძმას არც წიგნს მიეწერ და არც ჯარს დაეიბარებ, მხოლოდ ყარამიჯინს და ოჰყალი-ჯადოს კი დაეიბარებ".

მაშინვე ერთი წიგნი ყარამიჯინს მისწერა და მეორეც ოჰყალი-ჯადოს და სხვა ქვეყნის ჯარებსაც მოიწეია. ერთი წიგნიც თაეის ბი-

ძას მისწერა და სარჯანი-ჰინდოც დაიმარა, რომელსაც ექვსი კუნძული ეჭირა, დიდი გულოვანი და ხელოვანი ფალეანი იყო. იმას თმაში ვერავინ გაუძლებდა ბრისხანების დროს შესი ჰირსანეზე შეხედვა დეესაც კი გაუმწელდებოდა, მიშინ ნალეელა გაუსქდებოდა, სამი ხელმწიფე ყოველ წელიწადს სარჯანს ხარჯს აძლევდა. სარჯანს ერთი ქალი ჰყავდა სახელად გულჩინი ეწოდებოდა, იმას სილამაზით ინდოეთში არავინ შედრებოდა. ამ გულჩინსაც სარეიბურამანიეთ ‹‹ყარამანის ცოლიეთ›, ფიქრი ჰქონდა, ესე რტყოდა: ვინც მე მომეძრეა მოედანზე იმას შეეირთავო. ბრაეალი ქვეყნის დიდებულნი მოდიოდნენ მის შესართავად მაგრამ ამ ქალის ხელით იხოცებოდნენ, ისე რომ ვერავინ გაუსწორა ომი, ორმოცდათხი ძმა ჰყავდა, რომელნი ისინიც კი დიდ ძალოვანნი ფალეანნი იყვნენ, მაგრამ როდესაც თაეის დას შებმოდნენ ყველას ერეოდა. მარაღის მისი საკმელი, ლომისა, ვეფხისა, ბაბრისა და ფალანგის ხორცი იყო. ხუთი ექვსის თვით სანადირიოდ იყო ხოლმე მინდორსა შინა. ომში სალეიბურამანის მეტი ვერავინ უძლებდა. გულჩინსაც ერთი წიგნი მისწერა.

აქ ყარამიჯინის მოსვლა, ქეთან-შაჰას შეძწედ.

როდესაც ყარამიჯინმა თაეის ძმის სიკვდილის ამბავი შეიტყო, გაბრაზებული ძალლივით თაეის ხორც გლეჯა დაუწყო, ხან ადგა, ხან დაჯდა, ჯაერით არ იცოდა რა ექმნა, „მაშინვე დაიძახა ჩემი იარაღი ნახეთო, ახლავე უნდა ვაეიდე და ჩემი ძმის სპანდიერის სისხლი უნდა აეიღოო“. იმ ჟამად ქეთან-შაჰას წიგნიც მიუეიდა, რა იგი წიგნიც წაეკითხა, მაშინვე ოთხასი ათასი კაცთა მეომელი მარდუხორმები შეჰყარა, დღე და ღამ გაასწორა, შაჰარიარომს მოეიდა. რა ქეთან-შაჰას მისი მოსელა მოხსენდა მაშინვე წინ მიეგება და ლაღის პატივით შეიყვანა. სინდის დიდებულნი შემოეიდნენ მიესალმნენ და პატივით მიეკითხეს.

შემდეგ, ქეთან-შაჰას წიგნი ოქყალი-ჯადოსაც მიუეიდა, რა წიგნი გახსნა და წაეკითხა გაბრაზებული სთქვა; „მაინც ჩემი ძმის ამბავი-მეთილისმის სისხლის ალება მსურდა და რადგანაც ამისთანა მიზეზი შეემთხვა, სჯობს რომ ვაეიდე ქეთან-შაჰას მიეშველოო“. მაშინვე ბრძანა და სამი ათასი ჯადოს ლაშქარი უცხო და უცხო ჯადოების მცოდნენი, სხვა და სხვა იარაღებით შეიკაზმნენ და ქეთან-

შაჰისაკენ წამოვიდნენ. იმ ჟამად სარჯანი-ჰინდისა და გულჩინისაც წიგნები მოუვიდათ. სარჯანმა თვისი სახელმწიფო თვის უფროსს ვეილს ჩაბარა და თვის ორმოცდასამი შვილით და გულჩინით თვის რვა-ასი-ათასის ლაშქრით გამოეგზავნენ, ყოველნი სპილოებსა და მარტორქებს ამხედრდნენ და ქეთან-შაჰისაკენ წამოვიდნენ ლაშქრის ამბით.

ქეთან შაჰს მოახსენდა რომ „ყარამანი ქეერ-ყაფის მთაში წასულიაო, რაჰინდი და სარეიხურაშანიც ალარსად სჩანანო და დიდიხანია რომ იმათი ხსენება ალარსად სჩანსო, ეს ეიცით რომელ ქვეყანაში წასულანო. მაგრამ ზოგიც ამას ამბობს რომ ეითომც ყარამანი დეგების ხელით მოკლულიაო“. უშანგს ვეიდი ცოხე და ერთი ქალაქი აუშენებია და სახელად უშანგ-ბათი დაურქმევია და ამ ჟამად თვითონ იქ ბრძანდებაო და რაც ლაშქარი ჰყოლია ინდოეთის სახელმწიფოში დაუფანტავს გამოსაკვებად და თვითონ სუბათ არის ხელმწიფეთ დარჩომილი.

რა ქეთან-შაჰმ ესეთი ამბავი შეიტყო, დიდათ იამა და მაშინვე ბრძანა ლაშქრის რიკხვი ნახეთო. მათ ხსწრაფად ბრძანებისამებრ აღასრულეს. ასოცდაშვიდმეტი ათასი ლაშქარი შეჰყარეს ყოველ მხრიდამ, ასორმოცდა-ათი-ათასი სპილო და ქეთან-შაჰაც ერთ მარტორქაზედ შებრძანდა და დიდის დიდებით გამობრძანდა და ლაშქარი დაათვალიერა, ლაშქრის ვაწყობილება მოიწონა, იმ ხანში სარჯანისა და გულჩინის ამბავიც მოახსენდა: რვა-ასი-ათასის კაცით მოდიანო, ჩა ყარამიჯინმა გულჩინის მოსელა გაიგო დიდად გამხიარულდა, იმ ადგილი ჩოთ გულჩინის ადგილი იყო ჩუმად, მაგრამ ყარამიჯინის გულჩინისა ძრიელ ეშინოდა მორეგისაგან, იმიტომ სიყვარული ვერ განეცხადებინა.

ქეთან-შაჰმ ბრძანა სარჯანი-ჰინდი დიდი ხელმწიფეთ, ეგეთ ველად უნდა მიეგებნოთო. მაშინვე ქეთან-შაჰ, ყარამიჯინი და ჰინდის დიდებულნი მისაგებებლად წაიდნენ და სარჯანი-ჰინდის ლაშქარში მიიდნენ. სარჯანი შვიდი ათასის დიდებულების შვილებით მოდიოდა, მაგრამ რადგანაც გულჩინის არშიყნი იყვნენ სინდელნი ფალეგანნი, ყარამიჯინის შიშით ვერ გამოეცხადებინათ. რა სარჯანმა ქეთან-შაჰ იხილა, სპილოდამ ჩამოხტა და ერთმანერთს მიესალმნენ. სარჯანმა რადენსაც ყარამიჯინი იხილა თვის მოსელა ძრიელ დაინანა, გულჩინიც მოვიდა შვიდასის დიდებულის ქალებით და ჩამოხტა. მიესალმა თვის ბიძას და ხელსა აკოცა. რა გულჩინი დაი-

ნაბეს ყოველი კაცი გულისწინის სალაშაზეს სეერეტდნენ. შემდეგ ყოველნი ფალეანნი თავის სალგომს წავიდნენ და შემდეგ ქეთან-შაპას კარეს შეიყარნენ, ქეთან-შაპამ ბრძანა, და მეჯლისი გამართეს, მარჯვენა მხარეს გულრინი დაბრძანდა და ნადიმი დაიდეს. — ღვინით რომ ხარბოში შეიქმნენ, ყოველმა ფალეანმა ქადილი დაიწყო და სხვა და სხვა რიგით შეეჭეოდნენ. ყარამიჯინი როდესაც ღვინით დაითბო, ეშაპსაკით ბრლეინვა დაიწყო და ქეთან-შაპას მოახსენა: „ამდენი ლაშქარი რომ შეგიყრია მალე ბრძანეთ რომ უშანგზე წავიდეთო". ქეთან-შაპამ უპასუხა: ოქუალი-ჯადოს მოველოო. მაშინ ყარამიჯინმა მოახსენა:—როდესაც ამდენი ლაშქარი გამლოესთ ოქუალი რაღა საჭიროა!? მე რომ ერთ ალაგას ეიყო, ვის შეუძლიან რომ ჩემ წინ ებრძოლოსო? ბრძანეთ რომ ვეიყარნეთ. მაშინ ქეთან-შაპამ აყრა ბრძანა და ყოველნი ლაშქარნი აიყარნენ. — ექესი თეე იარეს და ინდოეთის საზღვარზე მიეიდნენ. უშანგის მხრიდამ ჯაშუში მოეიდა და ქეთან-შაპას მიახსენა: „უშანგ-შაპა ასი ათასის კაცით უშანგ-ბათს ბრძანდებაო.

რა ესე მოისმინეს ქეთან-შაპამ, ყარამიჯინმა და სარჯანი-ჰინდმა მაშინვე შაპარი-რომიდამ გამოეიდნენ და ხომალდებში ჩასხდნენ და სამი თეე ზღვეთ იარეს, დღესა ერთსა ზღვა ოულელდათ, ხომალდნი დაეფანტად, ყარამიჯინის ხომალდი ზღვის ტალღამ ცალკე გაიტაცა, ექეს თეეზე მათი ხომალდები ხმელეთზე ძლიერ გაეიდა, ქეთან-შაპას და სარჯანი-ჰინდის ლაშქარი სულ ერთად შეიყარნენ, მაგრამ ყარამიჯინს მოელოდნენ, საამ მანძილზე ჩამოხტნენ და უშანგზე ახლო დადგნენ.

იმ ქამად როდესაც უშანგმა შირეანჯა-აიარი ერანში გაგზავნა, თვითონ თავისის ძმებით შარიბ-შაჰით, ქეთან-შაჰით და დარეთ-შაჰით, უშანგ-ბათს ბრძანდებოდნენ და სხვა ლაშქარნი კი აქა-იქ დაეფანტა გამოსაკვებათ, ერთ დღეს შარიბ-შაჰს შვილი ხოსროეშირი ხანადიროდ წაეიდა რამდენიმე ხელმწიფის შვილებით, ასიმ-აიარიც თან ახლდა და სარანდიბის მთისაკენ ნადიროობდნენ, ამ დღე და ლამე იარეს და შეეჭეოდნენ: ხოსროეშირს იმისთანა ჩვეულება ჰქონდა, რომ ბირს საბურველს არ აიხდიდა, ამიტომ რომ დიად ლამაზ და მშვენიერი იყო, იმის ანბანი ეს იყო, ვითომც თვალი არ მეცესო. იმ ნადიროობაში თავის ამხანაგებს ასცდა და დასავლეთისაკენ წავიდა ასმ აიარით.

აქ ხოსროვშირისაგან ნადირობაში გულჩინის შეერა.

ხოსროვშირი ოდეს ნადირობად ელიდა, ერთ კიდეს მიადგა, იმ კიდიდამ დაინახა რომ ერთის მხრისაკენ ერთი დიდი მტეერი გამოჩნდა, ისე რომ იმ მტეერს ცა და ქვეყანა სულ დაებნელებინა. რა აღმოსავლეთის ქარმა მტეერი უკუ-ჰყარა, მაშინ უთვალავი ლაშქარი იხილა, რომელსაც კაცის თვალი ვერ გადასწვდებოდა, მოვიდნენ და ერთ ალაგს ჩამოხტნენ, ლაშქართა კარვები დასცეს, სამასი ათასი გაწერთნილი სპილოები მოასხეს, ასე რომ იმათი ღრიალის ხმით ქვეყანა იძროდა. ხოსროვშირი ძრიელ გაკვირვებული უჭვრეტდა და გულსა თვისსა ფიქრობდა, ამდენი ლაშქარნი საიდამ შეყრილანო ან სად მიდიანო? როდესაც ამ ფიქრში იყო, ნახა რომ ერთმა ჯოგმა ნადირმა ხოსროვშირს წინ ჩამოურბინეს, შეხედა ნახა რომ ერთ ჯვირანს ისარი ჰქონდა ნაკრავი და ის ნაკრავი ისარი შიგვე დარჩომილი ჰქონდა. მეორე ისარიც ხოსროვშირმა შესტყორცნა და ის ჯვირანი მოკლა. ასიმ-აიარმა ყელი გამოსჭრა და ისარს შინჯვა დაუწყო, ეს ისარი ვისი უნდა იყოსო, ჰკითხა ხოსროვშირს? მაშინ ერთი უცხო ხმაურობა შემოესმათ, ისეთი ხმაურობა იყო რომ სარანდიბის მთამ ზანზარი დაიწყო. რა ესეთი ხმაურობა მოესმათ, ხოსროვშირმა და ასიმმა იმ მხარეს ყურება დაიწყეს, ნახეს რომ ერთი უცხო ფალეევანი, ოცდა-ცხრა მწყრთის სიმაღლის მქონებელი, ერთ მარტო-რქაზე მჯდომი მძიმის საჭურველით შეკაზმული, პირს საბურველი აფარია, ხელთ მშვილდი უჭირავს და ჯვირანის კვალს მოსდევდა, უეცრივ ნახა რომ თვისი დაკოდილი ჯვირანი სხვა ეილაებსაც დაუკლავსთ, პირსაბურველ ქვეშ გახედა ნახა რომ ერთი ორმოცდა-ხუთის მწყრთის სიმაღლის მქონებელი შავ რაშზე ზის, შავის იარაღით შეჭურვილი, პირს საბურველი აფარია, ხელთ მშვილდ-ისარი უჭირავს, ტანათ ისეთი მოყვანილია, რომ თუმცა მეომარ ნარა დევს ენახა შიშით გული გაუსქდებოდა. ყელგამოჭრილი ჯვირანი წინ უძევს და იმასთან ერთი ქვევითა კაცი დგას, ოცდა სამი მწყრთის სიმაღლის მქონებელი, უცხო ტანისამოსით მორთული, ისეთ ფიცხათ იქცევა რომ თუმცა შეუკვეთონ ვარსკვლავთა სხივს მოიტაცებს, მარჯვნივ და მარცხნივ უცხო ხანჯლები ურჭვია, ხელთ ერთი ალმასის ხანჯალი უჭირავს და თავს ადგას.

ხოსროვშირმა ჰკითხა ასიმს: ეს მომავალი ნეტა ვინ უნდა იყოსო?

ასიმმა მოახსენა: რა მოგახსენო ხელმწიფის შვილო, არ ვცნობო.

ეს მომავალი, სარჯანის ქალი გულჩინი იყო. გულჩინი თეისის ჯარიდამ ერთი დღის წინ წამოსულიყო, სარანდიბის მთაზე, შეიდასის ფალეევანი ქალებით სანადიროთ. მისის ნადიროობის მიზეზი ეს იყო რომ იმ მთაზე მოსულიყო აუცილებლად. ერთხელ თურმე თავის ამხანაგებთან ლაპარაკს შექცეოდა ღვინის სმის დროს, ფალეევნების ამბავი ჩამოეგდოთ, სარეიხურამანის სილამაზეზე და ფალეევნობაზე და გულჩინისათვის ყოველივე წერილად მოეხსენებინათ და ესეც ეთქვათ: „ამ ქამად ქვეყანაზე არა გვგონია თუ თქვენზე ლამაზი და გულოვანი ფალეევანი ვინმე იყოსო“. მათ იმ გვარ ქებაზე გულჩინ თავი მოეწონა და თქვა: „დღეს მე ისეთი ლამაზი და გულოვანი ფალეევანი ვარ რომ არც დედანი და არც მამანი მე ვერ შეპირდაპირებიანო, ჩემი ერთი ნახვისთვის, ყოველთვის ჩემ კარზე ჰყრიანო და ჩემი სამსახურის მონატურნი არიანო, მაგრამ მე იმათ ჩემს მოკარის (მეეზოეეს) ალაგსაც არ ვაგდებო“. შემდეგ რა ნადიმი დაშლილ იყო, თეისთან მყოფი ამხანაგნი დაეთხოვა და თეისსა კარავს წასულიყვნენ, თვითონაც ძილად მოესვენა.

გულჩინმა ნახა სიზმრად: ვითომ ერთ პატიოსანს მწვანე ალაგ ერთ ხის ძირში იჯდა თვითონ, მაშინ მთვარე ამოვიდა ისეთი რომ ქვეყანა სრულიად განათლა, მხოლოდ ის მთვარე ინდოეთის მხრიდამ ამოვიდა, შემდეგ ზეციდამ ჩამოვიდა საცა რომ გულჩინი ხის ძირში იჯდა, იმ მხარეს მოვიდა. გულჩინმა უეცრად შეხედა ნახა რომ ის მთვარე ყმარწვილად გადიქცა, პირზე საბურველი ეფარა და გულჩინს უთხრა: „მე შემომხედეო!“ რა გულჩინმა შეხედა ერთი ისეთი გაბრწყინვებული სახე დაუნახა რომ თავის დღეში მისთანა მშვენიერი ვინმე არ ენახა თვალით, მშვენიერად მორთული იყო, შვიდ კუთხიანი სახელმწიფო თაჯი თავს ეხურა და ისეთი საკვირველად მშვენოდა რომ მისთანა მშვენიერი სახის მქონებელი არ ენახა. გულჩინმა სიზმარში იმის უებრო სიმშვენიერე რომ ნახა, მაშინვე გაუარშიყდა და ეწადა რომ არ გაშორებოდა და მარად მასთან დარჩომილიყო საუკუნოდ. კვალად იხილა რომ იმ წამს ის ყმაწვილი შავარდნათ იქცა და გულჩინს მიუხტა, ერთი ისეთი კლანჭი გაჰკრა რომ მკერდი გაუპო, გული ამოჰგლიჯა და ჰაერში აღიტაცა, სარანდიბის მთაზე ჩამოხტა და გულჩინს თავისთან უძახდა“.

ამისთანა საკვირველ სიზმრის ზმანებაში, გულჩინს გამოეღვიძა, და ჰკვირობდა თუ ეს რას ნიშნავდა ამისთანა სიზმარი? მაგრამ იმ სიზმარში ნახული ყმარწვილის სიყვარული გულს ისარივით დაესვა.

იმ ღამეს იმ ყოფით გათენდა, რა დილა გათენდა იგი სიზმარი არა-ვის უთხრა, იმ მიზეზით მეორეს დღეს სანადიროდ მოინდომა წასვლა სარანდიბში, ნადირობაში ერთ ჯეირანს ისარი ჰკრა და დაკოდილს მისდევდა, რომელსაც ისარი გვერდშივე დარჩომოდა, მის დევნაში ხოსროვშირს შემოხვდა, რა იხილა რომ თვისი დაკოდილი ნადირი წინ ედვა, მაშინვე იცნა და გულსა თვისსა სთქვა: „უთუოდ მე რომ სიზმარში ყმარწვილი ვიხილე, ეს ის არისო“. რა ქამარსა, თაჯსა და ბეჭედს თვალი დაკვირვა სთქვა ნამდვილად იგიაო. გულჩინმა ისურვა რომ ცხენიდამ ჩამომხდარიყო და იმის ცხენის ფეხებს მოხვევნილიყო, მაგრამ კიდევ თავი შეიმაგრა და სთქვა თავის გულში, ჩემო თავო, მცირეს ხანს მოითმინე, პირველად გასინჯე როგორი ფალეევანია, რადგან შენც ფალეევნობას ჩემობ, შემდეგ საქმე ისე დაიჭირე, ამას წინად რამდენი ხელმწიფის შვილები არაფრად მიგაჩნდა და არც შეიწყნარე, ყველა ამოჟლიტე, ახლა ეგრე რამ დაგამდაბლა? აწ უომოთ რათ დავმორჩილდე და ქვეყნის საკიცხავი რათ შევიქმნაო, ამას იტყვიან გულჩინი ერთ ვილასაც გაარშიყებია, რომლისაც არც გვარი იცის და არც ფალეევნობაო. მოდი ჯერ ამ ყრმას გამოვცდი, ვნახო იქნება ჩემ სიზმარში ნახული არ იყოს, რომელიც მე მესიზმრა, რათ მოეტყუვდე?“

აქ ხოსროვშირის და გულჩინის ომი ძლიერი სარანდიბის მთაზე.

ამ ფიქრის შემდეგ მაშინვე თავის საჯდომი მარტო-რქა მიაგდო და შესძახა: „ჰეი, თქვენ შეუგნებელნო! ეგ ჩემი დაკოდილი ნადირი ვინ გაბედეთ მაგის დაკვლა! აბა ახლა ჩემი ხელიდამ სად გადარჩებით!?“ ხელთ რომ მშვილდი ეპყრა იგი ქარქაშს ჩააგო და ერთი მძიმე ლახტი ხელთ მისცა, თვისთაგან ერთ მხლებელს ფალეევან ქალს უბრძანა: „აწ დაუყოვნებლივ მიდი, იგი ჯეირანი წაართვი და შინ გაგზავნეო“. მისის ბრძანების მორჩილი მაშინვე მივიდა იგი ხოსროვშირთან და ესრედ უთხრა: „შვილო, თუ შენი თავის სიცოცხლე გინდა, ცხენი და იარაღი მომეცი და შენ მშვიდობით გაიარეო“. ამაზედ ასიმ აიარმა ხოსროვშირს მოახსენა, ხოსროვშირმა უპასუხა: ცხენითა და იარაღით თუ მოვრჩით, უკეთესი რაღა გინდაო? სიცილი დაიწყეს. ასიმმა მოახსენა: ვინცა გკითხოს ესრე უთხრათ, ძალათ წაგვართვესო. ესეთი პასუხი რომ გაიგონა ასიმისაგან

გულჩინმა, თვისთა მხლებელთა უთხრა: „ნახეთ იგი ქვეყითი კაცი რა ჭკვიანიაო, როგორ კარგ რჩევას აძლევს“. ამ საუბარზე ხოსროვშირმა უპასუხა: „ისეთი კაცი ვინ უნდა იყოს რომ ჩემი ცხენი და იარაღი ძალით წამართვასო? ჩემი იარაღის აყრა ადვილი ნუ გგონიათ“.

გულჩინმა რომ ესეთი პასუხი მიიღო, თვისს მსახურ ქალს უთხრა: „წადი იგი ამაყად მოლაპარაკე ყრმა კაცი ცხენიდამ ჩამოაგდე და მისი იარაღი და ცხენი აქ მომგვარეო“. რა ასიმ აიარმა ესე შეიტყო, წინ წადგა და გულჩინს მოახსენა: „დედის ერთა, გთხოვთ რომ არ მოაკვლევინოთ“. მსახურმა დედაკაცმა გულჩინის ბრძანება რომ მოისმინა, მსწრაფლად ერთი ლახტი აიღო და ხოსროვშირს შეუტია. რა გულჩინმა შეხედა, იფიქრა ცოდვაა რომ ამისთანა დეევის ხელით მოკვდესო, რადგან დედის ერთა ყოფილაო, ამ ფალეევან დედაკაცმა ხოსროვშირს ლახტი შეუმაღლა დასაკრავად, მაშინ ხოსროვშირმა იფიქრა: ამ ფალეევანმა მართლა დააპირა ჩემი სიკვდილიო, ხოსროვშირი სწედა ლახტი ხელიდამ წაართვა და ისეთი დასთხლიშა თავისიევე ლახტი რომ მიწასთან გაასწორა.

რა გულჩინმა და იმასთან ხელმწიფის ქალებმა იხილეს, დიდათ გაჰკვირდნენ და თქვეს—ეს ვინ უნდა იყოსო რომ ამისთანა ფალეევნობა მოიქმედაო! ეს მცირე ვისმეს არა ჰგავსო. ხოსროვშირისაგან ამ გვარი ძალ-გულოვნობა რომ იხილეს, გოცებული უყურებდნენ. გულჩინმა თავის გულში სთქვა: „მე რომ ვხედამ ამას, ეს მცირე ფალეევანი არ უნდა იყოსო, მე ამას აქვე გამოვცდი თორემ საქმე საჭიროდ სჩანსო“. ესე თქვა და ხელთ რომ ლახტი ეჭირა, ხოსროვშირს შეუმაღლა, ხოსროვშირმა ფარი იფარა და მას ატაინა, გულჩინს ერთი დაკვრით მიწასთან გასწორებული ეგონა, მაგრამ უვნებლად გადარჩა, შემდეგ გაჯავრებულმა მეორეც დაჰკრა, მაგრამ ვერც იმით ავნო რამე, მესამედ გულმესისხლედ ისეთი დაჰკრა, რომ თუმცა სარანდიბის მთისთვის დაეკრა, იმასაც კი დააქცევდა. მაგრამ ვერც მაშინ ავნო რამ. რა გულჩინმა შეატყო რომ იგი უბრალო არაეინ ყოფილა და თავისთან მყოფნიც დიდათ გაჰკვირდნენ. ახლა კი რიგი ხოსროვშირს ერგო: რა მუჰლეილანის ლახტი ხელთ იპყრა და გულჩინს შეუმაღლა, გულჩინმა ფარი იფარა, ათასის ცდით და მხედრობით მას გადურჩა, მაგრამ ისეთი ძალა დაადგა რომ რაც სიყრმით დედის რძე ეწოვნა სულ ცხვირიდამ წამოედინა, მცირე ხანს უცნობო შეიქმნა, რა გონებას მოეგო, მეორეც დაჰკრა, მასაც გა-

დურჩა, მესამე ლახტი უფრო ძლიერათ დაჰკრა, მასაც გადურჩა, მაგრამ ისეთი ძალა არავისგან დასდგომოდა. ეს ორნი ფალევანნი იმ მინდორს მთვრალ ეე'შაპსაეით ხან ლახტით ხან შუბით და ხან სროლით იბრძოდნენ. რა საღამოს ჟამი შეიქმნა, ხოსროეშირი ძლიერ განრისხდა და ლახტი კვალად შეუმაღლა, გულჩინმა ფარი იფარა, ლახტი ფარს ისე ძლიერად მოხვდა რომ ფარი გახეთქა და ლახტი მარტორქას მოხვდა და თავი დაუნაყა, მარტორქა და გულჩინი მიწას ერთად დაეცნენ.

იმ ჟამად გულჩინს პირ-საბურველი 'მოეხადა და სუმბულის მსგავსი ზილფი კავები ჩამოეშალა. რა გულჩინმა თმები უკუ იყარა, მაშინ პირის სახე გამოუჩნდა.

რა ხოსროეშირმა დახედა, ნახა რომ ერთი ისეთი ბრწყინვალე ქალია რომ მისმა სხივმა ელვარება მიაყენა, ახალ გავსილ მთვარეზე უმჯობესობდა.

ხოსროეშირმა რომ იმის სილამაზე იხილა, მაშინვე მისი ეშხის ისარი გულში გაეყარა და გონება მასთანვე დარჩა. აგრეთვე გულჩინსაც განუცხოველდა მისი სიყვარული და ორივე სიყვარულის ეშხისაგან მთვრალებს დაემსგავსნენ. ხოსროეშირი მცირედ განშორდა.

რა გულჩინის მხლებელთა მიწაზე დაცემული იხილეს, შვიდასმა ქალმა შემოუტიეს და გულჩინი მსწრაფად მოიტაცეს, ერთ სხვა მარტორქაზედ შესვეს და უნდოდათ რომ ხოსროეშირისთვის შეეტიათ, მაგრამ გულჩინმა არ ინება და უთხრა: „ერთმა ეინმემ რომ მე მომერიოს თქვენ იმის ომს როგორ შეიძლებთ, ყველას დაგხოცთო?“ მაშინვე დაბრუნდნენ და თავიანთ ლაშქრისაკენ წავიდნენ, თვისნი მხლებელნი გზაზედ დააფიცა რომ ამ საქმის თარობაზე ლაშქარში ფალევნებისთვის არ ეთქოთ, თუ იგი ეისმეს ებრძოლა და დამარცხდა.

რა თვალთაგან მიეფარნენ, ხოსროეშირმა ასიმ აიარს უბრძანა: ჰეი, აიართ! უპირველესო! ღვთის მადლსა მიშველე რამე, შემატყობინე იგი ვინ იყო რომ შემება? ასიმმა მოახსენა: ახლა ხომ დაღამდა, ჯერ ლაშქარში წავიდეთ, ხვალ საცა იყოს, ცაში თუ ხმელეთზე, არ დამემალება, უეჭველად ვიპოვნიო. ასიმ აიარმა ესეთი იმედი რომ მისცა, ცოტადი გული დაუმშვიდდა ხოსროეშირს, მაშინ ასიმი და ხოსროეშირი თვისსავე მხრისაკენ წამოვიდნენ.

აქ ეს ამბავი დაუტეოთ და უშარგის ამბავი მოიხსენიეთ.

უშანგმა იმ ჟამად როდესაც უცხო ლაშქრის მოსვლა შეიტყო, მაშინვე ნარქამ-აიარი გაგზავნა იმათში ჯაშუშათ, შემდეგ საცა თვისი ლაშქარი საზამთროთ დაფანტული ჰყავდა ყოველი დაიბარა თვისის სარდლებით. მათაც დაუყოვნებლივ დენა დაიწყეს ყოველ მხრიდამ. იმ ჟამად უშანგს მოხსენდა რომ რაჰინდის ძმა ქეთან შაჰა ას ორმოცჯერ ასი ათასის სინდისტნის ჯარით და ას-ოცი ათასის მეომრის სპილოთი თქვენზე საბრძოლველად მოვიდაო და უკან კიდევ სხვა ლაშქარს მოელისო.

უშანგმა რომ ესე შეიტყო, თვითონაც თადარიგს შეუდგა ქეთან-შაჰამ და სარჯანმა იმ ალაგს დაიყოვნეს და ყარამიჯინს მოელოდნენ, მაგრამ ყარამიჯინისა ვერა გაიგესრა და ქეთან-შაჰა დიდად შესწუხდა, სარჯანმა უთხრა: ხელმწიფეო, ყარამიჯინის გარდა განა სხვა ფალეევანი არა გვყავსო, ამოდენა ლაშქარი რომ ჩვენა გვყავს სხვა ფალეევანნი რალათ გინდათო? ადამს აქეთ ამისთანა უანგარიშო ლაშქარი არავის შეუყრია, რისა გვერიდება, ბრძანეთ ავიყარნეთ ვიდრემდის უშანგს ლაშქარი არ შეუყრია მივიდეთ და შევებათ. ქეთან-შაჰას რჩევა მოეწონა და მაშინვე აყრა ბრძანა, სინდისტნელთა დასტები დააწყეს, აიყარნენ და უშანგბათისაკენ წამოვიდნენ. სარჯანი-ჰინდი თავის აუარებელი ლაშქრით და ქეთან-შაჰა თავის დიდებულებით, აიყარნენ და მოვიდნენ.

მეორე მხრიდამ უშანგი აიყარა, თავის დიდებულებით და გაწყობილობით, შემდეგ უშანგბათიდამ გამობრძანდა. რა დილა გათენდა, სარდლები და სარქრები უშანგის კარზე შეიყარნენ, აიარებმაც ამბავი მოართვეს და მოახსენეს: დღეს ქეთან-შაჰა შეგებმისო. რა უშანგმა ესე მოისმინა, ბრძანა: ერანელნი და ჰინდელნი სარდლები შეიკაზმნენო, სპილოსა და მარტორქებზედ შესხდნენ, ოცდაათჯერ ასი-ათასი ლაშქარი დარაზმდა და ყოველნი კაცნი თავ-თავის ალაგას დადგნენ, დროშები და ალმები გაშალეს. მაშინ უშანგ-შაჰამ ბრძანა, საომარ ნალარისთვის შემოეკრათ. სინდელი ლაშქრის დათვალიერება მოინდომეს მაგრამ დიდი მტვერი იყო ამდგარი და ამის მიზეზით სინდეთის ლაშქარი ალარა ჩნდა, მხოლოდ იმ მტვერიდამ საომარი ნალარის ხმა ისმოდა. ცოტა მტვერი რომ გადიყარა, მრავალი დროშები და ალმები გამოჩნდნენ, მოწინაეთ სარჯანი-ჰინდი თავისის ლაშქრით მოვიდოდა, ხუთჯერ ასი ათასის კაცით. რა სარ-

ჯანმა უშანგის ლაშქარი იხილა, დიდად მოიწონა, თვითონ სინდეთის ლაშქარი მოსდეედა დასტა-დასტად გაწყობილნი და დადგნენ. მაგრამ რა უშანგის ლაშქარი ნახეს, არად ჩააგდეს და თვალში ეცოტავად. შემდეგ გულჩინი მობრძანდა ორმოცის ფალეევნით და თვისის მამის მარჯვენივ დადგა და ერთი დიდად ამოიოხრა. სინდის დიდებულნიც და ლაშქარნიც თავ-თავის ალაგ საფი გასწიეს და დადგნენ. ქეთან-შაჰამ ასორმოცი ათასის სპილოს ციხეები შეაკვრეევინა, იმ სპილოთ თვითო-თვითო ციხეზე თვითო სინდელნი ფალეევანნი შეკაზმულნი იდგნენ და ყველას ხელთ სხვა და სხვა რიგი საომარი იარაღი ეჭირათ. ქეთან-შაჰას ტახტი ორმოც სპილოზე გაამაგრეს და მესპილოეთა სპილოები საომრათ მორთეს, ისე რომ სპილოების ღრიალით ცა და ქვეყანა იძროდა. ერანელნი ლაშქარნი ამოდენა სპილოების ღრიალის ხმაზე დიდად შეშინდნენ, მაგრამ შარიბ-შაჰას შვილი ხოსროვშირი ორმოცი ათასის ერან-თურანის ფალეევნებით, უშანგ-შაჰის ჯარის წინ იდგა. „რა გულჩინმა შემოხედა, იცნა და სთქვა თავის გულში, იგი შავ ცხენზე მჯდომი ყრმა ფალეევანი, ვგონებ რომ სარანდიბის მთის ქალთაში რომ მომერია სწორედ ის არისო“. მისმა ეშხმა და ქცევამ გულჩინს გული და გონება მოსტაცა და პირსაბურველის ქვეშ ამოიოხრა და მაშინვე ცრემლები გადმოყარა. სინდელთა რა უშანგის ლაშქარი კარგათ დაათვალიერეს, თვალში ეფუქსავატათ და სიცილი დაიწყეს, დასცინეს და იტყოდნენ: ამ ერანელთა სრულებით ჭკუა არა ჰქონიათო რომ ამ ცოტა ლაშქრით ამ ზღვასაებრ უმრავლეს ლაშქარს და დიდ სულთანს წინ დასდგომიანო, ამაზე რაღა ყარამიჯინი გვინდაო? ხელმწიფეო, ბრძანეთ შეუტიოთ და სრულიად სპილოებსა და მარტორქებს ფეხ-ქვეშ გავამტვერებინოთო.

ქეთან-შაჰამ ესე რჩევა მოიწონა და მაშინვე ჩაუშვებს უბრძანა: ჯარს აცნობონ და იმ შავ მთის მზგავს მდგომს სინდისა და ჰინდის ლაშქარნი დარაზმდნენ და შეუტიონ უშანგის ლაშქარს.

უშანგმა რა კარგა დაათვალიერა იმათი ლაშქარი, მაშინვე დარწმუნდა რომ იმ დღეს ომის მოწადინენი იყვნენ, ისიც შენიშნა რომ შვიდი ათასი რაზმი გააწყეს, ისე რომ ამ ლაშქრის შემხედავს ესე ეგონებოდა ოკეანის ზღვა ღელავსო. ამათ მარტორქების ყვირილისა და ცხენთა ხვიხვინის ხმას ქვეყანა მოეცვა და ყურთა ალარა ისმოდარა. სინდნი და მათნი ფალეევანნი ისეთი ამაყი ქცევით შემოებნენ რომ მნახავნი დიდად გაჰკვირდებოდნენ.

აქ უშანგის ჯარისა და ქეთან-შაჰის ომი ძლიერი.

უშანგ-შაჰამ რომ იმათი ქცევა და ამპარტავნობა ნახა, ღმერთს დიდად მადლობა შესწირა და თვისი ბედნიერი ტახტი შარიბ-შაჰას ჩააბარა. თვითონ უშანგ-შაჰა თავის შაჰზადებით და ხოსროეშირით, დაუთ-შაჰას შვილით, არდევან-შაჰა, ქეიავან-შაჰას შვილით, თაჯიბახ-ტით, სარქამ-შაჰის შვილით, ფირუ-სეილან-შაჰის შვილით, მუზამფა-რით და სხვა მრავლით, ისე რომ ორ-ათას ორასი ხელმწიფის შვი-ლებით შეიყარა და სხვა მრავალი ფალევანნი, ჰეითან-ჯანგი-ჯუმი თავის ლალა ყაჰყაი-ფილურსარ, თეირ-დაშტი, შაფურ-ჰინდი ერუზ-ისპაჰანი, ისპანდიერ-უჯაზელი, თემურ-სამარყანდელი, შიმარდან-ხო-რასნელი, ფალანგი-შვან. ეს ყოველნი თავისთან წაასხა რიცხვით შვიდი ათასნი მეომარნი იყვნენ, ისეთნი რომელნიც რკინას კბილით დაღეჭდნენ. ყოველნი საომარი იარაღით შეიჭურვნენ, ათას-ორასნი შაჰზადანი, შვიდი-ათასნი გულოვანნი ფალევანნი, შვიდი ათასნი სარდალნი თვისის დასტებით დარაზმდნენ. უშანგ-შაჰამ და ყოველ-თა, მაღლის ხმით შემოსძახეს და შეუტიეს და დაერიენენ ერთმა-ნერთს, უშანგის დასტები იმათში ისე დაიკარგნენ რომ ვითა ზღვა-ში ერთი წვეთი წყალი. ხოსროეშირი იმ ომში რომელ მხარესაც შეუტევდა, როგორც შავარდენი მტრედის გუნდს ისე გაექცეოდნენ სინდელნი.

რა ნახეს რომ ერანთა და თურანთა ლაშქრისაგან შვიდი ათასი მოწონებული სარდალნი და ფალევანნი თავიანთ ლაშქარში დაერიე-ნენ და თავგანწირულად იბრძვიან, როგორც ზღვა ნიაღმა შეარყიოს ესენიც იმ ლაშქარს ისე არყევდნენ, ამ ჯარს წინ ხოსროეშირი მი-უძღოდა, ხელთა ერთი ვეშპის მსგავსი მძიმე ლახტი ეჭირა, რომელ ფალევანსაც დაჰკრავდა მიწასთან გაასწორებდა. მას უკან უშანგ-შაჰა ბასრ ხმალ ხელთ მჭერალი მისდევდა, რომელსაც სცემდა ცხენსა და კაცს შუა ჰკვეთდა, წინ რამდენიმე თავის აიარი მოუძღოდა ხელთ ბასრი ნაჯახები ეპყრათ და ისინიც თავგანწირულად იბრძოდნენ.

რა სინდთა დიდებულთა და ფალევანთა ესე განიცადეს, თქვეს ამათგან ერთი საქმე ჩვენი ნაკლულევანებაო. განრისხდნენ და ალ-ყად შემოერტყნენ, ისეთი ბრძოლა შეიქმნა რომ მათის საომარის იარაღების ჯახიჯუხის ხმისა და ცხენების ხვიხვინისაგან ყურთა ხმია-ნობა აღარ ისმოდა, მრავალნი დაიხოცნენ დიდებულნი და ფალე-ვანნი ორსავე მხარეს. მას დღეს ისეთი ომი გადაიხადეს რომ არაო-

დეს არ ენახათ იმისთანა ომში, დილიდამ მოკიდებული ვიდრე მზის ჩასვლამდის უშანგის ლაშქარმა და სინდელთ ფალეევნებმა ძლიერ ფიცხელი ომი გადიხადეს.

გულჩინი იმ დღეს ინდოურათ იყო მორთული. ერთ მწვანე მარტო-რქაზე იყო მჯდომი, თავის ამხანაგ ხელმწიფის ქალებს გამოჰყოლოდა მარტოდ და უშანგის ლაშქარში დაიარებოდა, რომელ ფალეევანსაც შეხვდებოდა, განრისხებული ერთის გურზის დაკვრით ცხენიდამ ძირს დასცემდა, რა ერთს ცხენიდამ ჩამოაგდებდა, კვალად სხვას შეუტეევდა. შეხედა ნახა რომ ერთი ფალეევანი ჯარს ხოცვით მოსდევს, მაშინვე იცნო რომ იგი ფალეევანი შავ ცხენზე მჯდომი ყრმა ის არის რომელიც წინა დღეს სარანდიბის მთაზე მასთან მცირედ გამოჩენილიყო, მისსა სიმამაცეს და ფალეევნობას ქება შეასხა და სინდელთა შეხედა, ნახა რომ თავიანთ ფალეევანთა დასტანი ერთმანერთში ირევიან და მირბიან; გულჩინმა თავის საჯდომი მარტორქა დააყენა, განრისხებულმა ერთ სინდელთაგანს უბრძანა: ნახეთ ეს დასტები ვისგან გარბიან ესე უნამუსოთაო!“ მაშინვე წარსდგენენ ნახეს ერთი შავ ცხენზე მჯდომი განრისხებული ფალეევანი, პირსა საბურველი აფარია, ხელთა მძიმე გურზი უპყრია და სინდელთ ფალეევანთა და ლაშქართა ხოცვით მოსდევს, მოვიდნენ და იმის ამბავი მოახსენეს, ამ მოხსენებაში ხოსროვშირი გულჩინს დაუახლოვდა.

აქ ხოსროვშირისა და გულჩინის ომი ძლიერი.

გულჩინმა შეხედა ნახა რომ დაპირდაპირებია იგი ფალეევანი, რომელიც მოსდევდა სინდელთა ლაშქარს ხოცვით. დაუყოვნებლივ გულჩინი წინ გადუდგა ხოსროვშირს და შესძახა: „ფალეევანო, ხოცვიდამ ხელი შეინახე, თორემ განანიებო!“ რა ესე უთხრა თავს გურზი შეუმაღლა, რა ხოსროვშირმა გურზი შემაღლებული იხილა, თავის ლახტი შეუფარა და ამით გადურჩა, ორიც სხვა ძალიანი სცა მაგრამ ვერა აენორა და არა მცირედი ძალი ნახა, ხოსროვშირმა იმის ძალ-ღონეს ქება შეასხა. როდესაც გულჩინმა ნახა რომ იმისთანა გამომეტებულის სამის დაკვრით ვერა აენო რა, მაშინ რაც სიყვარული ჰქონდა ერთი ათასად მოემატა; ახლა რიგი ხოსროვშირს ერგო, რა თვისი მძიმე ლახტი მოუქნია, გულჩინმა ლახტი იფარა და ისე გადურჩა, ორიც სხვა დაჰკრა, მაგრამ ამისთანა ლახტის ცემას ათასის ჭირით და ეაებით ძლივს გადურჩა. რა ესენი ამ ფიცხელ

ომში იყენენ, სინდთა ფალეენებმა უშანგის ლაშქარი დაატრიალეს და ეიდრე დროშებამდის მიიყვანეს.

აქ უგაზელი ხელმწიფის სეილან-შაჰის მოსვლა, ასი-ათასის უგაზელი ლაშქრით, უშანგის შემწედ.

ნახეს რომ ერთი მხრიდამ დიდი მტეერი გამოჩნდა, ისე რომ ჰაერი და მზის ბრწყინვალება სრულიად დაბნელდა; რა იგი მტეერი უკუ იყარა, სეილან-შაჰა გამოჩნდა წინამძღვრად, ინდოეთის მხრიდამ ასი-ათასის უგაზელი ლაშქრით. რა სეილან-შაჰამ უშანგის ლაშქარი ისე გაბრუნებული იხილა, მაშინვე თავის ფალეენებს და ჯარს შესძახა: „ჰეი, უგაზელნო დეე-გმირნო! ხომ იცით რომ უშანგისთანა მოწყალე და ღვთის მოყვარული ხელმწიფე არა გვყავს, დღეს ის დღეა ჩვენთვის რომ თავგანწირულად უნდა ეიბრძოლიად!“ რა ესე გაიგეს, დარაზმდნენ უგაზელნი ფალეევანნი და ლომებრივ დასცეს მეხი ღვთისა და ისევ უკან აბრუნებინეს პირი და ეიდრე ქეთან-შაჰამდის მიიყვანეს, ქეთან-შაჰამ როდესაც თავის ჯარი დაბრუნებული იხილა, სარჯანი-ჰინდს უთხრა მიშველება და შეტეევა, ასეთი ომი შეიქმნა რომ ჯერ იმისთანა ომი არავის ენახა, მრავალი ფალეევანი მოაკლდა წუთ-სოფელს, მაშინ უშანგის ლაშქარი დააბრუნეს და საშუალო მოედნამდის მიიყვანეს.

აქ ხორასნის ხელმწიფის მოსვლა თავის ფალეევნებით უშანგის შემწედ, შაჰარი-დოლის მხრიდამ.

ცოტა ხანმა რომ განვლო, ნახეს რომ აღმოსავლეთის მხრიდამ საშინელი მტეერი გამოჩნდა. რა მტეერი გადიყარა იხილეს რომ ხორასნის სულთანი იყო თაჯისა და ტახტის მქონებელი, ასი-ათასის ფალეევნით და ჯარით მომავალი. როდესაც უშანგის ლაშქარი დატრიალებული იხილეს, მაშინვე ცალის მხრიდამ ესენი დაერიენენ ქეთან-შაჰის ლაშქარს. რა უშანგმა ესეთი შემწეობა იხილა, თვითონაც შეუტია, თორმეტი ფალეევანნი მოკლა და მრავალი დაჰკოდა ჭრილობით—ისე რომ ამ ყოფით სინდელთ დროშებამდის ხოცვით მიჰყვა. მხოლოდ საცა სარჯანის დასტები იყო განწესებული, ისინი კი უძრავად იდგნენ და არ გაიქცნენ. ამ დღეს ერანის სარდ-

ლებმა დიდი ომი გადიხადეს. ქეთან-შაჰამ რა თავისი დასტები დამარცხებული იხილა, ყარუნ-ჰინდს უბრძანა: ოცდა-ათი-ათასის მეომარი სპილოებით მისვლა და ათი-ათასის კაცით იმათ დასახმარებლად. მაშინვე ყარუნ-ჰინდმა იმ სპილოებით და ჯარით შეუტია ერანელთა, უშანგ-შაჰის ცხენები მათის სპილოებისაგან დაფრთხნენ და სპილოების სანგარის სიახლოვეს ვერ მიეიდნენ. ახლა ამათ დაატრიალეს უშანგ-შაჰის ლაშქარი და დროშებამდის მიიყვანეს.—დროშებთან ისეთი ომი გარდაიხადეს რომ იმისთანა ომი წარღვნას ემსგავსებოდა, სინდელებმა მოინდომეს სპილოების ძალით უშანგის ტახტისა და დროშების დამტერევა, მაგრამ ვერ მოუხდათ.

აქ შვიდი ხელმწიფის მოსვლა თავისის ჯარით, უშანგის შემწედ.

მაშინვე ნახეს რომ ინდოეთისაკენ კვალად დიდი მტვერი გამოჩნდა. რა მტვერი უკუ იყარა, შვიდი ხელმწიფე გამოჩნდა, შვიდი დროშა, შვიდ-ასი-ათასის ლაშქრით. ერთი ურმუზ-შაჰა იყო დასავლეთის ქვეყნისა, ასი-ათასის სისტანელის ჯარით. მეორე სარბა-შაჰასათი იყო, ასი-ათასის ჯარით. მესამე, არაყას ხელმწიფე ასი-ათასის კაცით. მეოთხე, არდაშირა ასი ათასის კაცით. მეხუთე, ულვიზ-შაჰა ასი-ათასის კაცით. მეექვსე, მაჰმუდ-შაჰა ასი-ათასის კაცით. მეშვიდე, დანდულ-შაჰა, ასი-ათასის კაცით.

ეს შვიდი ხელმწიფე თავისის ლაშქრით, საზამთროთ დაფანტულნი იყვნენ. რა უშანგის გალაშქერა გაიგეს და კაციც მიეიდა უშანგისაგან, მაშინვე მოსაშველებლად წამოვიდნენ, რა ნახეს უშანგის ლაშქარი მტრისაგან დაძაბუნებული, დიდის ხმით სახელი ღვთისა და უშანგისა ახსენეს და ასეთი კიჟინა დასცეს რომ ლამის ქვეყანა შეინძრა, სინდელთ შეუტიეს და ოცდა-ათი-ათასი სპილო სულ დააფრთხეს და უკან გააქციეს; სპილოების ფეხქვეშ მრავალი სინდნი ამოწყდნენ, სინდელნი ისე გააქციეს რომ ვიდრე ქეთან-შაჰამდის მიიყვანეს. მაშინ იმის წინ დიდი ომი შეიქმნა, მაგრამ ერანის ლაშქრის ცხენები სპილოებზე ფრთხებოდნენ და სიახლოვეს ვერ უდგებოდნენ. იმ დღეს უშანგისა და ქეთან-შაჰას ლაშქარმა სალამომდის შვიდჯერ ხან ერთი მხრიდამ გააქციეს და ხან მეორე მხრიდან ერთიერთმანერთი. რა სალამოს ჟამი შეიქმნა შარიბ-შაჰამ გასაყარ ნაღარას ჰკრა. ორთავე ლაშქარმა რა ნაღარის ხმა გაიგონეს, მაშინვე

გაიყარნენ და თავთავისათ წავიდნენ. უშანგი თავის კარავში ჩამოხტა, მაშინ მოეგებნენ დიდებულნი და უშანგი დიდის დიდებით შეიყვანეს და ტახტს დასვეს. უშანგი ყველას მიემშვიდობა და მაშინვე საომარი იარაღი და ტანისამოსი გაიხადა და სახელმწიფო ტანისამოსით შეიმოსა, აგრეთვე ყველა იყლიმის ხელმწიფენი თავთავის განწესებულ ალაგს დასხდნენ. უშანგ-შაჰამ ყველა თავის ფალეევნებს თვალი გადააგლო, ნახა რომ თორმეტი სკამი ცარიელი იყო და ხოსროვშირიც არ მოსულიყო. ერთი ძალიანი ამოიოხრა და ასიმ აიარს უბრძანა: „ასიმ, წადი საომარი ველი მოიარე და ეგები ფალეევნები ვინმე ნახოვო“. ასიმ აიარი და მასთან სხვებიც, მსწრაფლ წავიდნენ და საომარ ალაგს მივიდნენ,—ნახეს რომ შვიდნი კი მკვდარნი იყვნენ და ხუთს კი ისევ სულები ედგათ, მსწრაფლ იტვირთეს და წამოიღეს, მაგრამ ხოსროვშირისა კი ვერა გაიგესრა. ასიმ აიარი ხელმწიფის წინაშე მივიდა და მოახსენა: „დიდებულო ხელმწიფევ, ომის ველზე თორმეტი ფალეევანნი ვიპოვეთ, შვიდნი კი მკვდარნი იყვნენ და ხუთნი ცოცხალ-მკვდარნი, იმ ხუთს თქვენი ნახვა სურთ“. უშანგმა რომ ესე შეიტყო, მაღლის ხმით ტირილი იწყო და იქ მსხდომთა დიდებულთაც ყველამ ტირილი დაიწყეს. შემდეგ ბრძანა მკვდრების პატივით დამარხვა. და ხელმწიფე ყველა დიდებულითურთ, დაჭრილებთან წავიდნენ, მათ დიდის პატივით წამლობა უბრძანა და თვითონ უკან დაბრუნდა და თვისსა ბედნიერ ტახტს დაბრძანდა.

რა უშანგ-შაჰამ მიიხედ-მოიხედა, ნახა რომ ხოსროვშირი კვალად არ სჩანდა, მობრუნდა და ასიმ აიარს უბრძანა: „ასიმ, ღვთის გულისთვის ხოსროვშირისა შეიტყე რამე და ამბავი მომიტანე“. ასიმ აიარი მსწრაფლ საღამურის ტანისამოსით შეიმოსა და სინდეთის ჯარისაკენ გაემართა, რა ქეთან-შაჰას კარავს მიუახლოვდა, ნახა რომ სინდელნი დიდებულნი ხელმწიფის კარავში შეკრებილიყვნენ და სხვა ფალეევანნიც. ასიმ აიარი კარავში შეეიდა და ხალხში გაერია, ნახა რომ ყველა იქ მყოფნი დიდად მწუხარეობდნენ. შიქარგი-აიარს თვალი შეასწრო ასიმმა, ანიშნა და კარში გამოიყვანა. ასიმმა ამბავი ჰკითხა: რა მიზეზია რომ მაგგვარ მწუხარებაში არიანო? შიქარგიმ უამბო, ესენი იმაზე არიან მოწყენით რომ სარჯანი-ჰინდს ერთი ქალი ჰყავს, რომელსაც მეომარი ფალეევანი არავინ შეედრება, ის ქალი სარვიხურამანის ყოფა-ქცევისა ყოფილა, დღეს ის ბრძოლის ველიდამ ალარ დაბრუნებულა. ნაომარი ალაგები ყველა დაჩხრიკეს და ვერსად ჰპოვეს, მაგრამ რამდენმა სინდელებმა სთქვეს, ჩვენ ის ომში

ვნახეთო, „ერთი შავ ცხენოსან ებრძოდა რომელსაც პირზე საბურველი ეფარაო. სინდნი რომ ნიშნებს ამბობენ, იმ ნიშნებით ის ხოსროშირი უნდა იყოსო“. ამის მეტი მე სხვა ამბავი არა ვიცირა. ასიმმა უთხრა, მეშინიან ხოსროშირს არა აუტეხოსრაო. შიქარგის უთხრა ასიმმა: შიქარგი, შენ წადი და ხელმწიფეს აცნობე რომ ყოველ მხარეს ჯარი გაგზავნოს და მოანახვინოს, და მეც სარანდიბისაკენ წავალ. შიქარგი ხელმწიფისაკენ გაგზავნა და თვითონ მთისაკენ წავიდა. შიქარგიმ მსწრაფლად უშანგს მიმართა, იქაური ამბავი ყოველივე აკნობა, ხელმწიფემ მაშინვე ჰურმუზ ფალეევანი ათასის კაცით ერთ მხრისაკენ გაგზავნა და შვიდ მხარესაც შვიდი ფალეევანი სამი ათასის კაცით, ხოსროშირის საძებნელად და თვით ამბის მომლოდი იყო.

ხოსროშირი იმ დღეს იმ ომში გულჩინს შეხვედროდა და იმ ორს ლომს იმ დღეს ერთმანერთთან სალამომდის მედგრად ებრძოლათ და ლაშქარს გაშორებოდნენ და ერთმანერთისაგან ხელი აღარ აეღოთ, სარანდიბის მთის მახლობლად, ხან ლახტით, ხან შუბით, ხან ხლმით და ხან ისრით. რა სალამოს ჟამი შეიქმნა, ხოსროშირმა შვიდკეცი ქამანდი მოიღო და მკლავს გადაიყარა, იმ დროს ათას შვიდასნი ფალეევანი ქალებიც მოვიდნენ, გულჩინი ნახეს რომ ერთ ფალეევანს ებრძოდა, ამათაც საფი გასწიეს. როდესაც გულჩინმა ესე ქალები დაინახა, დიდად იამა და იმათაც ქება შეასხეს. იმ დროს ასიმ აიარიც მოვიდა, ნახა რომ მურასად მორთულნი საფ-გაწვეით დგანან და ერთი ჰინდი და ხოსროშირი იბრძვიან. ხოსროშირმა ასიმის მისელა ვერ გაიგო, ხოსროშირმა მსწრაფლად გულჩინს ქამანდი შესტყორცნა და წელს ჩაუგდო. რა ამ ქალთა ესე იხილეს, იარაღი მოიმზადეს და მზად დადგნენ. ხოსროშირმა ქამანდს ძალიან მოზიდა და ერთი ძლიერ შესძახა, გულჩინი ცხენიდამ მიწაზე ჩამოაგდო. გულჩინს სუმბულის მსგავსი ზილფი თმები ნათელ სახეზე ჩამოეშალა, ხოსროშირი ახლოდ მივიდა ნახა რომ ერთი მზის მსგავსი მთვარის უმჯობესი ქალი იყო. ხოსროშირმა მაშინვე იცნა და გულსა თვისსა სთქვა, პირველად სარანდიბის მთაში ნადირობაში რომ შემხვდა და დავამარცხე, ეს იგი ყოფილაო. უწინაც დიდი სიყვარული ჰქონდა ჩავარდნილი და ეხლა ხომ უმეტესი ცეცხლი მოედო, ქამანდი ხელიდამ გააგდო და გულჩინს გაოცებით ყურება დაუწყო. ასიმმა ნახა რომ ხოსროშირი გაოცებული დგას და ეეღარა გაუგიარა. ასიმს ხელთა ბასრი ნაჯახი ეპყრა, მსწრაფლ მიუხტა და

ენება რომ გადმოვარდნილ ფალავნისთვის დაეკრა, მაგრამ როდესაც ასიმმაც დახედა მასაც კი ეშხის ისარი გულს გაეყარა გულჩინისა. რა გულჩინის მხლებელთა ქალებმა ნახეს გულჩინი გადმოვარდნილი, მსწრაფლად მისცვივდნენ, ააყენეს, ერთ სპილოზედ შესვეს და თავის ლაშქრისაკენ წამოიყვანეს. მცირე ხნის შემდეგ გზაზე გულჩინმა სთქვა: „ეს როგორ მომივიდა რომ მომერიაო?“ რა ესე სთქვა თვალწინ წარმოუდგა ხოსროვშირის თვალტანადობა და დიდად ამოიოხრა და ტირილი დაიწყო, რადგანაც ხოსროვშირის სიყვარული გულს უწყლავდა. იმათ კი ასე ეგონათ, გულჩინს მორევნა ეთაკილაო და იმისთვის სტირისო. ქალებმა მოახსენეს: „თქვენ მაგაზე ნუ სწუხხართ, თქვენ უმეცრათ იყავით და იმიტომ მოგერიათო, თორემ ის განა თქვენი სწორიაო„?—შემდეგ ბრძანა: „ის ფალავანი თქვენთაგანმა ვერავინ იცანითო?“ მათ მოახსენეს, ვერავინ ვიცანითო. მე რამდენიც რომ უთხარი, სრულებით იმან ხმა არ გამცა და ვერც თუ სახე დაუნახე. ამ ლაპარაკით ლაშქარში მივიდნენ. მაშინ სარჯანი-ჰინდს მოახსენდა გულჩინის მისვლა და დიდად გამხიარულდნენ, ყველა დიდებულნი მიეგებნენ დიდის დიდებით.

გულჩინი ხელმწიფესთან შემოიყვანეს. ქეთან-შაჰს და თავის მამას სალამი უძღვნა, იმათაც მიიწვიეს, ხელმწიფემ ჰკითხა: „ჩემო თვალის ჩინო, დღეს როგორ მოგიხდათ რომ ჩვენ ლაშქრიდამ ცალკე გადასწყდითო“?

გულჩინმა მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: „დღეს ომში რამდენიმე ფალავანნი მოვკალ, ზოგიც ცხენიდამ ჩამოვყარეო“. თავისმა ფალავან ქალებმაც უმოწმეს.

შემდეგ ზე აღზდგა და მოახსენა: „დღეს ომში დიაღ დიდად დავიღალე, ასე მგონია ტანი დანაყილი მაქვსო, თუ თქვენი ნებაც იქნება დასტური მიბოძეთ წავიდე მოვისვენო“.—მათაც დასტური მისცეს.

რა თავის კარავს მივიდა, მეჯლისი გამართა, მესაკრავე საზანდარნი რუბაბს უცხოს ხმით უკრავდნენ. რა ღვინით შეზარხოშდნენ, ქალებმა ხოსროვშირის ქება დაიწყეს, სხვა და სხვა რიგათ, მაგრამ გულჩინმა კი ხოსროვშირის ვითარება და ვინაობა ვერ შეიტყო,—ამაზე დიდად მოიწყინა, საითაც მიიხედავდა თვალ წინ ხოსროვშირი ედგა.

აქ ხოსროვშირისა მოიხსენიეთ: ხოსროვშირს როდესაც ქალები მოშორდნენ ომის ველზედ, ხოსროვშირმა მიმოიხედა ასიმი დაინახა და თავისთან დაუძახა, ჰკითხა—ასიმ, ქამანდით ფალე-

ვანი რომ ჩამოეაგდე შენ ნახე ან იცნობ? ასიმმა თავის გულში იფიქრა: სწორედ რომ ხოსროვშირი იმ ქალის ეშხს დაუბაესო, თუ უთხრა ვნახე, ვაი თუ გულში ეჭვი ჩაუვარდესო?—აიარობა მოიხმარა და ქება შეასხა, მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, არა ვნახე მაგრამ, ერთი მურასად მორთული ფალეევანი ინდოეთისაკენ წავიდა და მაშინ თქვენც იმას უყურებდით, მე ამის მეტი არაფერი მინახავს“. ხოსროვშირს მართალი ეგონა ასიმის ლაპარაკი, ხოსროვშირმა იმ დღის საქმე ყოველივე დაწვრილებით უამბო და ერთი დიდად ამოიოხრა, ისე რომ ასიმსაც თან გული მოუკლა, ასიმსაც მოსდებოდა გულჩინის ცეცხლი, ასიმმა ნათლად იცოდა რომ, სადაც ხოსროვშირი ყოფილიყო, იმას არაფერი არ ერგებოდა, მაგრამ ერთი ეშხის ისარი ასიმსაც კი გაჰყოლოდა გულში.

ხოსროვშირმა წელიდამ ერთი ხანჯალი შეისხნა, ისეთი რომ ერთ იყლიმის ფასად ღირდა, ასიმს წინ დაუდეა ხანჯალი და უთხრა: „ასიმ ჩემი ხელი და შენი საყელო, ერთი წამალი რამ უნდა დამდო. რომ ის ბრწყინვალე ფალეევანი გამიგო თუ ვინ არის ამ სინდეთის ჯარში? რა ესე უთხრა, ტირილი დაიწყო, მაგრამ ასიმი დააფიცა რომ ეს თავის საიდუმლო არავისთან არ განეცხადებინა. როდესაც ასიმს შოაგონდა გულჩინის სიტყვები თეითო-თეითოდ, ისარმოხვედრილ-საებრ მიაჩნდა. რა ესე ისაუბრეს, მაშინვე ლაშქრისაკენ წამოვიდნენ და ბანაკს მოვიდნენ.

მაშინვე უშანგს მოხსენდა ხოსროვშირის მოსვლა, უშანგმა თავისთან მიიწვია, თეითონ უშანგი მიეგება წინ, გულზე მიიკრა და თვალები გადუკოცნა, ხოსროვშირი ხელს ემთხვია და თავის მამასაც მიესალმა, შემდეგ ყველა თავ-თავის ალაგს დასხდნენ.

ხელმწიფემ ჰკითხა ხოსროვშირს: სიცოცხლისა ჩემის ბედნიერებავ! სად იყავ რომ ეგრე დაგიგვიანდა? ხოსროვშირმა მოახსენა: შვიდთა იყლიმის მპყრობელო დიდო ხელმწიფეე, დღეს ომის ველიდამ გარეთ გაველ და რამდენიმე სინდეთის ფალეევანს შეეხვდი, იმათ ვებრძოდი, როდესაც დალამდა ყველანი გამექცნენ, შემდეგ ასიმს შეეხვდი და ერთად გიახელით ჩვენ ურდოში“. ხელმწიფემ ქება შეასხა, მცირე ხნის შემდეგ კრება მოიშალა და ყოველნი თავ-თავის სადგომს წავიდნენ. ხოსროვშირიც კვალად წამოდგა და თავის კარავს მიმართა. ხოსროვშირმა ველარ მოითმინა, ხმალი აიღო და კალთის ქვეშ დაიფარა, მოინდომა რომ წასულ იყო. რა თავის ლალამ თეირდაშტიმ შეამჩნია წასვლა, მოახსენა: „მუჰლეილან ხელმწიფის თუა-

ლის ჩინო, რა დაგმართეია რომ გონება აღარ შეგრჩენია, ურდოდამ სად უნდა წახვიდე ამ დროს?

ხოსროეშირმა უპასუხა: მამიჩემის კარავს მივალო და ისევ მალე დავბრუნდებიო, მხოლოდ თქვენ უფიქრელად მოისვენნედ. ხოსროეშირი წავიდა და ასიმის კარავს შევიდა, ასიმიც ის იყო რომ მოსულიყო ხელმწიფისაგან, მარჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები გაეკეთებინა წელზე და უნდოდა რომ ხოსროეშირის ჩუმათ გაპარულიყო, სინდეთის ლაშქარში. რა ხოსროეშირი ასიმს კარზე მიადგა, ასიმს შიშით ჭკუა კინალამ დაეფანტა და მსწრაფლ ხოსროეშირს გამოეგება და ქება შეასხა და მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, როგორ მოხდა რომ მე მიწა თქვენი ფეხისა ამ დროს გარჯილხართ და მობრძანებულხართ ჩემთან? წინ შეუძღვა და შეიყვანა თავის კარავს, ხოსროეშირი დაბრძანდა, ასიმი თავს დაადგა, ხოსროეშირმა ასიმი თავისთან დასვა და ამდენი ეხვეწა და ეეედრა რომ ენით არ ითქმის.

აქ ხოსროეშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდეთის ლაშქარში გულჩინის საცნობელად და ასიმისაგან ხოსროეშირის წინაშე სიცრუვით ლაპარაკი.

ასიმმა მოახსენა: ხელმწიფის შვილო, მე ხომ შენი მსახური და მონა ვარ, ჩემთან მაგდენი ხვეწნა რად გინდა? სულიც რომ მთხოვო არ შეეიშურები თქვენთვის.

ხოსროეშირმა უთხრა: „ასიმ იცი ჩემი ხვეწნა ეედრება, რა არის? ის არის რომ ამაღამ უეჭველად შემიტყო, იმის ვინაობა“, ესე უთხრა და ტირილი დაიწყო. ასიმმა მოახსენა, აი საღამური ტანისამოსი იმიტომ ჩაეიცვი რომ თქვენი სამსახური უნდა ავასრულო. ასიმმა მაშინვე მუხლს აკოცა და წავიდა, ხოსროეშირი იმის კარავში დარჩა ამბის მომლოდინე. ასიმი ერანის დარაჯებს მიადგა, თავიანთ ბანაკი გაიარა და სინდეთის ლაშქარში ფარულად შეეიდა, რა სარჯანის კარავს მიადგა, ნახა რომ მისნი ქეშიკნი მღვიძარეობდნენ, იქიდამ გამობრუნდა და სხვა ბინაზე მივიდა, ნახა რომ ერთ მხრიდამ საზანდრისა და საკრავის ხმა მოისმის, ისეთი მეჯლისი და ლხინი აქვთ გამართული რომ უკეთესი არ იქნება, მცირე ხანს ყურება დაუწყო და თქვა, ხოსროეშირის მოწონებული ფალეევანი მგონი აქ უნდა იყოსო, მაგრამ როგორ შეეიტყო, მცირე ხანს დაფიქრდა და

ნახა რომ რამდენიმე ფალეევანნი გამოვიდნენ, ცხენებს შესხდნენ და წავიდნენ, ახლო მივიდა ნახა რომ, ყველანი მურასის ტანისამოსით მოსილნი და მთვრალები იყვნენ. ლაპარაკით და შექცევით წავიდნენ, ერთმა უთხრა მეორეს: „მე ვეჭობ გულჩინს ფალეევნობის დავაზე ხელი აუღია, ამისთვის რომ ის ფალეევანი ორჯერ მორეევია. იმასაც ვეჭობ რომ გულჩინი იმ ფალეევანს გაარშიყებია და თავის გულოვნობით აღარ იმჩნევესო, არ ვიცი ვინ არი და ან ვისი შვილია!?... მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ იმ ფალეევანს ფალეევნობისადაგვარად ტანადობა და თვალადობაცა აქვს, სწორედ გულჩინის შესაფერია, რა კარგი იქნებოდა რომ მტრის ლაშქარში არ ყოფილიყო“.

ასიმმა რომ ესეთი ლაპარაკი ყველა გაიგო, ერთი გულკვნესით ამოიოხრა და სთქვა თავის გულში: ხოსროეშირის მოწონებული, სწორედ სარჯანის ქალი გულჩინი ყოფილაო რომელსაც ხოსროეშირი გაარშიყებია, ჯერ ხოსროეშირის პირისახე არ უნახავს და ესე შეშლილა, პირისახე რომ დაუნახოს მაშინ ჩემი საქმე როგორ იქნებაო?—იმის სილამაზეზე ყოველნი გაკვირვებულნი არიან, მაგრამ ჩემი პირისახე, ყაფის ძთის დეევებმაც რომ ნახონ, იმათაც კი გულები აერევათ“. ამისთანა ფიქრებში გათენებამაც მოატანა, უკუ მოიქცა და ისევ თავის ლაშქარში მოვიდა. რა თავის კარავს შევიდა ნახა რომ ხოსროეშირი ისევ თავის კარავში უცდის, ასიმი შევიდა თაყვანი სცა, შემდეგ ნაჯახი ხელიდამ დასდო და მოახსენა:

„ხელმწიფის შვილო, რა აქედამ წაველ სინდის ჯარი სულ მოვიარე არც ერთი კარავი არ გაუშვი, მაგრამ თქვენი ნათქვამი ფალეევნისა ვერა გავიგერა, მე ესე ვვონებ ის ჯარში არ უნდა იყოს, ვინ იცის სინდისტანში რომელი ხელმწიფის შვილია და ან სადაური, თქვენ რომ ნადირობაში შემოგყრიათ და დაგიმარცხებიათ, მეორედ გაჯავრებული იმიტომ მოსულა რომ ნდომებია თქვენის ჯავრის ამოყრა, მეორეთაც რომ ისევ თქვენ მოერიეენით ის სირცხვილეული წასულა თავის ქვეყანაში“. ასიმმა ამდენი ტყუილები ილაპარაკა რომ არც ერთი ერთმანერთს არა ჰგავდა. ხოსროეშირმა შეატყო რომ სიტყვებსა რევდა, ასიმმა ხოსროეშირი ეჭვში ჩააგდო თავის ტყუილებით, მაგრამ ხოსროეშირმა არაფრად შეიმჩნია, ადგა და თავის კარავში წაბრძანდა. თავისმა ლალამ შემოხედა ნახა რომ ხოსროეშირი დიაღ შეწუხებულია, თვითონაც მოიწყინა და მოახსენა, რათა ხარ დაღონებული უშანგის სიცოცხლეე? ხოსროეშირმა უპასუხა: არაფერი, ყარამანი მომაგონდა. იმის ნახვა მომინდაო და

იმაზედ ვარ მოწყენით.

რა მცირე ხანმა განელო, უშანგის ნალარასაც ჰკრეს. მაშინვე ხოსროეშირმა ბრძანა: საომარი იარაღი მომიტანეთო, მოართვეს იარაღი, სამოცდა ოთხის იარაღით შეიჭურვა, თავის შავს რაშს ჯაჭვი ჩააცვა, შეჯდა და უშანგის წინაშე მიჭიდა. იმ დღეს ხოსროეშირი ისეთ ომს მოემზადა რომ მეტი არ შეიძლებოდა, ვინც იმ დღეს ხოსროეშირი ნახა, დიდად გაჰკვირდნენ.

ორსავ მხარეს დასტები დარაზმეს, ისე რომ ზღვასავით ღელავდა, აქეთმა და იქითმა ლაშქარმა საომარს ნალარას ჰკრეს, უშანგის ტახტი ორმოც სპილოზე გაამაგრეს, შვიდკეცი ქოლგა დაადგეს, უშანგი დაბრძანდა. ხოსროეშირმა ორმოცდა-ათი მოწონებული ფალავანი გამოარჩია მათ წინ საფი გასწია და დადგნენ. ხოსროეშირი ყარამანის ალაგს დადგა, ორათას ექვსასი დასტა გააწყო, მემარჯვენენი და მემარცხენენი განწესებულის წესით დადგნენ.

აქ გულჩინისა და ერანელთა ომი ძლიერი.

Qქიდამ ქეთან-შაჰამ ას-ორმოცი ათასის ლაშქრით მოემზადა, ჩაუშებმაც ათას ორასი დასტა გააწყეს, ორმოცი ათასი სპილოც საომრად მოამზადეს, ჯართა წინ დააყენეს და სანგარი შეჰკრეს, მოედანზე ასეთი ყოფით გამოვიდნენ რომ იმათ ფეხის მტვერს ჰაერი სრულიად შეკრა. რა ზენა ქარმა შემოჰბერა მტვერი გადიყარა, მაშინ ძლივს დაინახეს ერთმანერთი ყველას მოედანზე ეჭირათ თვალი და ამას იძახდნენ: თუ ენახოთ რომელი ფალავანი გაჰბედავს და გამოვა პირველათაო? რა ამ განზრახვაში იყვნენ, ნახეს რომ ორსავ ლაშქრისა შუა ერთი მარტორქაზე მჯდომი ფალავანი გამოვიდა, თავით-ფეხამდის სულ მურასად შემკულ იყო, ფალავნის მარტორქა ისე ჩქარა მოვიდოდა, რომ როგორც ფრინველი, ხელთ ერთი შუბი ეჭირა. ვიდრე შუა მოედანზე მოვიდოდა, სამოცდაოთხ რიგათ იარაღი იხმარა და ათამაშა, ისე რომ ყარამანისა და ხოსროეშირის მეტი არავისი ენახათ, ორივე მხრის ლაშქარნი იმის ფალავნობას ჰკვირობდნენ და აქებდნენ. შემდეგ უშანგის ლაშქრისაკენ მობრუნდა და ფალავანი გამოითხოვა. უშანგის ლაშქრიდამ ჰამედბარი მოედანზე გამოვიდა, შესძახა! „ჰეი, შენ ვინა ხარ რომ მოედანზე მაგ ყოფით მოხვალო!?“ მაშინვე შუბი მიუტანა, მაგრამ იმ ფალავანმა არაფრად მიიღო. რა შუბი ახლოს მიუტანა, მარტორქის გავას გა-

დაწვა და ისე აიცდინა, ჰამედბარმა თავი ეელარ შეუნახა ცხენს. რა მიახლოვდა, ჰამედბარს სარტყელს ხელი ჩაუგდო, აზიდა ცხენიდამ მთასავით და დასცა ქვეყანას. სინდთა ლაშქარს ანიშნა, რამდენიმე ფალეევანნი მოვიდნენ მაგრა შეჰკრეს და წაიყვანეს. იმ ფალეევანმა კვალად ფალეევანი გამოითხოვა, აქედამ ჰილან-სამარყანდელი ფოლადით შეიჭურვა და გამოვიდა, ხელთა ლახტის მპყრობელი ფალეევანს ლახტი შეუმაღლა, იმანაც შვიდკეცი ფოლადის ფარი იფარა, ამითაც ვერა აენორა, ცხენს ამანაც თავი ეელარ შეუმაგრა და გაიტაცა, უკანიდამ ეტლივით წამოეწია, შესძახა და ხელთ რომ ლახტი ეჭირა მოუქნია, იმანაც ფარი იფარა, ლახტი ფარს მოხვდა და მარდათ თავი მოარიდა, ლახტი მხარს მოხვდა, გულ შემოეყარა და ჩამოვარდა. მოვიდნენ და ესეც წაიყვანეს. კვალად ფალეევანი გამოითხოვა, ფარულ-შაჰას შვილი შეიჭურვა და გავიდა, ხელთ შუბი მიცა და ტრიალით შეუტია, ისეთი ხმით შესძახა რომ საზარად ყმა იყო, შუბი რომ ახლოს მიუტანა იმან ფარი იფარა, ფარულ-შაჰას შვილმა ეს ფარი ისე გახეთქა როგორც ქალალდი, ფალეევანმა ფარი ხელიდამ გააგდო და თვითონ მარტორქაზე გადაწვა, გავაზე მოექცა და გადარჩა, ორთავე მხრის ლაშქარმა დიდი ქება შეასხეს. აწ რიგი მას ერგო, ფარულ-შაჰას შვილს საყელოში ხელი ჩააელო, აზიდა ცხენიდამ და ძირს დასცა, მსწრაფლ ფეხზე დადგა, იგი ფალეევანიც მარტორქიდამ ჩამოხტა და ეს ორნი ფალეევანნი მთვრალ სპილოებივით ერთმანერთს ებრძოდნენ, ფარულ-შაჰას შვილმა რამდენიც მოინდომა რომ ეჯობნა ვერა გააწყორა, შემდეგ ხანჯალს ხელი გაიკრა და მოუქნია, მაგრამ იმ ფალეევანმა ცალის ხელით ხანჯლიანი მაჯა დაუჭირა და ცალის ხელით აზიდა და დედამიწას დაარტყა, ხელები მაგრა შეუკრეს და აიარებმა წაიყვანეს. იგი ფალეევანი კვალად მარტორქაზე შეჯდა და სხვა ფალეევანი გამოითხოვა, მაშინ უშანკი დიდათ შეწუხდა ფარულ-შაჰას შვილის დაჭერისათვის, ისე რომ მეხისავით ჭექა დაიწყო, იმის ხმაზე დასტები სულ ერთმანერთს ეძგერნენ, მაშინვე ქეიან-შაჰა შეიჭურვა, მარტორქაზე შეჯდა, ხელთ მძიმე ლახტი იპყრა და მოედანს გამოვიდა, ქეიან-შაჰას თავი დაუკრეს, ათას შვიდასმა ფალეევანმა და ხელმწიფის შვილებმა, ვიდრე საომარ მოედნამდის მოჰყვნენ, ქეიან-შაჰამ მადლობა მოახსენა მათ და გამობრუნდნენ.

ქეიან-შაჰამ შესძახა იმ ფალეევანს: ჰეი შენ უნამუსო! რაებს ჩასდიხარ? მოედანი ცარიელი გინახავს! მაშინვე ხმალს ხელი გაიკ-

რა, (ის ფალეევანი რომელიც სინდეთის მხრიდამ იყო გამოსული, გულჩინი იყო სარჯანის ქალი რომელსაც ხოსროვშირთან ომი სურდა), იმანაც გაიკრა ხელი ხმალს და მოქნეულ ხმალს უფარა, ხმალი ხმალს რომ მოხედა ორსავ ხმლიდამ დიდი ცეცხლი გამოხდა, ქეიევან-შაჰამ ნახა რომ ხმლით ვერა ავნორა, ხმალი ქარქაშში ჩააგო და ლახტს ხელი მიჰყო, გულჩინმა ლახტს ლახტი უფარა და ამ ლახტითაც არა ვენორა, მხოლოდ კი დიდი ძალა დადგა, ქეიევან-შაჰამ ახლა შუბს მიჰყო ხელი და შეუტია, მან ფარი იფარა და იმით აიცდინა, რაც იარაღები ჰქონდათ ყოველიფე იხმარეს მაგრამ ერთმანერთს ვერა ავნესრა. ქეიევან-შაჰა ძლიერ დაიღალა, რა გულჩინმა შეატყო რომ ქეიევანი დაიღალა, ერთი მძიმე ლახტი მოუქნია, იმან ფარი იფარა, ქეიევანის მკლაევებმა ველარ გაუძლეს, ლახტმა ფარი გახეთქა და ქეიევანი თავში მძიმედ დაიჭრა, პირს სისხლი გადმოედინა, მარტორქის კისერს მოეხვია და დაბანდა, უცნობო შეიქმნა.

უშანგმა რა ესე იხილა საყელო გადაიხია და ტირილი დაიწყო, რადგანაც უშანგის ნაქები ფალეევანი იყო. რა გულჩინმა ნახა რომ ქეიევანი მარტორქას კისერზე მოეხვია უნდოდა რომ მეორეც კვალად დაეკრა და გაეთავებინა.

აქ ხოსროვშირისა და გულჩინის ომი ძლიერი.

იმ ჟამად ხოსროვშირმა ისეთი შესძახა რომ იმ არე-მარემ ზრიალი იწყო და იმის ხმისაგან დასტები აირია. იმ ხმის გამგონი გულჩინი ჭკუიდამ შეშლილს დაემსგავსა, ველარა გაიგორა და ქეიევან-შაჰა დააყიწყდა, შეხედა ნახა რომ ერთი ვეშაპის მსგავსი ფალეევანი განრისხებული მოიჭრა მოედანზე, პირს საბურველი აფარია და შავს ცხენს ზის, ისე რომ მჭვრეტელთათვის მოსაწონია, ხელთ ერთი ვეშპის თავის მსგავსი ლახტი უჭირავს. გულჩინმა მაშინვე იცნა და სთქვა: ეს ის ფალეევანია რომელიც მე მინდოდა; დიდად ამოიოხრა და თავის თავს უთხრა, „აბა მოემზადე, თუ ამის ძალას გადურჩი დიდი ქება იქნება შენი“ და დადგა: განრისხებულმა ხოსროვშირმა მაშინვე ლახტი შეუმაღლა, ქეთან-შაჰის მხრიდამ. რა ქალებმა დაინახეს, მაშინვე იცნეს, მოვიდნენ და მზად დადგნენ, იცოდნენ რომ გულჩინს ჩამოაგდებდა, იმიტომ საშველად მოვიდნენ. გულჩინმა შეიდკეცი ფოლადის ფარი იფარა, ლახტმა ფარი დალეწა, გულჩინი მარტორქის გვეას გადაწვა, ლახტი მარტორქის თავს მოხვედა და პირს

საბურველი მოეშალა, ასე ეგონათ რომ ღრუბლიდამ მზე გამობრწყინდაო. რა ხოსროვშირმა ნახა, იცნა და დიდად ამოიოხრა, სთქვა თავის გულში, ეს სწორედ ის არის—სარანდიბის მთაზე რომ ვნახე, ვიდრე მობრუნდებოდა იმ შვიდასმა ქალთაგანმა ერთი სხვა მარტორქა მოჰგვარეს და შესვეს. რა სარჯანმა თვისი ქალი ჩამოვარდნილი იხილა, ერთი ძლიერად ამოიოხრა და ხუთი-ათასის ჯეზეირის ლაშქრით შემოუტიეს ხოსროვშირს, აქედამაც უშანგმა ოთხი ათასის კაცით სარჯანის შესატევებლად მიაგება ხოსროვშირის მისაშველებლად, ეს ცხრა ათასი კაცი დაერიენენ ერთმანერთ და ძლიერი ომი შეიქმნა. უშანგის ჯარმა დაატრიალა ქეთან-შაჰას ჯარი და დროშებამდის მიჰყვნენ. მრავალი დაიხოცა, ასეთი სისხლის ღვრა შეიქმნა, რომ სისხლის ნიაღვრებმა დაიწყეს დენა. შემდეგ ქეთან-შაჰამ კვალად ორმოცი ათასი კაცი მიაშველა, ახლა უშანგის ჯარი დაიბრუნეს. რა უშანგმა ესე ნახა, ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა, ტახტი შარიბ-შაჰას მიაბარა, თვითონ მსწრაფლ ფოლადით შეიჭურვა, შვიდასი ათასი ფალეევანნი და სარდალნი შემოიყარა და შემოუტია, ისე რომ თვალი აღარ გაახილებინა მტერს, ისევ დაატრიალეს და ქეთან-შაჰას წინ მიიყვანეს. იმ დღეს იმოდენა სინდნი ამოწყდნენ რომ რიცხვი არ შეიგდებოდა. ქეთან-შაჰამ როცა თავისი ჯარი დამარცხებული იხილა, ერთი ისეთი შეჰყვირა რომ სინდნი შიშით დააწყალა და მაშინვე შეტევა ბრძანა, ლაშქარმა სულ ერთობით შეუტიეს, მეორე მხრიდამაც შემოუტიეს და ამ ორთა მოწინაალმდეგე ზღვის ოდენმა ლაშქარმა ერთმანერთში ღელვა დაიწყეს, იმ დღეს ასეთი ომი შეიქმნა რომ დასაბამიდამ იმ დღემდისინ არავის არ ენახა. სინდეთის ლაშქარმა უშანგის ლაშქარი დაამარცხა და უშანგის დროშებამდის მიიყვანეს. ხოსროვშირი და ყაჰყაი-ფილუესარი დაბრუნდნენ და გულჩინი კვალად შემოხვდათ შვიდ-ასის ფალეევანი ქალებით და ორმოცი-ათასის მოწინავე ლაშქრით. გულჩინმა შემოუტია ხოსროვშირს და გზა შეუკრა, ყაჰყაი-ფილურსარმა უთხრა ხოსროვშირს, ჩვენი საქმე ეხლა როგორ იქნება? ხოსროვშირმა უპასუხა: შენ მე მომყევიო, ესენი ჯერ მე ვერ მიცნობენო. გულჩინი წინ აღუდგა და ლახტი შეუმაღლა, ხოსროვშირმა სცა ლახტი, გულჩინმა ვერ გაუძლო, მაშინ ორმოცმა ათასმა ფალეევანმა სთქვეს წავიდეთ დავიჭიროთო და ცოცხალ ნუ გაუშვებთო, თორემ როგორც ზედ ეტყობა ეგ ქვეყანას გააოხრებსო. მაშინვე ორმოცმა ათასმა ფალეევნებმა და შვიდასმა ქალმა შეიგდეს შუაში ხოსროვშირი, ზოგი ხმალსა

სცემდა, ზოგი შუბსა და ზოგი სხვა იარაღს, მაგრამ ღვთის განგებით ვერა აენესრა, ნარა გასწიეს და კვალად შემოუტიეს, რა გულჩინმა ესე იხილა ძლიერ შეშინდა, იფიქრა ვაი თუ ხოსროვშირს აუტეხონ რამეო?..

რა ხოსროვშირმა მათგან შეტევა ნახა, შვიდ-თავიან ვეშაპსავით შეუპოვრად ერთ წამზე გაფანტ-გამოფანტა. ხოსროვშირი ისე დაქროდა ვითა კანჯარი, თითო-თითო დაკერით, ცხენსა და კაცს ძირსა სცემდა, რომელსაც აჰგლეჯდა ცხენიდამ ერთს მეორეს შესტყორცნიდა და ორივეს უსულოს შეჰქმნიდა.

რა გულჩინმა შემოხედა ხოსროვშირს ამ გვარ ბრძოლით, გულჩინი შედგა და დიდის გაკვირვებით უყურებდა იმის მოქმედებას და ბრძოლას, მცირე უკლდა რომ უშანგის ლაშქარი არ დამარცხდა.

აქ ოთხი სულთნის მოსვლა უშანგის შემწედ.

ნახეს რომ ერთის მხრიდამ ძლიერი მტვერი აღზდგა, ასე რომ ცა და ქვეყანა სრულიად დააბნელა. მცირე ხანს შემდეგ ნახეს რომ ოთხი ალმი გამოჩნდა ოთხასი ათასის მეომარი ლაშქრით. ერთი არაყიის სულთანი ყეისარ-შაჰა იყო, მეორე არაბსტანის სულთანი სალსა-შაჰა იყო, მესამე ბახტიერის სულთანი ყათას-შაჰა და მეოთხეც ზანგისტნის სულთანი. რა რომ ამ ოთხთა სულთნებმა უშანგის ლაშქარი დამარცხებული იხილეს, მშვილდებს ხელი დაიდეს და სინდელთ შეუტიეს, სინდელნი უკუ მიაქციეს. ხოსროვშირი სადაც ომობდა იქავ მოიყვანეს. რა საღამოს ჟამი შეიქმნა, ორსავე მხარეს გასაყარს ნაღარას შეჰბერეს. ხოსროვშირმაც ომზე ხელი აიღო, ყაჰყაი-ფილუსარიც თან იახლა და წამოვიდნენ, აგრეთვე უშანგ-შაჰაც წამობრძანდა და მოედნის თავს დაადგა, სარდლები მოიკითხა. მცირე ხანს შემდეგ ის ოთხი სულთანნი მოვიდნენ, რა ხელმწიფე იხილეს, დიდად გამხიარულდნენ, ცხენიდამ ჩამოხდნენ და მდაბლად სალამი უძღვნეს. უშანგმაც დიდი მადლობა გამოუცხადა. შემდეგ ცხენებს შესხდნენ და დადგნენ, მაგრამ უშანგი ხოსროვშირისთვის ღონობდა, ნახეს რომ ხოსროვშირიც მოვიდა წითლად სისხლში შეღებილი, უკან ყაჰყაი-ფილუსარი მოსდეედა, რა ხოსროვშირი მოვიდა ცხენს გადმოხტა და ხელმწიფეს მიესალმა და ხელს აკოცა, შემდეგ იმ ოთხ სულთანსაც სალამი უძღვნა, ხელმწიფემ ხოსროვშირი გულს მიიკრა, ორსავ თვალში აკოცა და მრავალი დარიგება მისცა. შემ-

დეგ დროშებთან მოვიდნენ, შარიბ-შაჰა მიეგება, რა თავისი ძმა და შვილი უვნებლად იხილა, უზომოდ გამხიარულდა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და თავს მარგალიტი გადააყარა, შემდეგ ხელმწიფე თავის კარავში და ტახტს დაბრძანდა, აგრეთვე იქ მყოფნი ყოველნი თავ-თავის ალაგს ჩამოხდნენ, საომარი ტანისამოსი გაიხადეს და სალხინო ჩაიცვეს, ხელმწიფის კარავს შევიდნენ და ყველა თავ-თავის ალაგს დასხდნენ და ნადიმი დაიდვეს. სუფრა მოიღეს მოვიდნენ მერიქიფენი უცხო იაგუნდის თასებით და ფალევანთა ღვინის სმა იწყეს, რა რომ ღვინით ზარხოშნი შეიქმნენ, ყოველნი თავ-თავის სადგომს წავიდნენ. ხოსროვშირი თავის მამამ თავის კარავში მიიყვანა, თვითონაც გვერდით მოუჯდა. რა ასიმმა ნახა რომ ხოსროვშირი თავის მამას გაჰყვა, თავსა თვისსა უთხრა: „აბა დრო ახლა გაქვს ასიმ“, ამალამ ხომ ხოსროვშირი თავის მამას მარტო არ გაუშვებს, ახლა სწორედ კაი დროა გულჩინისაკენ, წავიდე ეგება ან ენახო და ან ვეჩვენო. ბოლოს მე ვიცი რომ გულჩინი ხოსროვშირისა და ხოსროვშირი გულჩინისაა. ესე განიზრახა და თავის ბინაზე წავიდა. ასიმს აიარნი მიეგებნენ და შეიყვანეს თავის კარავში, ასიმი ცოტა ხანს დაჯდა დაფიქრდა და კვალად გულჩინი მოაგონდა და იმის ეშხმა ცეცხლი მოსდო, მაშინვე სალამურის ტანისამოსით შეიმოსა, მარცხნივ და მარჯვნივ ხანჯლები გაირჭო, ზევიდამ ერთი ძონძი ჩაიცვა, დავრიშვილით მოირთო, დამბური ჩაიდვა ჯიბეში და თავის მოსამსახურეებს უთხრა: თუ ხოსროვშირი მოვიდეს და მიკითხოს, ასე უთხარით რომ უშანგთან არის. მანამ ამ სიტყვას დასრულებდა ხოსროვშირი კარზე მოადგა, მსახურნი კარზე მიეგებნენ, ხოსროვშირმა ასიმი იკითხა, მსახურთა ერთმანერთ შეხედეს და არ იცოდნენ თუ რა უთხრან, ფიქრობდნენ თუ უთხრათ აქ არი, ვაი თუ ასიმმა დაგვსაჯოს, თუ არა და რა უთხრათ? ხოსროვშირმა შეატყო რომ აქ ერთი მიზეზი რამ უნდა იყოს. მაშინ ასიმს შეატყობინეს რომ ხოსროვშირი კარზე სდგასო, ასიმს შიშით ფერი ზაფრანას დაემსგავსა, ველარა აწამა რა და კარზე გამოვიდა, თაყვანი სცა ქება შეასხა და მოახსენა: რა მიზეზია თქვენი აქ მობრძანებისაო? ხოსროვშირმა შეხედა რომ სალამურის ტანისამოსით მორთულა და იარაღიც კი შემოურტყავს ქვეშიდამ და ზემოდამ ძონძები ჩაუცვავს, ის არი წასასვლელად მომზადებულა. ხოსროვშირმა უთხრა: „ყოველ ჟამს ჩემი გაჭირვების იმედო ასიმ! ამალამ უნდა შეიტყო უეჭველად ისა, რომელიც მე მეომებოდა დღეს, თუ ვინ არის იგი? თუ მეტ-

ყვი, მეც შენთან წამოვალ, თუ არა და შენი გზის მაყურებელი შე-ვიქმნები და ამალამ აქ გავათენებ და როგორმე ამბავი უნდა მომი-ტანო. შემდეგ ჰკითხა: „ასიმ, რათ ჩაგიცვავს საღამური ტანისამოსი ან რისთვის მომზადებულხართ მაგ გვარად?“ ასიმმა უპასუხა: „ჩემო ხელმწიფეე ხოსროვშირ, დღეს ჩვენი ხელმწიფე უშანგი ძლიერ შე-წუხებული იყო იმ ოთხ ფალეევანზე, რომელნიც დღეს შეიპყრეს იქ მიდიოდი, ეგება დრო დამეცვა და იმ ფალეევნებისთვის მეშველა რაძე—და ისიც მინდოდა შემეტყო, ვინც დღეს თქვენ გეომებოდათ თუ ვინ არის“. ხოსროვშირმა შენიშნა რომ ეს მოხსენება სულ ტყუილი იყო, დიდად შეწუხდა მაგრამ არა უთხრა.

აქ ხოსროვშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდელთ ლაშქარში გულჩინის საცნობელად და ასიმისაგან ხოსროვშირის მაგება გულჩინის წინაშე.

ასიმმა მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, თქვენ წაბრძანდით თქვენს კარავში და მე იმას უპოვნელს არ დავტოვებ. რა ესე სთქვა მაშინვე გაემგზავრა. ხოსროვშირი ასიმის კარავშივე დარჩა, და ასი-მის მომლოდინე იყო. რა ასიმი დარაჯებთან მივიდა, ნახა რომ თე-მურ-შაჰა ასი ათასის კაცით დგას, ის გაიარა სინდელ დარაჯებსაც გაეპარა და გულჩინის კარავს ძებნა დაუწყო.

აქ ქეთან-შაჰას ამბავი მოიხსენიეთ. როდესაც ქე-თან-შაჰა ომიდამ დაბრუნდა თავის ბანაკს და ტახტს დაბრძანდა. ყო-ველნი თავ-თავის განწესებულ ალაგს დასხდნენ, სარჯანი-ჰინდი თავს დაჯდა, მერე გულჩინი მობრძანდა თავის შვიდასი ქალებით და და-სხდნენ. მაგრამ გულჩინის გონებაში და გულში ხოსროვშირის ეშ-ხის ტრფიალი გაუქრობელად ეგზნებოდა; იქ მსხდომი ყველა ფალე-ევანნი და სარდალნი ხოსროვშირის ომსა და ფალეევნობას აქებდნენ, რადგანაც იმ დღეს სინდის ფალეევნები ბევრი დახოცა, ერთმანერთ ეუბნებოდნენ, ხოსროვშირს ყარამიჯინის მეტი ვერავინ გაუძლებსო. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ქეთან-შაჰამ ბრძანა: „ის ოთხი ფალეევა-ნი მოიყვანეთო, მაშინვე ფალეევნები მოიყვანეს, ქეთან-შაჰამ ბრძანა იმათი თავების დაყრევინება“. რა იმ პყრობილმა ფალეევნებმა შეიტ-ყეს თავების დაყრევინება იმედი სრულიად გადაიწყვიტეს, გულჩინმა სთქვა თავის გულში: „ეს კი კაცობა არ იქნება რომ მე ეს სარ-

ლლები დავახოცვინო ჩემ წინა, მერე ჩემი საყვარლისა და სანატრელის ფალეევნები! იქნება დრო იყოს რომ ერთხელ შეეიყარენით, მაშინ ხომ მისაყვედურა და მითხრა ჩემი ფალეევნები რათ დაახოცვინეო? მაშინ მე რა პასუხი მივცე?“ ესე გაიფიქრა და ზე აღსდგა: მივიდა და თავის ბიძის წინ დადგა, ქეთან-შაჰამ ჰკითხა: ჩემო თეალის სინათლეე, რას მთხოვ მითხარიო? გულჩინმა მოახსენა: „ამათი დახოცვით უშანგ-შაჰა არ გაიქცევა და არც ის შავ რაშზე მჯდომი ფალეევანი მოკვდებაო. ესენი მე ჩამაბარე, მე ამათ სხვა სასჯელით დავსჯიო“. რა გულჩინისაგან ესე მოისმინეს, იქ მსხდომთა ძლიერ მოიწონეს. ის ოთხი ფალეევანი ქეთან-შაჰამ გულჩინს ჩააბარა, გულჩინმა მდაბლად თავი დაუკრა და გარედ გამოვიდა თავის შვიდასი ქალებით, ის ოთხი ფალეევანიც მოიყვანეს გულჩინის კარავში და იქ დაატუსაღეს. დიაღ გულჩინმა პატივით შეინახა იგინი, ამ ფალეევნებს იმედი გადაწყვეტილი ჰქონდათ, მაგრამ რა ამ ფალეევნებმა თავიანთ თავი ასეთ პატივში იხილეს ცოტად იმედი მიეცათ. გულჩინმა ბრძანა და მეჯლისი გაიმართა. რა ზარხოშად შეიქმნენ, ყოველმა იქ მსხდომმა ფალეევნების ქება დაიწყეს და ყარამანისა და სარეიხურამანის ამბის საუბარში იყვნენ.

ასიმის ამბავი მოიხსენიეთ. რა ასიმ აიარი ქეთან-შაჰას ბანაკზე მივიდა, ნახა რომ გულჩინი იქ არ იმყოფებოდა, ასიმმა ძებნა დაუწყო, ნახა რომ ერთ ალაგას სამასი წითელ-ყვითელი ატლასის კარვები იდგა, იქ მივიდა ნახა რომ, დიაღ ბევრი მაშხალები დაენთოთ, ერთი კარვიდამ ლხინისა და საკრავის ხმა გამოდიოდა, ასიმი მცირე ხანს შედგა და იფიქრა, შეატყო რომ ის კარავი გულჩინისა იყო. ასიმმა სთქვა თავისთვის: „ეს ყველა კარგი, აქნომამდე ხომ მოვედი ამ მეჯლისში, ახლა რა გზით შევიდე? საზანდროების მეტი წამალი არა დამრჩომიარა“. ჯიბეში რომ დამბურა ჰქონდა ჭახრაკიანი, ის ამოიღო მომართა და შორი-ახლო დაჯდა იმის კარავთან, როდესაც იმათ საზანდრებმა დაუკრეს, ასიმმაც დაუკრა, ასეთი ხმით დაუკრა რომ ვინც გაიგონა, იმის ხმისაგან შეიშალნენ. ამისი ხმა გულჩინსაც მოესმა და უბრძანა: წადით და ის დამბურის დამკვრელი აქ მომგვარეთო. ორნი წავიდნენ და ასიმი შემოიყვანეს. ასიმმა მდაბლად თავი დაუკრა, მიიხედ-მოიხედა, ნახა რომ თექვსმეტ სვეტიანი კარავი სდგას სულ ოქროსი და შიგნიდამ სულ მურასად მორთული იყო. ადგილ-ადგილ უცხოს სუნელს აკმევდნენ, ისე რომ იქ მსხდომნი სუნნელის სულით კმაყოფილდებოდნენ. მარცხნივ და

მარჯვნივ მურასად მორთულნი ქალები ისხდნენ დიაღ ლამაზნი და მშვენიერნი, ცალ მხარეს საზანდარნი ოქროს სკამებზე ისხდნენ, იმათში ერთი ბრწყინვალე ქალი იჯდა მურასად მორთული თვალით და მარგალიტით (იგი იყო გულჩინი). ასიმმა რომ იხილა მაშინვე წაიქცა და გულ შემოეყარა, რა ესე დაინახეს, ქალები მისცვივდნენ და სთქვეს—ამ საბრალოს ბნედა სჭირებიაო? მეორემ სთქვა, არა საწყალი გლახა ვინმე არისო, ამისთანა მეჯლისი უეცრივ რომ ნახა შეშინდა და იმიტომ გულს-შემოეყარაო.

გულჩინმა შეხედა თუ არა ტანისამოსზე შეატყო რომ იგი აიარი ვინმე იყო. მცირე ხანს ნაცემ კაცივით ეგდო გარინდებული, შემდეგ აიხედა ნახა რომ მთვარესავით ქალები თავს ადგანან. ასიმმა უთხრა: „ხელმწიფის ასულნო, მე ერთი დაერიში კაცი ვარ, თქვენისთანა ხელმწიფის მეჯლისი არ მინახავს, მეშინიან შიშით ლამის მოვკვდე, წვრილ-შვილნი დამრჩებიან ობლად, თქვენთვის ცოდვაა.— მე თქვენი მეჯლისის საკადრისი საკრავი არა მაქვს და არც ვიცი, მე სოფლის საზანდარი ვარ, კალოზაში დავდივარ აქა-იქ და იმით ვინახავ ჩემ ცოლ-შვილს, ამისთანა ალაგას ჩემს დღეში არა ვყოფილვარ და ან ვინ მაღირსებდა, გთხოვთ რომ დამითხოვოთ თქვენ სადღეგრძელოდ“. ესე სთქვა და ტირილი დაიწყო,—ქალებს შეეცოდათ და უთხრეს: „ნუ გეშინიან, ჩვენ შენ არას გერჩით და ბევრსაც გაჩუქებთ“.

ასიმმა რომ საჩუქარი გაიგონა, იამა, ადგა და იმ ქალებთან დაჯდა. გულჩინმა სთქვა თავის გულში: ხომ ვიცი რომ ეს აიარია, მოდი გამოვცდი, ვნახო იმ ფალავნის ამბავი იცის რამ. თუ არაო? გულჩინმა ბრძანა: კალოს საზანდარს ათასი ფლური მიეცეს, ფლურები მისცეს და ღვინოც მოართვეს, უბრძანეს დალევა და ფლურების შენახვა.

ასიმმა მოახსენა: თუ მართლა მომცემთ ფლურებს, ქორწილში წავალ ერთ თაქას გავაკეთებ, ნახევარს თქვენ მოგიტანთ რასაც ვიშოვიო. ქალებმა სიცილი დაიწყეს და სთქვეს: მართლა გიჟი ყოფილაო. ასიმმა ფლურები ნაბად ქვეშ შეინახა და ღვინის სმა დაიწყო, რა შეზარხოშდა, თვისი დამბურა მომართა და ასეთ ხმაზე დაუკრა რომ, ყველა იქ მსხდომნი ქალები უცნობო შეიქმნენ. მაშინ ასიმი აიყვანეს და საზანდრების თავს დასვეს და ჰკვირობდნენ—თუ ეს როგორი კალოს საზანდარიაო? ხელმწიფესაც კი არ ეყოლება ამისთანა საზანდარიო.

გულჩინმა შეატყო რომ ასიმს ღვინო მოჰკიდებოდა, ჰკითხა: სახელად რა გქვიანო?

ასიმმა უპასუხა ჩემი სახელი ჩაფარ-ჰინდია, სარანდიბის მთის კალთაში ერთი სოფელია, ცოლ-შვილი იქა მყავს და მე თქვენი დღეგრძელობით ამ ჯარში დავიარები, რასაც ვშოულობ. იმათ უნახავ— როდესაც დალამდება ხოლმე, უშანგის მეჯინიბებთან ვიძინებ, ზოგჯერ სოფელშიც კი მივდივარ ხოლმე.

— გულჩინმა ჰკითხა: როდესაც ომი ასტყდება მაშინ შენ საღ მიხვალ ხოლმე?

ასიმმა უპასუხა: მე ერთი დავრიში კაცი ვარ, ომში მე რა მეაქმება, გავალ ხოლმე და ერთ სერიდამ დაუწყებ ყურებას.

— გულჩინმა ჰკითხა: დღეს მე რომ ოთხი ფალეევანი შევიპყარ ნახე?

— ასიმმა უპასუხა: „დიაღ გნახე, მე მაშინ სერიდამ გიყურებდით“.

— გულჩინმა კვალად ჰკითხა: „მაშ იმასაც ნახავდი უშანგის ლაშქრიდამ შავ რაშზე მჯდომი, პირს საბურველი რომ აფარია, ტანად ალვის მსგავსი, რომელმაც ერთი დაკვრით მე ჩამომაგდო ცხენიდამ, თუ იცნობ ის ვინ არი? მე იმისთანა მოხდენილი ფალეევანი ჯერ არ მინახავს. ესე სთქვა და გულკვენესით ამოიოხრა“.

„ასიმმა უკვეთ იცოდა რომ ის ფალეევანი ხოსროვშირია, ასიმმა შეატყო რომ როგორც ხოსროვშირია გულჩინის ტრფიალი, ათი იმოდენა გულჩინი ყოფილა იმის ტრფიალი. როდესაც ასიმმა შეიტყო გულჩინის ამისთანა სიყვარული, ასე შესწუხდა რომ სიკვდილს მიეწურა. ასიმმა იფიქრა, ჯერ რომ ხოსროვშირის სახე არ უნახავს და ასე შეშლილა, ამან რომ იმის პირისახის ბრწყინვალება ნახოს მაშინ როგორ იქნება ამის საქმეო? თუ უთხრა ხოსროვშირი უშანგის ძმისწულია, ვაი თუ ამის ნახვა აღარ მეღირსოს, სჯობს რომ დავმალო, ეგები ხოსროვშირი შეეაძულო“. შემდეგ ასიმმა უპასუხა: „დღეს რომ ბრძოლაში თქვენ ცხენიდამ ჩამოგაგდოთ, ის ძალიანი ფალეევანია“. ბოლოს ჰკითხა, ასიმმა: კითხვისთვის კი ნუ დამსჯით და თქვენ ვინა ბრძანდებით ანუ ვისი ასული? გულჩინმა უთხრა, მე სარჯანის ქალს გულჩინს მიწოდებენ, მეც ჩემი ბიძის ქალივით (სარეიხურამანიეთ) აღთქმა მაქვს, ვინც მე მომერევა ის უნდა შეეირთა. ასიმმა რომ ეს გაიგონა, უნამეტნავესად ცეცხლი მოედვა. ასიმმა უთხრა გულჩინს: „რომელმაც რომ თქვენ მოგერიათ ის კარფუზ

ფალეევანია, იმას ძალით და ფალეევნობით ვერავინ ვერა სჯობნისო, მაგრამ იგი შაეი არაბია, იმის სახელი გერან-ზანგია; მხოლოდ ესეც უნდა მოგახსენოთ რომ მეტის-მეტი მეომარია და ომში კაცს დაუჭრელ და მოუკლავ არ გაუშვებს. გულჩინმა უთხრა, კაცო შენ რას ამბობ! მე იმ კაცის ხელები მინახავს, მაშ თეთრი ხელები რათა აქვს? შენ გეტყობა რომ ტყვილს ლაპარაკობ. ასიმმა გულში შეინანა, „რათ დავაშავეო?“ შემდეგ მოახსენა: „უკაცრავად ვერ მიეხედი, ის უშანგის ყულია, სახელად ყაზამფარი ჰქვიან და უშანგსაც ძლიერ უყვარს, რადგანაც პატარა გაზარდა სასახლეში, ძლიერ უცხო ფალეევანიც გამოდგა. უშანგის ჯარში იმის ლახტს ვერავინ გაუძლებს ყარამან-ყათილის მეტი, ეს არის რომ ძლიერ ცუდი შეხედულობისაა, ვინც პირზე შეხედოს აეთვალადობისაგან გული აერევა და მეტის-მეტი ანჩხლი და ავგულიც არი. უშანგ ხელმწიფე იმის ფალეევნობისათვის ინახავს, თორემ ათასჯერ მოაკვლევინებდა აქამდე“.

გულჩინმა შეატყო რომ, რასაც იგი ლაპარაკობდა სულ ტყვილს რომ ავდა, მაშინ გულჩინმა მეტად მოიწყინა და ვინც რომ ქალები ჰყვანდა ყველანი დაითხოვა, მხოლოდ რამდენიმე მხლებელნი თავისთან დარჩნენ. ასიმს ჰკითხა გულჩინმა, საზანდარო შენ სად დაწვები ამაღამ ძილად ბინა სადა გაქვს? ასიმმა მოახსენა: „მე ერთი საწყალი კაცი ვარ—სად წავიდე, აქ სადმე წავეგდები კარზე, რომ წავიდე ვაი თუ მომკლან უბოდიშოდ ვინმემ?“ ამ ლაპარაკში გულჩინმა შენიშნა რომ ძველ ჩოხის ქვეშ მურასა ხანჯლები ერტყა. გულჩინმა ადრევე შენიშნა რომ ის აბარი იყო. მაშინ კარავში ერთი ალაგი ანიშნა რომ ასიმს იქ დაეძინა დილამდის. ასიმი ძილად დაწვა და გულჩინმაც ტანთ გაიხადა და მოიხსენა. ვინც ვინ იყვნენ თავ-თავის ალაგს დაწვნენ. რა რომ ფეხი მიწყნარდა ასიმს სიცოცხლე აღარ შერჩა, ზე აღზდგა და ძონქები ტანიდამ გაიძრო, ოთხსავე მხარეს თვალი მოავლო, ნახა რომ ყველას ძილი მოსვლიათ, მაშინ ფეხაკრეფით მიეპარა სადაც გულჩინი იწვა, ნახა რომ ოქროს შანდნებით სანთლები ენთო თავითაც და ფეხითაც. მუშკამბარი ეკმეოდა და ოქროს ტახტზე გულჩინს ეძინა. საყელო გახსნოდა, გული გაღებოდა და კოკობი ბროლის ძუძუები ანათებდა სადაც კი ბნელი ალაგი დარჩომილ იყო იმის საწოლში. რა ასიმმა ესე ნახა, სრულიად ცნობა მიეფანტა და მცირე ხანს გაშტერებული ყურება დაუწყო, შემდეგ გონზე მოვიდა და თავის თავს უთხრა: „ეს ყურება მე არას მარგებს, მე ამას ბეუშტარს მიეცემ, დაებნედავ და ისე მოვიპარავ

ესენი ორნი მეფეები ეფესელნი მოსაჯესტესენი ეფესელნი ფალავანნი ფეხზედ ხმენა.

აქედამაო, ვიდრე არაეის ვამოულვიძნია". მაშინვე ჯიბიდამ ერთი კოლოფი ამოიღო და გულჩინს მიუახლოვდა, უნდოდა ბანგი მიეცა. გულჩინს ფერიის ქალები ქეშიკად ახლდნენ, მაშინვე ხმაურობით გულჩინი გამოაღვიძეს. გულჩინმა თვალები გაახილა თუ არა, შეხედა ნახა რომ ერთი ავაზაკის მსგავსი ვიღაც კაცი, ხელში ხანჯალი უჭირავს და წინაშე უდგა. მაშინვე გულჩინი წამოჯდა ლოგინზე. ასიმმა ნახა რომ თავის თავი მახეში გაება, ტახტიდამ ძირს დააპირა გადმოხტომა და უნდოდა რომ გაქცეულ იყო. გულჩინმა მსწრაფლად ხელი სტაცა ფეხში, ზე ასწია და თავდაყირა დაჰკიდა. ასიმი სცდილობდა როგორმე შეეშინებინა გულჩინი თავის ხანჯლით და ხელიდამ გაეშო, მაგრამ გულჩინმა მეორის ხელით ისეთი სილა ჰკრა რომ ცხვირ პირი სისხლით მოეთხუპნა. ამ ხმაურობაზე ვინც იქ იმყოფებოდნენ ყოველმა გამოიღვიძეს და შესცვივდნენ, ნახეს რომ გულჩინს ერთი ვიღაც კაცი ფეხიდამ დაკიდებული უჭირავს, უცხოს ტანისამოსით მორთული და მრავლის მურასა ხანჯლებითა. ამ ქალებმა მოახსენეს გულჩინს, ეგ კაცი ვინ არისო? გულჩინმა უთხრა მათ, აბა თქვენ იცანით ვინ არის?—„ეს ის კალოს საზანდარია რომელიც დამბურს უკრავდა". განა ეგ ის ბერი კაცია, გულს რომ შემოეყარა და ძლივას მოვაბრუნეთ?.. ამას წვერი არა აქვს და წუხელ კი თეთრი წვერი ჰქონდა; მაშ პირზე ჰფარებია მოჩვენებასავბრ, უეჭველია ის ჯიბეში ექმნება—ამოვართოთ. ქალები მისცვივდნენ და ჯიბიდამ ამოართვეს (მასკა) და დიდად გაჰკვირდნენ. ასიმი მაგრა შეკრეს. გულჩინმა უთხრა ასიმს, „შე ჰარამზადავ, აქ რისთვის დახვალ?" ასიმმა მოახსენა—„უკაცრავადა ვარ, მთვრალი ვიყავ, მინდოდა კარში გავსულვიყავ, გზა ველარ გავიგნე და თქვენ წამოგაწყდით უეცრად". მაშ ხელთ რომ ხანჯალი გეჭირა ის რაღად გინდოდა? სწორედ სთქვი, ტყუილს ნუ ყბედობ, თორემ იმისმა მზემ რომელიც ორთავ თვალებზე უმეტესად მიყვარს, ცოცხალ არ გაგიშვებ! ხანჯალს ხელი წამოაველო და ასიმისაკენ მრისხანის თვალით შეხედა.

ასიმისთანა სისხლის მსმელი ფალავანი ისე შეშინდა რომ სიკვდილად მიიწურვა. ასიმი ძლიერ შესწუხდა და სთხოვა, ნუ მომკლავ შენი ღვთის გულისთვის მცირე ხანი დამაცალე და ყველას სწორედ მოგახსენებო: „მე უშანგის აიარი გახლავარ, სახელად ასიმი მქვიან, გუშინ რომ ომში ოთხი ფალავანი დაიჭირეთ, მე იმათთვის მოესულვარ ეგები როგორმე დრო დამეცვა და გამენთავისუფლები-

ნა. მე აქ იმ ფალეენის ბრძანებით მოვედი, რომელმაც თქვენ ცხენიდამ ჩამოგაგდოთ, ისინი რომ ველარ ვიხელთე თქვენ მეჯლისში შემოვედი ამ სახით, რომ შენ მინდოდი მომეპარე, წამეყვანე და უშანგის ფალეენებზე გამეყიდეო". მცირე ხანს გულჩინი შეფიქრიანდა და ასიმს უთხრა: „მაშ იცი რა არის, მოდი შენ აღთქმა დადე, რომ კულავ მოსაპარავად აღარ მოხვიდე და იმ ფალეენის სადღეგრძელოდ გაპატიებ, რომელმაც შენ გამოგგზავნა აქ, თორემ ფერიებიც კი მოგკლავენ შენ, ამიტომ რომ დედაჩემი ფერიის ქალია და შვიდი ფერიის ქალები მყავს დედიჩემისაგან დადგენილი ჩემ ქეშიკებად, ფერიები ჩემზე მავნეს არ მოუშვებენ, მე შენი საკბილო არ გახლავარ რომ შენ დრო მიპოვნო და შენი წადილი აისრულო. იმ ოთხ ფალეენებისთვის ნუ შესწუხდებით, იმათ არაუჭირთა". რა ესე ელაპარაკა ასიმს, შემდეგ ერთი ხელი ხალათი უბოძა და უთხრა—ეხლა წადი თავისუფლად, მხოლოდ ეს ჩემი და შენი ამბავი ღმერთ გაფიცებ რომ არავისთან არ აღვიარო. მაშინ ასიმი გაანთავისუფლა; ასიმი დაღონებულ-დაძმარებული გაუდგა გზას და წავიდა.

ურდოები გაიარა და თავის კარავს მივიდა, ნახა რომ ხოსროვშირი იქავ ელის. ასიმი შევიდა, თაყვანი სცა, ქება შეასხა და მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, სინდთა ჯარიდამ ეს არის ეხლა გიახელ თავით ბოლომდის სულ დავიარე, მაგრამ იმ ფალეენისა ვერა გავიგერა. მე ისე ვგრძნობ რომ გუშინ ის ფალეენი ომში მოუკლავთ, თუ ცოცხალი ყოფილიყო ვიპოვნიდი". ესე სთქვა და დაჩუმდა. მაშინ ხოსროვშირი დიდად გაჯავრდა და უთხრა: „შენ ავო კაცო! მე თვითონ ვნახე რომ ცოცხალი უკან დაბრუნდა, მე როგორც გხედავ ჩემი ხელით შენი სიკვდილი მოხდებაო". ესე სთქვა და წავიდა თავის კარავში. შეწუხებულმა ხოსროვშირმა ტირილი დაიწყო, რა თავისმა ლალამ თვირ-დაშტიმ ნამტირალევი იხილა, ჰკითხა, ხელმწიფის შვილო, რატომ სტირი? ხოსროვშირმა პასუხი აღარ მისცა და დაღონებული დაჯდა, ლალამაც აღარა უთხრა რა.

აქ სინდელთა და ერანელთა ომი ძლიერი.

რა დილა გათენდა მეომარნი მოედანს გამოვიდნენ. ინდოეთის მხრიდამ საომარს ნაღარას ჰკრეს, უშანგმა რომ ისმინა ნაღარის ხმა, თვითონაც ბრძანა რომ საომარს ნაღარას ჰკრან, ესე ორნი ზღვისოდენი ლაშქარნი ამხედრდნენ და დასტები გააწყეს, მემარჯვენე და

მემარცხენე განაწესეს და დროშები აღმართეს—უშანგის ტახტი სპილოზე დადგეს. ხელმწიფენი და სულთანნი ყოველნი თავ-თავის ალაგას დადგნენ, რომელნიც ძალოვანნი ფალეანნი იყვნენ ხოსროეშირთან შეიყარნენ. ხოსროეშირი გაუძღვა და ჯარის წინ დაადგინა.—ნახეს რომ სარჯანი ჰინდი შავ მთასაებრ მოედანზე გამოვიდა და უშანგის მხრიდამ ფალეანი გამოითხოვა, რომელთაც სარჯანი იხილეს დიდად მოიწონეს, მაშინ საჰმარანდ ფალეანი ოცდაცხრა მწყრთის მქონებელი გამოვიდა მოპირდაპირედ, მძიმე იარაღით შეჭურვილი, სარჯანს დაუსისწორდა თუ არა შუბით შეუტია. სარჯანმა აიცდინა და მძიმე ლახტი შეუმაღლა, საჰმარანდმა ფარი იფარა. ლახტი ისე ძლიერად დაჰკრა რომ ფარი გახეთქა, მხარს მოხედა და ცხვირ-პირიდამ სისხლი წასქდა, გულშემოყრილი მიწას დაეცა. მაშინვე მოსცვივდნენ მაგრა შეჰკრეს და წაიყვანეს. შემდეგ თელარ-ქიშმირელი გამოვიდა, სარჯანმა ისიც ჩამოაგდო ერთის დაკერით. მაშინ უშანგი დიდად გაჯავრდა, ზე ადსდგა უნდოდა რომ თვითონ გასულიყო, ნახეს რომ ხოსროეშირის დასტიდამ ერთი თეთრწვერა ფალეანი გამოვიდა. თავით ფეხამდის რკინით შეჭურვილი. (ეს ფალეანი ხოსროეშირის ლალა თეირ-დაშტი იყო), მაშინვე სარჯანს შუბი მიუტანა, სარჯანმა ფარი იფარა და ათასი ცდით ძლივს აიცდინა. შემდეგ ისარი შესტყორცნა და ისიც აიცდინა. ამ გვარად დიდი ხანი იბრძოლეს ერთმანერთთან და ორმოცამდის იარაღი იხმარეს, მაგრამ ერთმანერთს ვერა აენესრა. სარჯანი ძლიერ განრისხდა და თავის მძიმე ლახტი მოუქნია. თეირ-დაშტიმ შეიდკეცი ფოლადის ფარი იფარა, ლახტი ძლიერად მოხედა და ფარი გახეთქა, თეირ-დაშტმა თავი მოარიდა, ლახტი მხარს მოხედა და უცნობო შეიქმნა, საჯდომიდამ თავდალმა ჩამოვარდა. რა ესე იხილეს სინდყლთა კიჟინა და ნალარის ცემა გაამრავლეს.

რა უშანგმა ესე იხილა, ისე განრისხდა რომ სიცოცხლე აღარ შერჩა. ამ ჟამად ერთი საშინელი ხმა მოვიდა ისე რომ მრავალმა გაკვირვებით აქეთ-იქით ყურება დაიწყეს. ხოსროეშირმა თავისი ლალა რომ ესრე იხილა, მაშინვე ერთი ნარა გასწია და გაჯავრებულმა შეუტია და შესძახა! შენ მოედანი ცარიელი დაგრჩომია? მოძიცადე და გაჩვენებ როგორი ძალი მაქვსო! რა ქეთან-შაჰმ ხოსროეშირი დაინახა ერთი დიდად ამოიოხრა და სთქვა: „თუ ეს ფალეანი არა ყოფილიყო, აქამომდე უშანგს ათასჯერ დავიმორჩილებდით“. ორთავ ლაშქარმა ხოსროეშირს ყურება დაუწყეს. რა სარჯანმა ხო-

სროვშირი დაინახა, მაშინვე ლახტი შეუმაღლა. ხოსროვშირმა ფარს აატაინა, სარჯანმა ერთმანერთზე სამი ლახტი სცა, ამით ხოსროვშირს ვერა აენორა. მაგრამ დიდი ძალა კი დაადგა. აიარებმა თეირდაშტი მოედნიდამ მოიტაცეს ცოცხალ-მკვდარი. ახლა რიგი ხოსროვშირს ერგო, თავის მძიმე ლახტი მოუქნია, სარჯანმა ლახტი უფარა, ლახტი ლახტს მოხვდა და ამ ორსავე ლახტიდამ ცეცხლი გამოხდა, სარჯანს ისეთი ძალა დაადგა რომ ასე ეგონა ძარღვები დამწყვეტეს, თავით ფეხამდის ოფლში გაცურდა და ძლიეს გადურჩა. რა ხოსროვშირმა იხილა რომ სარჯანი ვერ გადმოაგდო, მაშინ ისეთი ხმით შესძახა რომ იმ არე-მარემ ზანზარი დაიწყო და მეორედ მოუმარჯვა ლახტი, იმანაც ფარი იფარა, ვიდრემდის სარჯანი ხმალს ამოიღებდა, ლახტი ფარს მოხვდა და თავი ოთხი თითის სიერცეზე გაუხეთქა, პირზე სისხლი ჩამოედინა, ცნობა დაეფანტა, ძირს გადმოვარდა და შავს მთასავით ქვეყანას დაეცა. აიარებმა მოიწადინეს რომ მკლავები შეეკრათ და წაეყვანათ.

აქ ომი გულჩინისა და ხოსროვშირისა, ოდეს სარჯანი გადმოვარდნილი იხილა.

Ამ ჟამად გულჩინმა ხოსროვშირს შემოუტია, მაშინ სარჯანიც გონებას მოეგო, ხმალ ხელი გაიკრა და აიარებს შეუტია. აიარები გაიქცნენ. რა ხოსროვშირმა ესე იხილა ცხენს დეზი ჰკრა და სარჯანს მიუხტა, ხოსროვშირი შეშინდა ცხენს ხმალი არა ჰკრასო, მაშინვე ცხენიდამ გადმოვიდა და მთერალ სპილოსავით სარჯანს შეუტია, რა სარჯანმა ხოსროვშირი ქვეეითად იხილა ძლიერ იამა და კასკასით გაიცინა. ისე რომ ორთავ ლაშქართა ამ სიცილის ხმა გაიგეს, ხოსროვშირი იმას თვალში ეფუქსავტა და შესძახა: „აბა ეხლა შენ ჩემი ხელიდამ ცოცხალი სად გადარჩები? მაშინვე ხმალი მოუქნია, ხოსროვშირმა ფარი იფარა, მაშინ მივარდა და სარჯანს ისეთი მუშტი დასცა მკერდსა რომ სარჯანისთანა ფალეევანი გულაღმა დაეცა, უნდოდა რომ სარჯანი შეეკრა. იმ ჟამად ზურგში ერთი მძიმე ლახტი მოხვდა, ისე რომ ხოსროვშირისთანა ფალეევანი ცალ მუხლზე დააჩოქა. (ლახტის დამკვრელი გულჩინი იყო), თვისი მამა რომ ამ ყოფაში იხილა მოეხმარა, ხოსროვშირმა რა უკუ მიიხედა, ნახა რომ ერთ ყვითელ მარტორქაზე მჯდომი ფალეევანი თავს ადგა პირსაბურველ ჩამოფარებული და ხელთა მძიმის ლახტის მჭერალი. რა

წინ გასცილდა ხოსროეშირმა ხელი სტაცა და გამალებული მარტო-
რქა შეაყენა. რა გულჩინმა უკუ მიიხედა ნახა რომ ფალეევანს ხელი
უტაცნია და მარტორქის ფეხი უჭირავს დაჩოქილი; ხოსროეშირმა
ცალის ხელით მოზიდა გულჩანის ჩამოსაგდებლად, მაშინ გულჩინი
მსწრაფლ ჩამოხტა, ხოსროეშირს დაეძგერა, სარჯანიც გონებას მო-
ვიდა, ნახა რომ თავის ქალი იმ ფალეევანს ეჭიდება, სარჯანი ზე
აღსდგა და ჩინარის ოდენი მკლავები ხოსროეშირს შემოხვია. ხოს-
როეშირს ესე ორნი ფალეევანნი მამა და ქალი ებრძოდნენ და ორი-
ვე მხრის ჯარი ამათ თამაშას უყურებდნენ. უშანგ-შაჰამ და შარიბ-
შაჰამ რომ ესე იხილეს, დიდად შესწყინდნენ, ერანელთ და თურა-
ნელთაც დიდი მწუხარება შეექმნათ; ხოსროეშირმა ნახა რომ აღარა
გაეწყობოდარა, მარჯვენა ხელი გულჩინს შემოხვია და მარცხენა
სარჯანს, აქედამ გულჩინმა და იქიდამ სარჯანმა ორთავ რაც ძალი
ჰქონდათ ხოსროეშირი აზიდეს, ბევრი ეცადეს მაგრამ ვერ დასძრეს
ალაგიდამ, ხან დაიჩოქეს, ხან ადგნენ, ხან მოგვერდი ჰკრეს, ისე
რომ ჯაჭვნი და ჯავშანნი ერთმანერთს შეაფხრიწეს, ამ სამთა ფალე-
ვანთა ასეთი ომი გადაიხადეს რომ არაოდეს არ ენახათ იმ ჯარს;
დილიდამ მოკიდებული ვიდრე მზის ჩასვლამდის ირკინებოდნენ, ხო-
სროეშირმა შეატყო რომ დიაღ დაიღალნენ ორივე, ბოლოს ერთი
ხელით გულჩინი და მეორე ხელით სარჯანი აიყვანა თავს შემოიე-
ლო, ჯერ ერთი დასცა მიწას და მერე მეორე. მაშინვე აიარები მო-
სცვივდნენ მაგრამ გულჩინი მალე წამოდგა ფეხზე, გულჩინის თა-
ნამხლებელ შვიდას ქალებთაგანმა გულჩინი ცხენს შესვეს და წაი-
ყვანეს, მხოლოდ აიარებმა სარჯანი მაგრად შეკრეს და წაიყვანეს
უშანგთან.

რა ქეთან-შაჰამ ესე იხილა, მაშინვე ლაშქარს უბრძანა შეტევა,
იქით მხრიდამ ერანელნი და თურანელნი მიეტევნენ, ესოდენი ლაშ-
ქარი ერთმანერთში დაერივნენ. ისეთი სისხლის ღვრა შეიქმნა რომ
სისხლის ნიაღვრებს ხალხის თავებიც კი მიჰქონდა, თეთრი და შავი
ცხენი ხომ სულ აღარ ირჩეოდა, მარტორქები და სპილოები ერთ-
მანერთს ეძგერნენ, მამა შვილს და ძმა ძმას ველარა სცნობდნენ. იმ
დღეს ასეთი ომი შეიქმნა რომ დასაბამიდამ იმ დღემდინ იმისთანა
ომი არ მომხდარ იყო, ხან ერთი მხარე გააბრუნებდა, ხან მეორე
მხარე. იმ დღეს ხოსროეშირმა დიდი ფალეევნობა გამოიჩინა, ისე
რომ ყარამანსაც კი გაუძნელდებოდა, რამდენი დასტები დაშალა,
რამდენი ფალეევანი დახოცა, რამდენი ალმები ერთმანერთ ჰკრა,

ოცდა-ათი ათასი კაცი ხოსროვშირისაგან აბეზარი შეიქმნა, ვისაც ხმალსა სცემდა ცხენითურთ შუაზე აპობდა, მრავალი დახოცა მრავალიც დაკოდა, ვიდრე დაღამდა. რა ბინდმა დაჰკრა, ორსავ მხარეს გასაყარს ნაღარას ჰკრეს. უშანგი მობრძანდა მოედნის თავს დადგა, სარდლებს და ფალეევნებს თვალი გადააველო;—მრავალნი მოვიდნენ ხელმწიფეს თავი დაუკრეს, მცირეს ხანს შემდეგ ხოსროვშირიც მოვიდა სულ სისხლით გასერილი, ასეთი იყო რომ ზღვიდამ გამოსულ ნადირს დამსგავსებოდა. მოვიდა თუ არა ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა და გამარჯვება მოახსენა: „ხელმწიფეო, თქვენის დოვლათით დღეს კარგი გამარჯვება მოგვეიდაო“. მაშინ უშანგი და იქ მყოფნი ხელმწიფენი ყველა წავიდნენ უშანგ-შაჰას კარავში მივიდნენ. უშანგი ჩამოხტა და თავის ტახტს დაბრძანდა, დიდებულნი და მცირენი ყოველნი თავ-თავის ალაგას დასხდნენ. რა ხოსროვშირი შემოვიდა, ხელმწიფე ფეხზე წამოუდგა და თავი დაუკრა მდაბლად, ხოსროვშირმაც თაყვანი სცა და თავის ადგილას დაბრძანდა, შემდეგ ხელმწიფემ ბრძანა სუფრის მოღება და მეჯლისი გაიმართა.

აქ ესენი ამ ლხინში დაუტეოთ და მცირე ხანს ქეთან-შაჰას ამბავი მოიხსენიეთ. ქეთან-შაჰა ძლიერ დაღონებული დაბრუნდა თავის კარავში. სინდეთის ფალეევნებიც შეიყარნენ და თავ-თავის ალაგს დასხდნენ, მცირე ხანს შემდეგ გულჩინიც მობრძანდა და თავის ალაგს დაჯდა, მაგრამ თავის მამა რომ ვერ იხილა იმ კრებაში, ცნობა მიხდილსავით ტირილი დაიწყო და მოახსენა: „ხელმწიფეე, მამა ჩემი ერანელთ ტყვეა და იმათი ხუთი სარდალი ჩვენა გვყავსო, თუ თქვენი ნება იქნება უშანგს ელჩი გაუგზავნოთ მამაჩემი დაგვიბრუნოს და ჩვენც იმათი ფალეევნები დაუბრუნოთო“. ესეთი რჩევა სინდელთ ყოველმა მოიწონეს, ქეთან-შაჰამ ბრძანა და ერთი წიგნი დასწერეს, შემდეგ თქვა უშანგთან ვინ წავალ? გურგან-მშვილდოსანი ზეზე წარმოსდგა თავი დაუკრა და მოახსენა მე წავალო. მაშინ ქეთან-შაჰამ ორმოცი ფალეევანიც თან გააყოლა. გურგან-მშვილდოსანი შეიკაზმა იარაღით და გაემგზავრა. გულჩინიც მცირე ხანს იჯდა, შემდეგ წამოდგა თავი დაუკრა და დაღონებული თავის კარავში წავიდა, რადგანაც იმას სხვა ცეცხლი სწვავდა.

აქ ქეთან-შაჰისაგან გურგანის ელჩად გაგზავნა, გულჩინის მამის გამოსასსნელად და გულჩინის თან გაყოლა ხოსროვშირის ამბვის საცნობელად და ასიმის გაცრუება.

გულჩინი მიეიდა თუ არა თავის კარავს, თავის მხლებელი ქალებს უბრძანა რომ საღამური ტანისამოსი ჩაეცვათ და თვითონაც ჩაიცვა, შემდეგ გურგანს გაჰყვნენ. გურგანი თავის ბანაკს გასცდა და უშანგის ბანაკს მიეიდა, იქ ყარაულებმა კაცები გაატანეს და ხელმწიფესთან მიიყვანეს. უშანგის მეჯლისი ჯერ კიდევ არ მოშლილიყო. როდესაც ესენი მიეიდნენ, ნახეს რომ ორმოცდა რვა სვეტიანი ატლასის კარავი იდგა, ოქრომკედით მოქარგული, კარავის წინ მაშხალები ენთო ათას-შვიდასამდე, ისე უნათლებდა კარავს როგორც დღე. ჩაუშებმა მოახსენეს უშანგ-შაჰას რომ ქეთან-შაჰას ელჩნი გახლავანო. ხელმწიფემ მათი შემოყვანა ბრძანა, ჩაუშებმა შემოიყვანეს, გულჩინიც იმათში აირია და თან შეჰყვა. გულჩინის ნატერა ხოსროვშირის ნახვა იყო. რა რომ ესენი შინ შეეიდნენ, ცალს მხარეს საფი გასწიეს და დადგნენ, გურგანი წინ წარდგა მიწას აკოცა, უშანგი დალოცა და ქეთან-შაჰას წიგნი მიართო, უშანგმა თავის ძმას გადასცა შარიბ-შაჰას და მან წაიკითხა მაღლის ხმით, რაც რომ ეწერა ყოველმა ისმინეს. გურგანს საჯდომი ალაგი უჩვენეს, გურგანიც დაჯდა და პასუხს მოელოდა. გულჩინი მსახურებში იდგა და უშანგის მეჯლისს უჰვერეტდა, ნახა რომ ერთ ალაგას ერთი ფარჩის ქოლგა იდგა იმის ქვემოდამ ორმოცდა ოთხ კუთხიანი ტახტი იდგა მძიმედ დაფენილი, ზედ ხელმწიფე ბრძანდებოდა მურასა თაჯი თავს ეხურა შვიდი იყლიმის ქამარი წელთ ერტყა, შარიბ-შაჰაც გვერდით უჯდა, მათ უკან თორმეტი ათასი მურასად მორთული შინა ყმანი იდგნენ, ტახტის ქვეეით, ოთხასნი მცოდნენი ჰაქიმნი ისხდნენ, აგრეთვე სამოცდა-ათი დიდროვანი სულთნები და სარდლები ისხდნენ, ოქროს სკამებზე, ამათში თერამეტი ათასი ფალეენები სხვანი იხილა. ამათ გარდა სამი ათასნი ხელმწიფის შვილები და შვიდასნი აიარნი ხელმწიფის წინ მდგომნი, მხოლოდ სამნი აიარნი ეერცხლის სკამებზე მსხდომნი, ყველა აიარებზე წინ ისხდნენ და რუბაბს უკრავდნენ, ამათში ერთი იცნო რომელიც ასიმი იყო. საითაც ასიმი იჯდა გულჩინს დგომა იქ მოუხედა, ასიმს უცხო მურასა ხანჯლები აქეთ-იქით გაერჭო. ეიდრე ქეთან-შაჰას წიგნს წაიკითხავდნენ და იქ მსხდომნი

იმ წიგნის პასუხს შეიტყობდნენ, გულჩინმა ასიმს ორი ხანჯალი მოჰპარა წელიდამ. შემდეგ გულჩინმა ხელმწიფის შვილები დაათვალიერა, ნახა რომ ყოველის ზევით ერთი მურასა სკამი იდგა, ზედ ორმოცდა ცხრა მწყრთის სიმაღლის მქონებელი ფალევანი, უცხოს ტანისამოსით მორთული, ხელმწიფის სიახლოვეს იჯდა და იმის პირისახის სილამაზეს ის მეჯლისი გაენათლებინა, ხელმწიფე როცა ელაპარაკებოდა ასე ეუბნებოდა: „ჩემო თვალის სინათლეო“, ასე ესაუბარლებოდა. გულჩინმა რა თვალი დააკვირა, მაშინვე იცნა რომ ის ფალევანი იყო რომელიც პირ-საბურველით გამოდიოდა ხოლმე მოედანზე, რომელმაც სამჯერ მოერია გულჩინს და რომლის არშიყიც შექმნილიყო. უნახავად. თურმე ასიმი ატყუებდა ხელმწიფის ყულიაო, ახლა უშანგის ჯარში კი ამის მეტი უფროსი არავინ იხილა, ვინცავინ იყვნენ ყოველნი თაიაზიანად ემსახურებოდნენ და ათასი ასიმისთანა ხელმოჭდომილნი ადგნენ თავს.

— გულჩინმა როდესაც ხოსროვშირი ესე იხილა, ეშხის ცეცხლი მოედვა და დიდად ამოიოხრა, ისე რომ ლამის ცნობა მოელო, მცირე ხანს მოიცადა და თქვა თავის გულში: „ამდენი ხანია მე ფალევნობის დავას ვეწევი, მაგრამ ახლა მსურს რომ ერან-თურანელთა საძრახისათ შევიქმნა!“ რა ამისთანა ფიქრებში იყო, თავისთან ერთ მდგომ აიარსა ჰკითხა: „აიარო, ის ყველას ზევით ფალევანი რომ ზის ის ვინ არისო?“

— აიარმა უპასუხა: „ხელმწიფის შვილია, სახელად ხოსროვშირი ჰქვიან, უშანგის ძმის-წულია, შარიბ-შაჰას შვილია, მეტად უცხო ფალევანია“.

გულჩინმა ჰკითხა: პირ-საბურველ ჩამოფარებული რომ გამოდის მოედანზე იგია, რომელმაც სარჯანი დაიჭირა? აიარმა უპასუხა სწორედ იგიაო. გულჩინმა კვალად ჰკითხა: პირს საბურველს რათ იფარავს როცა მოედანზე გამოდის? აიარმა უპასუხა მეტად ლამაზია და იმიტომ რომ, თვალი არ ეცვეს. გულჩინმა ალარა ჰკითხარა.

უშანგმა რა ქეთან-შაჰას წიგნი წაიკითხა, მაშინვე ბრძანა: სარჯანი ხელშეკრული მოიყვანეთ ჩემ წინაშე. მსწრაფლ მოიყვანეს სარჯანი მაგრამ სარჯანმა იმედი გადაიწყვიტა და თავიდამ ხელი აიღო. რა კარავს შემოიყვანეს, ნახა რომ უშანგის მეჯლისში გურგან-ბელად-ქამანი დგას ხელმწიფის წინ. კვალად თვალი დააკვირა და სხვა სინდელნი ფალევანნიც მრავალი იხილა. მაშინ მიხვდა სარჯანი რომ თავის გამოსახსნელად მოსულიყვნენ, ცოტა არ იყოს

იმედი მიეცა გულსა. უშანგმა რომ დაინახა, მაშინვე ბრძანა რომ ხელები აეხსნათ, ხელები აუხსნეს სარჯანს და მძიმე ხალათი მიართვეს და სულთნებთან დასვეს. რა უშანგისა ამისთანა წყალობა ნახა, დიდად გაუკვირდა და ქება შეასხა. რა გულჩინმა თავის მამა თავისუფლად იხილა, დიდად გამხიარულდა. რომელნიც უშანგ-შაჰას თან ფალეევანნი მოსულიყვნენ იგინი ყველანი უკან დაუბრუნა და შვიდნი სხვა დაჭრილნი ტყვენიც, მხოლოდ გურგანი, სარჯანი, გულჩინი და რამდენიმე ფალეევანნი იქ დარჩნენ. იმ წამსვლელ ფალეევნებს დაბარა გურგანმა რომ ქეთან-შაჰამაც დაუბრუნოს უშანგს თავის ტყვები. სარდალნი წავიდნენ და ქეთან-შაჰას ყველა მოახსენეს. მაშინვე ქეთან-შაჰამ ტყვეების მოყვანა ბრძანა, ტყვები რომ მოასხეს, ამათაც ხალათები უბოძა და ისე გამოისტუმრა. რა მოვიდნენ უშანგს თავი დაუკრეს და ქება შეასხეს. ხელმწიფეს დიდად იამა თავის ფალეევნების ნახვა. ვინცავინ ფალეევნები და სარდლები იყვნენ, ყოველნი ზე ალსდგნენ და მოესალმნენ სიყვარულით. ხელმწიფემ იმათ ყველას ხალათები უბოძა და თავ-თავის ალაგას დასხდნენ.

იმ ჟამად რა სინდთა ფალეევნებმა უშანგისა ამისთანა გულმოწყალეობა იხილეს, დიდად გაუკვირდათ და სთქვეს: რადგანაც ამისთანა სიუხვე სჭირებია, ამიტომ დაუჭერია ამდენი ქვეყნებიო. გულჩინსაც დიდად მოეწონა იმათი იმ გვარი ქცევა. უშანგმა გურგანს თვალი დააკვირა ნახა რომ ორმოცდა ერთი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, სახე მამაცური და საშინელი სანახავი, დიდად მოეწონა. წელთ ერთი მორთული მურასა ქარქაში ერტყა, ერთიც უცხო მშვილდი ჰქონდა, იმისთანა მშვილდი უშანგს არაოდეს არ ენახა. იმ ჟამად ისეთი წესი იყო რომ ფალეევნები იარაღებით შეიკაზმებოდნენ და მეჯლისში ისე დასხდებოდნენ. უშანგმა გურგანის მშვილდი ვეზირებს ანიშნა, იმათაც დიდად გაიკვირვეს. შარიბ-შაჰამ ჰკითხა სარჯანს, ეს ფალეევანი ვინ არისო და ან რა ჰქვიანო? სარჯანმა მოახსენა: „ამას გურგან-ბელად-ქამანი ჰქვიანო, დასაბამიდამ ამათი გვარი ვიდრე აქამომდე სულ მშვილდოსანნი არიან. ასე რომ ამის მოწეულს მშვილდს ვერავინ მოსწვესო“. სარჯანმა რომ გურგანი ასე აქო, ერან-თურანელნი დიდად შესწუხდნენ და მთვრალ ლომებივით აქეთ-იქით ღრენა დაიწყეს და იძახდნენ: „სინდელებმა მშვილდის მოწვევა და ისრის სროლა რა იციანო“!? სარჯანმა რომ ესე გაიგო, გურგანს მშვილდი გამოართვა და შარიბ-შაჰას წინ დაუდო, შარიბ-შაჰამაც უშანგს მიართვა, უშანგმა მცირეს ხანს გასინჯა, თე-

მურნარას მისცა (თემურნარა ერანში გამოჩენილი მშვილდოსანი იყო). თემურნარა მაშინვე ზეზე წამოდგა თავი დაუკრა და რაც ძალა ჰქონდა მოსწია, მაგრამ საბელიც კი ვერ დაუძრა, მეორეთაც ეცადა, ვერც მაშინ დასძრა, დიდად იწყინა და მშვილდი ხელმწიფის წინ დასდვა, მერე მეალი-აჯაზნელი წარმოსდგა, ისიც დიად ნაქები მშვილდოსანი იყო, მაგრამ ვერც იმან მოზიდა, ასეთი ძალა დაატანა იმ მშვილდმა რომ ორსავე ცხვირის ნესტოდამ სისხლი წასქდა, მაგრამ ვერც თუ იმან დაუძრა საბელი, შემდეგ სამანდუხს გადასცა, ვერც სამანდუხმა მოსწია. ისე რომ ყველა უშანგის გამოჩენილმა ფალავნებმა სცადეს მაგრამ ვერა გააწყესრა.—სირცხვილით ყველამ თავი დაღმა დაჰკიდეს. უშანგი დიდად შესწუხდა, იმიტომ რომ რათა ეკითხე მშვილდის ამბავიო და ან რათ დავრჩი ამათში სირცხვილეულიო.

რა ხოსროვ-შირმა უშანგი შეწუხებული იხილა, ხე წარმოსდგა თავი დაუკრა და მოახსენა: „შეიდთა იყლიმითა მპყრობელო ხელმწიფეე! თქვენ ამისთანა მცირე საქმეზე არაოდეს არა გმართებთ მწუხარება, თუ მიბოძებთ მეცა მსურს ვცადო". ხოსროვ-შირმა მშვილდი ხელთ აიღო და ერთ სინდ უთხრა: ერთი ამისთანა მშვილდი თუ გაქვსთ კიდე სხვა მოიტანეთო, სინდმა მსწრაფლ მოართვა, ხოსროვ-შირმა გამოართვა, ერთმანერთზე მიაკრა და ღვთის სახელი ახსენა, ისე მოზიდა ის ორი მშვილდი რომ ორივე ჩინჩხვარიევით დამტერია. რა უშანგმა ესე იხილა დიდად იამა და უთხრა: „ჩემო თეალის სინათლეე შვილო, შენი პირი ყოველთვის ნათელში ამყო ფოსლმერთმა, როგორც ჩემი სახელი გაადიდეო". სინდელები ძლიერ გაკვირვებულნი დარჩნენ, იმიტომ რომ, ვიდრე სამას ფალავანმა გამოსცადა და ვერც ერთმა ვერ მოსწვიეს და ამ ერთმა ფალავანმა ორ-ორი მოსწია. (გულჩინმა ადრეე იცოდა რომ თუნდა ოთხი იმოდენა ყოფილიყო იმასაც კი მოსწვევდა). ამას გარდა ხოსროვ-შირმა სხვა და სხვა ჰუნრები აწარმოვა. ისე რომ ერანელნი ძლიერ გამხიარულდნენ. უშანგმა ხოსროვ-შირს ერთი იმისთანა ხალათი უბოძა, რომ ერთ ქვეყნის ფასად ღირდა. თუნდ გულჩინს ერთი ცეცხლი სწვაედა, ახლა უფრო ათასი ალი მოედო ხოსროვ-შირისა და აღარ უნელდებოდა. სინდთა ფალავანთა დიდად შერცხვათ ხოსროვ-შირისა, რიდესაც ორი ერთად მოსწია. მაშინ გურგანი ფეხზე წარმოდგა და იმისთანავე მშვილდი მოატანინა. ორი ერთმანერთზე გადააბა და იმანაც მოსწია, ისეთ ძალით მოსწია რომ ერთი მთისთვის

რომ მოეწია, ისიც კი ძირითურთ მოიგლიჯებოდა, მაგრამ საბელიც ვერ შეუძრა. გურგანი სირცხვილით დაიწვა და არ იცოდა თუ რა ექმნა. შემდეგ უშანგს წინ დაუდგა და თავჩამოკიდებით დაჯდა თავის ალაგს. სინდის ფალავნებიც შესწუხდნენ და სარჯანმა ხომ უშანგისაკენ სირცხვილით ველარ მიხედა და თავისთვის სთქვა: ეს როგორ მოხდა რომ ერთი ყმარწვილის მოწეული მშვილდი ამდენმა ფალავნებმა ვერ მოსწიესო? ესე სთქვა და თავი დაჰკიდა. იმ ჟამად გულჩინი მოსამსახურეებში იდგა, რა თავისი მამა სარჯანი ისე შეწუხებული იხილა და სინდთა ფალავნები, მაშინვე წინ წარსდგა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და დადგა. ყოველმა სულმა გულჩინს ყურება დაუწყეს და ჰკვირობდნენ თუ ვინ უნდა იყოს ეს გაბადრულ მთვარის მსგავსი და ტანად ალვის ხისა? თვალ წარბი შაე მელნის ტბას უგავდა. მაშინ ხელმწიფე დალოცა და ქება შეასხა.

— მე ქეთან შაჰის მცირე მსახური გახლავარ, საწყინოდ ნუ მიიღებთ თუ შეიძლებოდეს მეც გავსინჯო მშვილდი. გულჩინმა აიღო ხელთა შეათამაშა და ივარჯისა, ეს მშვილდები იმ მშვილდებზე ნაკლები არ იყო, მოსწია და სამჯერ წვერი-წვერს დაუდვა. მაშინ ერანელ სარდლებს დიდად გაუკვირდათ, სინდნი დიდად გამხიარულდნენ ამ მშვილდის მოწვევაზე. უშანგსაც დიდად მოეწონა და სთქვა: „ამდენ ფალავნებში ერთი მოსამსახურე წამოდგეს და მშვილდი მოსწიოს და ამდენმა ფალავნებმა კი ვერაო?“ ხოსროვშირმა იცნა რომ ეს ის ქალია რომელიც სამჯერ დაემარცხებინა. გულჩინმა შენიშნა ხოსროვშირი რომ არაფერი არ შეიმჩნია. თავის გუნებაში სთქვა გულჩინმა, ბარაქალა ამის ვაჟკაცობას რომ არც მე შემარცხვინა და არც თავის თავი, და თავი შეიმაგრა. ხოსროვშირმა თავის მშვილდი მოითხოვა, მსწრაფლ მოართვეს, ხელში აიღო და სამოცდა-ათი ვარჯისობა ჰქმნა, ისე რომ ყველას გაუკვირდათ იმის იმგვარ ვარჯისობაზე და დიდი ქება შეასხეს. შემდეგ ორმოცჯერ მოსწია იგი მშვილდი, მერე გულჩინს გადააწოდა. გულჩინმა ხოსროვშირს მშვილდი ჩამოართვა და მაშინ ხელი-ხელზე მოუჭირა, გაულიმა კიდეც და გოზაზე აკოცა. გულჩინი ბევრს ეცადა მაგრამ ვერ მოსწია, შემდეგ სარჯანს მისცა, ვერც იმან მოსწია, ისევ ხოსროვშირის წინ დასდვეს მშვილდი. ქება შეასხა და ბოდიში მოითხოვა. უშანგმა სინდის ფალავნები დაითხოვა, იმათაც ხელმწიფე დალოცეს და წავიდნენ. იმ ღამეს ქეშიკი ყაჰყაი-ფილურსარ იყო. წინ გაუძღვა და თავიანთ ჯარს გააცილა. ხოსროვშირიც თავის სადგომს

წავიდა, მცირე ხანს დადგა და თავისი მოსამსახურენი ყველანი დაითხოვა, ყველანი წავიდნენ თავისსა კარავს.

აქ ქეთან-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ. იმ ქამად სარჯანი და გურგანი ქეთან-შაჰასთან რომ მივიდნენ ფალეევნებით, ქეთან-შაჰა სარჯანს წინ მოეგება და სალამი უძღვნა: შემდეგ თავის ალაგს დასხდნენ. სარჯანმა უშანგისა და ხოსროვშირის ამბავი ყველა დაწერილებით უამბო და გურგანის უნარიც, გულჩინის ამბავი კი არ გაუმჟღავნა. შემდეგ ქეთან-შაჰას სხვა მიზეზით დაეთხოვა და ყველანი თავ-თავის ალაგს წავიდნენ. გულჩინი რა წამსაც მივიდა თავის კარავში, მაშინვე ტანისამოსი გაიხადა და სხვა ტანისამოსით მოირთო, ხოსროვშირის ეშხზე დიდი ლხინი გამართა, ხოსროვშირის ხელმწიფის შვილობის შეტყობაზე დიდად იყო გახარებული, იმიტომ რომ ასიმს ეთქვა, ის უშანგის მსახურიაო, იმის სიმტყუნის გულისთვის უფრო იყო გახარებული და არ იცოდა თუ სიხარულით რა ექმნა. ასიმი ეუბნებოდა იმ ფალეევანზე რომ ის უშანგის ყულიაო და იმის სახელი ყაზამფარიაო, მაგრამ ის კი ხოსროვშირი იყო.

აქ ხოსროვშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდთა ლაშქარში გულჩინის საცნობელად და ასიმისაგან ძაგება გულჩინის წინაშე.

ხოსროვშირმა ასიმი გასაგზავნათ მოამზადა, ასიმმა წელთ ქამარი შეისხნა, ნახა რომ ორი ხანჯალი აღარა ჰქონდა, — დიდად ამოიოხრა და სთქვა: „ის ხანჯლები გარდანქეშანმა მომცა თავის სახსოვრად.—ეტყობა რომ უშანგის მეჯლისში აიარი ყოფილა. ასიმი ძლიერ შესწუხდა და კვალად სთქვა, ხვალ და ზეგ გარდანქეშანი რომ მოვიდეს და მკითხოს ჩემი მოცემული სახსოვარი ხანჯლები რა გიქნია, რა პასუხი უნდა მივცე? თუ უთხრა ხელმწიფის მეჯლისში მომპარეს, რას მეტყვის, არ მეტყვის თუ შენ რიღის აიარი ხარ, როდესაც წელიდამ ხანჯლებს გპარავენ და არ გესმისო!?—ესე რომ მითხრას მაშინ მე სიკვდილი მირჩევნია“. ესე სთქვა და კარში გავიდა, ნახა რომ ხოსროვშირი იმისაკენ მოვიდოდა, წინ მიეგება, თაყვანი სცა და შინ შემოვიდნენ. მივიდა და ასიმის ტახტს დაჯდა და ასიმს უბრძანა: „ასიმ, დღეს ხომ ნახე მე რომ ფალეევანი შემება პირსაბურველიანი!? შენ უნდა წახვიდე და უეჭველად შემიტყო თუ

ის ვინ არის, ან ვისი შვილია?". ესე უთხრა და ძლიერ შეეხვეწა, ისე რომ თვალთა ცრემლები მოუვიდა. ამალამ ამას თუ დამემსახურები, იცოდე რომ დიდ საჩუქარს მიიღებ. ასიმმა ხოსროეშირის წინ მიწას აკოცა და მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, გათენება მოახლოებულია მაგრამ თქვენი გულისთვის წავალ, მეტი რა ღონე მაქვს?".

ასიმმა მაშინვე გასწია და წავიდა, ასიმი სინდის ლაშქრის ბანაკში შეიპარა, ნახა რომ გულჩინის კარავში, საზანდრების ხმას ქვეყანა მოეცვა. ასიმმა თვისი მოსელა შეატყობინა, გულჩინს ასიმის მისელა ძლიერ იამა, შეიყვანეს ასიმი; გულჩინს თავი დაუკრა, ნახა რომ გულჩინს პირსაბურველი აეხადა და ძლიერ მხიარულათაც ზის; ასიმს საზანდრებთან ადგილი უჩვენეს და დასვეს. ასიმმა თავის რუბაბი (საკრავი) ამოიღო, ჭახრაკი მოუმართა და მცირე ხანს დაუკრა, შეხედა ნახა რომ თავის დაკარგული ხანჯლები გულჩინს წელში ურჭვია, ასიმი ძლიერ შეწუხდა და თავი ძირს დაჰკიდა და ჩაფიქრდა, გულჩინმა მაშინვე შეატყო რომ ხანჯლები იცნა და იმიტომ მოიწყინაო. შემდეგ ასიმი წინ წარსდგა და მოახსენა გულჩინს: „საწყინოდ კი ნუ მიიღებთ და ეგ ხანჯლები ვისი გაკეთებულიაო?" გულჩინმა სიცილი ველარ შეიმაგრა და უთხრა: „ასიმ გურგანი რომ მამიჩემისთვის მოვიდა უშანგთან, ერთი აიარი მყავს ისიც იმას გამოჰყვა და იმას ეშოვნა და მე მომიტანა". შემდეგ უთხრა: ასიმ დღეს ომში არა სჩანდი სად იყავ? ასიმმა მოახსენა: „ხელმწიფის ასულო, მე ვინა და ომი ვინა, როდესაც საომარ ნაღარის ხმას გავიგებ, მე შიშით გულ შემომეყრება ხოლმე, თავს რასმეს წავიხუარავ და ძილს მივეცემი, ან არა და—როდესაც ომი ასტყდება მე შორიდამ თამაშას უყურებ ვიდრე ომი გადასწყდებოდეს და მაშინ მოვალ ხოლმე. უშანგი რამდენჯერ ეცადა რომ ალმების ძირში დავმდგარიყავ მაგრამ ვერ დამაყენა, ნახა რომ შიშით ეკვდებოდი, მას შემდეგ ხელი აიღო". აქეთ-იქით ქალებმა ბევრი იცინეს და უთხრეს: „ცოდვა არ არის რომ შენ კაცი გქვიან და ჩვენ ქალები? ჩვენ ყოველ ომში ფალავნებს ვებრძვით და დიდი სირცხვილი შენთვის რომ ეგრე მხდალი ყოფილხარ".

ასიმმა უთხრა: „მე როგორც საქმეს ეხედავ, ცოტაც რომ დავრჩე თქვენთან, იქნება მთლათაც გავგიჟდე". ასიმი გულჩინს ბევრჯერ ენახა ომში რომ ასიმის ნაჯახს ბევრი ფალავანი მოეკლას და გულჩინის ლალა გულნაზი გულჩინის წინ მძიმედ დაეჭრა და იმ მეჯლისშივე იწვა. გულჩინმა ლალაზე არაფერი უთხრა, მაგრამ ასიმმა

შეამჩნია ავადმყოფს რომ ის იმ დღეს თვითონ დაეჭრა მძიმედ მკლავში—და თავის გულში სთქვა, შენი მტერი იყოს ასიმ, თუ ამ დაკოდილმა ფალეევანმაც გიცნას, აბა მაშინ იხსენ აქედამ თავი. მაშინვე პირი მოარიდა და ზურგი შეუქცია და ისე დაჯდა. გულჩინმა შეამჩნია რომ ასიმი გულნაზისაგან შეშინდა. გულჩინმა უთხრა: „ასიმ, დღეს ერთმა ფალეევანმა ჩემი ლალა დასჭრა ის სულ შენა ბგავს, მაგრამ ის შენზე ცოტა მაღალია. ესე უთხრა და სიცილი დაიწყო. გულნაზმა გულჩინს შეხედა და მოახსენა: „მართალს ბრძანებ სწორედ მაგას ჰგავდა, ეგ არის თუ? გულჩინმა დაფარა და უთხრა: ეს არ არისო და ღიმილი მოუვიდა. ეს ის არ არის, იმას შიქარგი ჰქვიან, გურგანი ელჩად რომ წავიდა, მაშინ იმისთვის ორი ხანჯალი წელიდამ მოეპარაო. ასიმმა ხანჯლის ხმა რომ გაიგო, საწყლად შეხედა გულჩინს და მოახსენა: „სწორედ ბრძანებთ იმას შიქარგი ჰქვიან, ქეიეან-შაჰას აიარია, ამისთანა ხანჯლებს ისა ხმარობს ომში“. გულჩინმა სიცილი ვეღარ შეიმაგრა და უთხრა: ასიმ სწორედ ამბობ, მე ის უშანგის მეჯლისში ენახე ერთ ვერცხლის სკამზე იჯდა და რუბაბს უკრავდა შენსაებრ. ასიმი გაოცდა და ფიქრობდა თუ ამას უშანგის მეჯლისი სად უნახავსო, მართალია თუ არა ასიმ? ეს გაუშვათ, დღეს რომ მამაჩემს ეომებოდა ის ვინ იყო და ან რა ჰქვიან იმას? მე იმისთანა მოხდენილი ფალეევანი არ მინახავს. ამ თქმაში დიდად ამოიოხრა. ასიმმა მოახსენა—„იმას ყაზამფარი ჰქვიან, ის ხელმწიფის ყულია, მაგრამ დიაღ ძალოვანი ფალეევანია, იმას ბევრი ურიკო ზნე სჭირსო“. გულჩინმა სთხოვა, ასიმ მიამბე იმის ზნე და ხასიათი. ასიმმა მოახსენა: „პირველი იმის წუნი ის არის რომ დედაკაცი არ უყვარს, როცა დაითვრება და შინ მიეა, თუ დედაკაცი ვინმე შეხვდა მაშინვე მოჰკლავს, უშანგმა ორი ხელმწიფის ქალები შერთო მაგრამ, იმ საწყლებს ორიეეს ხელები დააჭრა, იმ საქმისთვის ის ორი ხელმწიფე გადაიმტერა, ბევრი ომები გადაიხადეს მაგრამ ის ორნიეე ყაზამფარმა დახოცა. უშანგმა რამდენჯერმე იმის სიკვდილი დააპირა, მაგრამ რადგანაც ძლიერი ფალეევანია, ყარამანმა არ მოაკვლევინა, ახლა უშანგის ლაშქარში ყარამანის მეტი არავინ იპოება იმაზე ძალოვანი და გულოვანი, ყარამანმა რამდენმეჯერ ჯაჭვებითაც კი დაბა, რადგანაც ჭირეეულია, შემდეგ თვითონვე შეეხვეწა ხელმწიფეს და აშვებინა, მაგრამ მაინც კიდევ არ დაიშალა. ამას გარდა მრავალი აეი ზნე სჭირს კიდევ სხვა ბევრი, თვითონ კი ძალოვანი ვაჟკაცია, ისე რომ იმის ქებას ჩემ პირს ვერ

ვათქმევინებ“.

რა გულჩინმა ასიმისაგან ამისთანა დაფოლება მოისმინა, შეატყო რომ ასიმი იმისი მტერი ყოფილა და რასაც იმაზე ლაპარაკობდა სულ ტყუილი იყო; შემდეგ უთხრა: „მაშ შემატყობინე ასიმ, იმას ფალეევნობის შესაფერი სახე როგორი აქვს?“ „თუ მკითხავ მართალს მოგახსენებ: ასეთი სახე აქვს რომ კაცმა შეხედოს შეეზიზღება და შიშით ნალველა გაუსქდება—თვალები, ელამი აქვს, წარბები სრულიად არა აქვს, პირი ყვავილისაგან დაგლეჯილი, მეტად ავთვალადი და საზიზღარია, ისე რომ უშანგის ჯარში იმაზე ავთვალი კაცი არ არის, ამ მიზეზით პირს საბურველი აფარია“.

გულჩინს დიდად გაუკვირდა და თავის გულში სთქვა, ნეტა ეს აიარი რას ემართლება ხოსროვშირს რომ ამდენ ტყვილს უგონებსო? დიდად იწყინა გულჩინმა და შემდეგ უთხრა ასიმს: „კარგი, გაუშვი მაგისთანა ლაპარაკი, ახლა დაუკარ შენი დამბურა“. ასიმმა მიჰყო თავის საკრავს და ისეთი ხმით დაუკრა, რომ მისის ხმით ყოველნი დატკბნენ. რა რომ გათენებამ მოატანა, გულჩინმა ასი ოქრო, ერთი ხალათი და ერთიც ხანჯალი უბოძა და ასიმი შინისაკენ გამოემგზავრა დაღონებული.

აქ ასიმის მოსვლა ხოსროვშირის წინაშე.

როდესაც ასიმი მოვიდა თავის კარავს, ნახა რომ ხოსროვშირი ისევ თავის კარავში იჯდა ამბის მომლოდინე. ასიმი წინ წარდგა და თაყვანი სცა, ხოსროვშირმა შეხედა ნახა რომ ასიმს ერთი ხალათი ტანზე აცვია და უბეშიც ერთი ქისა ფლურები უდევს და წელზეც ერთი მურასა ხანჯალი არტყავს და თვითონაც მთვრალია. ხოსროვშირმა ჰკითხა: „აბა ჩემო ერთგულო ასიმ, რა ამბავს მეტყვი?“

ასიმმა დაღმეჭით უთხრა: „ხელმწიფის შვილო, აქედამ რომ წაველ არსად არ დამდგარვარ, სინდთა ჯარში რაც კი კარვები იყო, თითო-თითოდ დავიარე და ვერა გავიგერა“. ხოსროვშირმა შეატყო რომ ასიმი სულ ტყვილად ყბედობდა. თავის გუნებაში თქვა: ამაში ერთი ეშმაკობა რამ არის უეჭველია. ჰკითხა ასიმ! ეგ ხალათი, ოქროები და ხანჯალი სად იშოვე? ასიმმა მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, სინდთა ჯარის კარავს მიველ და იქიდამ ვიშოვე“. ხოსროვშირმა უთხრა:—აბა ვნახო ეგ ხანჯალი ვისი ნაქონიაო? ასიმმა ანახვა ხოსროვშირს, ხოსროვშირმა დახედა და დიდათ მოიწონა, ტარზე

ეწერა: „სარჯანის ქალის გულ ჩინისა ვარო“. ესე რომ წაიკითხა და იმის სახელი გაიგო, უფრო მოედო ეშხის ალი, დიდათ ამოიოხრა და ყარამნის მზგავსი თვალები ცრემლით აევსო, იმ ხანჯალს დაუნოსა და საყვარლის სუნი მოედინა, ხანჯალი გულზე მიიკრა და იმით დაკმაყოფილდა მცირე ხანს. ასიმს დიდად გაუკვირდა და ის ხანჯალი ხოსროეშირს უთავაზა. ხოსროეშირმა დიდად გაიხარა და ისე მიიღო რომ ვითომც გულჩინთან იმყოფებოდა და მასთან მუსაიფობდა, მაშინ მხიარულად ადგა და თავის სადგომს წაიიდა. რა დილა გათენდა ორსავე მხარეს საომრად დაემზადნენ და დასტებად გაეწყვნენ.

ქეთან-შაჰამ ბრძანება გასცა რომ დღეს სპილოებით უნდა ეიომოთო. ას-ორმოცი-ათასი სპილო ერთის მხრიდამ გაუშვეს, ასე რომ ამათმა ყვირილმა ქვეყანა მოიცვა. სპილოებს მოსდევდნენ ასი ათასნი სინდისტნის ჯარნი, ხმალ ხელ-მოკრულნი ნარა გასწიეს და უშანგის ჯარს შეუტიეს, უშანგმა ნახა რომ სპილოები საომრად მოურთავთ, ზურგზე ხმლები დაუკრავთ და ციხეები გაუკეთებიათ, შიგ თითო ფალეევანი ჩაუსვავთ და ზოგს ზამბურაკი და ზოგს სხვა და სხვა იარაღი უჭირავთ, სპილოები ერთმანერთზე იყვნენ გადაბმულნი, მემარჯვენე და მემარცხენე სარდლები განწესდნენ თავ-თავის ალაგას. ხოსროეშირმაც ოცი ათასი კაცი მარჯვენა მხრისაკენ გაისტუმრა, ორი ათასი კაცით შარიბ-შაჰა ბაირაღებთან დაადგინა. სხვანი მრავალნიც სხვა მხარეს განაწესა და სინდებს ოთხმოცი ათასი სპილოც წინ მიაგება. ახსენეს ღმერთი და ისე შეებნენ მტერს. ერთ მხარეს ას-ორმოცი-ათასი სპილო და მეორე მხარეს ოთხმოცი ათასი სპილო, ეს სპილოები ერთმანერთში დაერიენნენ და ასეთი ომი შეიქმნა, რომ ყოველი კაცი გაოცებულ იყო ამ სპილოების ომზე, მრავალი კარგი ფალეევნები მოშორდნენ წუთ-სოფელს ორიეე მხრიდამ; ერანელთ, სინდელთ და ჰინდელთ, ასეთი ომი შეექმნათ რომ მათი გამშველებელი ღვთის მეტი არაევინ იქნებოდა. სპილოების ხმით ქვეყანა იძროდა და ყურთა სმენას უკარგავთა კაცს.

იმ დღეს იმ ომის ხმიანობის და გრგვნის შიშით, ზღვაში ნიანგნი და მთაში ნადირნიც კი დაფრთხნენ, ორიეე ლაშქარი სპილოებისაგან ბეზარი შეიქმნენ და არ იცოდნენ თუ რა ექმნათ, სპილოების ფეხქვეშ მრავალი გაისრისა და ვერაფრით გააშორეს ერთი-მეორეს, ორიეე მხრის ხელმწიფენი დიდად სწუხდნენ ამ სპილების შეებმაზე. სპილოების ხმაზე ცხენნი და მარტორქანი დაფრთხნენ და გა-

დაიხვეწნენ. სპილოების გასაშორებლად რომელნიც მიდიოდნენ ყველას ხოცდნენ და შიშით ველარაინ მიუდგა. მაშინ შორ დადგნენ დასტები და ყურება დაუწყეს.

სარანდიბის მთის კალთაში, ხოსროეშირი თორმეტი ათასი ხელმწიფის შვილებით დაეიდოდა და ეარჯისებდა, ხან ერთ დასტას შეატეეინებდა ხან მეორეს, იმიტომ რომ უბრალოდ არაეინ მოენადირებინათ. ხოსროეშირმა ნახა რომ ერთ მხარეს ოცდა-ათი-ათასი მტრის მეომარი დგას სულ დართულნი მარგალიტის ტანისამოსებით და პირ-საბურველ ჩამოფარებულნი. ამათ შეუტია, ამათში ერთი იხილა, უფრო მურასად მორთული ისიც პირსაბურველიანი, ერთ უცხო მარტორქაზე მჯდომი ცალკე იდგა და სპილოების ბრძოლას უყურებდა. ხოსროეშირმა იცნო რომ ის გულჩინი იყო. ხოსროეშირმა ომიდამ ხელი აიღო და გამობრუნდა, სპილოები კიდე საშინელ ბრძოლაში იყენენ. მაშინ ერთი რაღაც საშინელი ხმა მოესმათ სარანდიბის მთიდამ, იმისთანა ხმა იყო რომ ცა ქვეყანაზე დაცემის ხმას ემზგავსებოდა. ამისთანა ხმაზე სპილოები გაშეელდნენ და გარეტიანებულებივით დადგნენ,—მცირე ხნის შემდეგ ნახეს რომ სარანდიბის მთიდამ ერთი რაღაც საშინელი მხეცი ჩამოეარდა, ასეთი ღრიალი აღმოუტეევა რომ მისი ხმით ქვეყანა ირყეოდა. მაშინვე სპილოებს შემოუტია თავის ღრიალით, იმის ღრიალის ხმა ოცდა სამ ხმას ემზგავსებოდა. იმ მხეცს თავი მარტორქას უგავდა, თვალები ცეცხლსა, ოთხი თვალი ჰქონდა, შვიდი ფეხი, ბოლო ვეშაპს უგავდა, მუცელი სპილოს და ზურგი ვეფხს, შვიდი სპილოს ოდენი იყო. რა იმ მხეცმა სპილოს ჯოგი დაინახა, შეუტია და ურიცხვი ამოწყვიტა, აქეთის ჯარის სპილოები აქეთ გამოიქცნენ და იქითისა იქით. რომელსაც დაეწეოდა უწყალოდ ხოცდა. უშანგის სპილოებს თავიანება და ქეთან-შაჰას სპილოებს დაერია. გულჩინმა რომ ესე იხილა ძლიერ შეშინდა და ერთ მაღლობზე ავიდა და იქიდამ ყურება დაუწყო. იმ მხეცმა სპილო რომ ველარ იხელთა, ქეთან-შაჰას ჯარს შეუტია, ქეთან-შაჰას და სარჯანს მიუახლოვდა. რა ხელმწიფემ და სარჯანმა ნახეს რომ უსიკვდილოდ ვერ გადარჩებოდნენ, მაშინვე ერთ მხარეს გაექცნენ, რომელთამე ფალეევანთა სიმხნე იხმარეს და დაუდგნენ, მაგრამ სულ უბრალოდ, ვერა რომელი იარაღი არ მიუდგა, არც ხმალი არც შუბი, არც ისარი და არც თუ ლახტი. რომელნიც მოერიდნენ გადარჩნენ და რომელნიც წინ აღუდგნენ სულ გაიჟლიტნენ, ისე რომ სისხლის მდინარე ადინეს. მხეცს შუბლზე ერთი

დიდი რქა ჰქონდა და ლორის ყურები, იმ რქის ძალით ჰხოცდა ჯარსა. ქეთან-შაჰას ლამის ნახევარ ჯარი ამოუწყვიტა.

რა ამათაგან მოიცალა, ახლა უშანგის ჯარს შეუტია. როდესაც ხოსროეშირმა ესე იხილა დიდ მწუხარებას მიეცა და სთქვა: „ეს რა-ღაც მხეცი გამოჩნდა ჯარსაც ბევრს ავნებს და ხელმწიფესაც გააფუ-ჭებსო“. მაშინვე ჯაჭვი მოითხოვა და შეავათ მოიკაზმა, იარაღი არა აიღო რა, მხოლოდ ერთი ყარამანისეული ხმალი იქონია (რომელიც რამინ-შაჰის თილისმიდამ იყო გამოტანილი), ხოსროეშირმა ყარამა-ნისეული ვეშპის ტყავის ქამანდი აიღო და სთქვა: „ან თავს მოვი-კლავ დღეს და ან ამ ჯარს დავიხსნი ამ მხეცისაგანაო“. მხეცმა რომ ჯარს მომართა, საცა ხელმწიფე იდგა იმ მხარეს შეუტია. მაშინ ხო-სროეშირმა პირდაპირ მისვლა კი ვერ გაბედა, უკანიდამ მოექცა, ქეთან-შაჰამ, სარჯანმა და გულჩინმა გაკვირვებით ყურება დაუწყეს იმ მხეცს. უშანგისა და შარიბ-შაჰას ხმა ცამდის აღიწია. ყოველნი მუხლ-მოდრეკით ღმერთს ევედრებოდნენ დაფარვისთვის.

იმ ჟამად ხოსროეშირი უკანიდამ ერთ ფარანგზე მოეწია, ღმერ-თი ახსენა და ქამანდი შესტყორცნა, ქამანდი კისერს გარდაეცვა. რა ქამანდი გარდაეცვა ხოსროეშირმა მოსწია, მაგრამ მან წყეულმა ისე გაზიდა რომ ხოსროეშირი საჯდომიდამ გადმოაგდო, მკლავები დაუ-შვა და სახე დაუჩეჩქვა, სისხლი ნიაღვარსავით წასქდა და ფოლადის ჯაჭვი სისხლით აევსო, ისე რომ ერთ აღაჯზე ათრიეა, ხელმწიფეს და შარიბ-შაჰას იმედი გადაუწყდათ, ასე ეგონათ რომ ხოსროეშირი მოკლაო. მათი გლოვა-ტირილის ხმა ზეცამდის აღიწია. მხეცი ჯარს მიუახლოვდა, ხოსროეშირი ცოტა გონებას მოეგო და ღვთის სახე-ლი ახსენა, სიმხნე იხმარა და ვეფხისავით წარმოხტა. როდესაც ხო-სროეშირის სიმხნე იხილეს დიდ სიხარულს მიეცნენ და ქება შეას-ხეს. ხოსროეშირმა ფეხები გაიმაგრა და გამოზიდა საგდებელი, ისე რომ მხეცი დააყენა, რა მხეცმა უკუ მიიხედა, ნახა რომ, ერთი კა-ცია თავის მებრძოლი, კვალად ძლიერ გაზიდა, მაგრამ ვეღარ დას-ძრა. გარისხებულმა ხოსროეშირს შემოუტია, ხოსროეშირმა ყარამა-ნისეული რამინ შაჰის ხმალი აღმოახდინა და გულ-უშიშრად დაუდ-გა, მხეცმა ხოსროეშირის საჯდომს შეუტია, რქა ჰკრა და მოკლა, კვალად მოზიდა ხოსროეშირმა, ხმალი ძირს დააგდო, ფეხები გაი-მაგრა და გამოზიდა, ქამანდმა რომ ყელში წაუჭირა ხრიალი დააწყე-ბინა და უმეტესად გამწარდა და ხოსროეშირს შემოუტია, ხოსროე-შირმა ხმალი მიიცა ხელთა და რა მიუახლოვდა მხეცი რქაზე აგებას

უპირებდა, მაგრამ ხოსროეშირმა ასეთი მედგრად შემოჰკრა ხმალი რომ რქა მოაგდებინა. მან მხეცმა რა თვისი თავი ესრედ იხილა, ისე გამწარდა რომ ხოსროეშირს კვალად შემოუტია, ხოსროეშირმა მეორედ სცა ხმალი და ორი თვალი და ნახევარ თავი მოჰკვეთა: გამწარებული მხეცი ორტოტად აღიმართა ხოსროეშირზე, რა ხოსროეშირმა ესე იხილა, პირქვე წაწვა, შემდეგ მსწრაფლ წარმოხტა ზეზე და მესამედ სცა ხმალი ფეხებში და სამი ფეხი მოჰკვეთა, მხეცმა გამწარებული ძლიერად შემოჰკრა თავი ხოსროეშირს, ისე რომ გულის ფოლადი გაუხეთქა და გულალმა გადავარდა, იგი მხეციც ცალ მხარეს გადავარდა. ხოსროეშირი ძლიერ დაუძლურდა და დაიღალა, მაგრამ კვალად სიმხნე იხმარა, მეოთხედ ხმალი სცა და ბოლო მოაგდებინა, მხეცი კიდევ წარმოხტა და შემოუტია; ხოსროეშირმა ხმალი მიაგება, პირსა სცა და თავი შუა გაუკვეთა, მაშინ ნახევარი აქეთ დაეკიდა და ნახევარი იქით, მაგრამ მხეცი იმითაც ვერ წაიქცა, მეხუთეც წელში სცა და წელი მოსწყვიტა და ესე საზარელი მხეცი დიდ მთასავით ძირს დაეცა.

ხოსროეშირი მაშინვე დაიჩოქა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა, მიბრუნდა და მსწრაფლ ყელი გამოსჭრა და მისი სახსენებელი ქვეყნიდამ აღმოფხვრა. მის მხილველმა უშანგ ხელმწიფემ და ყოველმა ღმერთს მადლობა შესწირეს. მაშინვე შირფანჯა აიარმა საჯდომი ცხენი მოჰგვარა, ხელმწიფე უშანგი, შარიბ-შაჰა და სხვანი წინ მივგებნენ, შუბლი გადუკოცნეს და მიულოცეს მშვიდობით გადარჩენა იმ განსაცდელისაგან. ჯაჭვი გახადეს და ნახეს რომ სულ სისხლით იყო სავსე, მაშინვე მკლავები შეუხვიეს და სამთელებელი წამლები დადეს. იქით მხარეს გულჩინი მხიარულად გაბრუნდა და სიხარულის მეჯლისი გამართა. აქეთ მხარეს ხოსროეშირს ასეთი ტანისამოსი მოართვეს ხალათად რომ ერთი ქვეყნის ფასად ღირდა,— რა კარავში მოვიდნენ მეჯლისი გამართეს, ხოსროეშირი მცირე ხანს იჯდა, შემდეგ დაღალულობის მიზეზით დაეთხოვა და თვისსა კარავში წავიდა მოსასვენებლად.

აქ ხოსროეშირისა და გულჩინის ერთად შეყრა.

ხოსროეშირი რომ თავის კარავს მივიდა ცოტა ხანს მოისვენა, შემდეგ კაცი გაგზავნა და ასიმ აიარი მოიხმო. ხოსროეშირმა უთხრა ასიმს: აიარო იწამე ღმერთი და ჩემი ვედრება აღმისრულე, წადი იმ

ფალეევნისას და იმის ბინა მაცოდინე. ასიმმა მაშინვე მდაბლად თავი დაუკრა და წასასვლელად დაემზადა, იმ ჟამად შირფანჯა და თეირ-დაშტიც შემოვიდნენ, რომელნიც ხელმწიფეს გამოეგზავნა ხოსროვ-შირის მოსაკითხავად. მათ მოიკითხეს და კარგათ ყოფნის ამბავი მიუტანეს ხელმწიფეს. ესენი რომ წავიდნენ, ხოსროვშირი მსწრაფლ გამოვიდა და ასიმის კვალს გამოუდგა, რა ასიმ აიარი მივიდა გულ-ჩინის კარავთან, მაშინვე აცნობა თვისი იქ მისვლა. გულჩინმა ბრძა-ნა ასიმის თვისს მეჯლისში შემოყვანა. მსახურთა შეიყვანეს და ასიმი ტახტის წინ დასვეს, ასიმმაც თვისი საკრავი მომართა და ისეთი ხმით დაუკრა რომ კაცს გონებას მოსტაცავდა. მაშინ ხოსროვშირი ასიმის კვალის მიმდევარი, ისიც იმ მეჯლისში შევიდა ფარულად და დადგა. იმ ჟამად გულჩინთან მჯდარმა სურხარავამ ხოსროვშირს თვალი შეასწრო და იცნა. გულჩინს ჩუმად მოახსენა რომ ხოსროვშირი აქ არისო და გვათვალიერებსო. გულჩინი სიხარულით აენთო, სურხა-რავს უთხრა, ასიმი ხოსროვშირზე ალაპარაკე რომ ხოსროვშირმა გაიგოს თავის ყურით, ეს წყეული ყოველთვის რათ აძაგებს და ცუდს რათ ლაპარაკობს?—სცნას რომ მაგისთანა უპურმარილო მოსამსახუ-რე ჰყოლია, არამც თუ ერთგული, არამედ მტერი ყოფილა სწო-რედ მაგისი.

როდესაც უშანგ ხელმწიფემ შირფანჯა აიარი და თეირდაშტი გამოეგზავნა ხოსროვშირის მოსაკითხავად, ესენი დაბრუნდნენ და ხოსროვშირის კარგათ ყოფნის ამბავი მოახსენეს და ხელმწიფე უზო-მოდ გამხიარულდა. რა უშანგ-შაჰის მეჯლისი მოიშალა, ყოველნი მოსვენებას მიეცა. შირფანჯა და თეირდაშტი ერთმანერთს ეუბნებო-დნენ—ხოსროვშირს რომ საღამური ტანისამოსი ჩაეცვა, არამც თუ სინდეთის ლაშქარში წავიდესო? მივიდნენ ნახეს რომ ხოსროვშირი თავის კარავში აღარ იყო, იმათაც საღამური ტანისამოსი ჩაიცვეს და გამოვიდნენ. მხოლოდ სხვა და სხვა მხარეს წავიდნენ. რა სინდეთის ურდოს მიატანეს, თეირდაშტიმ ერთ კარვიდამ ლხინისა და შეჭცე-ვის ხმა შეიტყო, მივიდა და ერთ კარავში შევიდა ნახა რომ ხოს-როვშირიც იქ იდგა. ხოსროვშირმა რომ ნახა იგი, დიდად იამა, შირფანჯა აიარმაც იმ ურდოს კარვები ყოველი დაიარა, ბოლოს ისიც იქ მივიდა და ხოსროვშირთან დადგა, მაშინ ესენი სამნი ერ-თად შეიყარნენ. მაშინ სურხარავამ იფიქრა და თქვა თავის გულში, დიდად სამხიარულო და საკვირველი საქმე იქნება, თუ რომ ხოს-როვშირი გაუარშიყდებოდეს გულჩინსა! შეხედა ნახა რომ ერთი

შაად მოსილი ეიღაც კაცი მოეიდა და დადვა ხოსროეშირის უკან და მეჯლისს ყურება დაუწყო. იმის უკან ერთიც სხვა მოეიდა და ისიც ხოსროეშირს მოუდგა სურხარაემა რა შირფანჯა დაინახა დიდად მოეწონა, მაგრამ ვერ იცნო თუ ვინ იყო.

ხოსროეშირმა შეხედა ნახა რომ ასიმს ტახტის წინ დაეჩოქნა და საკრავს უკრავდა, მაგრამ თვალი იმ ქალზე ეჭირა და ცნობა მიჰფანტოდა იმის სიყვარულისაგან, შირფანჯამაც შეხედა ნახა რომ ტახტზე ერთი მშვენიერი ქალი ზის რომ იმის სიმშვენიერეს მეჯლისისთვის შუქი მოუფენია. მისი ეშხის ისარი შირფანჯასაც მოეწონა გულსა, ისე რომ ლაშის ამასაც ჭკუა დაეფანტა. გულჩინზე უმშვენიერესი არაეინ იმყოფებოდა იმ მეჯლისში, შირფანჯამ მაშინვე ხოსროეშირს შეხედა, ნახა რომ ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა, შემდეგ თეირდაშტიმ შეხედა და იმანაც შეამჩნია იჭვნეულობა, გულჩინს ხმალზე ხელი ედვა და თვალი ხოსროეშირზე ეჭირა. „გულჩინმა უთხრა ასიმს, ნახე იმ შავ ცხენზე მჯდომმა უშანგის ყულმა ყაზამფარმა რა ეაჟკაცობა იხმარა? თუ დღეს ის არ შეესწრებოდა ქეთან-შაჰას და მამაჩემს დახოცავდა ის მხეცი. ბარაქალა მის დედას რომ იმისთანა შვილი უშობნია და ყოველთვის ისიც კი საქებია ვინც იმისთანა მამაცი და ძალოვანი გამოეა, მაგრამ ესაა საკვირველი ასიმ რომ შენ კი იმას ყულს ეძახი. მე კარგათ ეიცი რომ უშანგ-შაჰს იმაზე უსაყვარელესი არაეინა ჰყავს“.

ასიმმა მოახსენა: მართალია პატივსა სცემს მაგრამ, ხელმწიფეს ბეერჯერ უნდოდა მისი სიკვდილი, ჩვენ ხელმწიფეს ერთი ყმა ჰყავს, ის შეეხვეწა და იმანაც აპატია. უშანგმა რომ პატივი მისცა ამისთვის პატივი დასდეა და მოკლა იმისთანა საშინელი მხეცი. ეს რომ მოისმინა გულჩინმა სურხარაეს თვალით ანიშნა რომ ასიმი ელაპარაკებინა. სურხარაემა უთხრა: „ასიმ, შენ რომ ამბობ მხეცის მკვლელი უშანგის ყულიაო, მე ენახე რომ უშანგ-შაჰის მეჯლისში იმაზე წინ არაეინ იყო ხელმწიფესთან, როდესაც ელაპარაკებოდა ხოლმე თვალის სინათლეს ეძახდა და ეუბნებოდა ჩემო სიცოცხლეო“. ასიმმა უპასუხა ის რომ გინახავს უშანვის ძმის წულია, შარიბ-შაჰას შვილია, იმას ხოსროეშირი ჰქვიან, თავის დღეში ის ცხენსაც არ შემჯდარა და არც ფალეევანია, არც თავის დღეში ომში ყოფილა და არც ხმალი მოუქნეია, როდესაც ომი ასტყდება ხოლმე, იმას რამდენსამე ფალეევანს მოუყენებს რომ ომი არა ნახოს, ის მეტად მხდალი და ქალაჩუნა რამ არის, დედის მუცლიდამ ისე მხდალი და-

ბადებულა, უშანგი იმის წამოყვანას დიდად სწუხს მაგრამ რა გაეწ-ყობა. შემდეგ სურხარაემ ჰკითხა: „მაშ იმ ყაზამფარს პირს საბურ-ველი რათ აფარია“? ასიმმა უპასუხა: იმიტომ რომ მეტად აეთვალ-დია და საზარელი სახისაო, უფრო ამის მიზეზით რომ უშანგმა უთხრა, თუ არ პირსაბურველით, მე ისე ნუ მნახაეო. სურხარაემ კვალად ჰკითხა: ყაზამფარს ცოლი ჰყავს თუ არა? (სურხარაეი ასიმს ყასიდათ ალაპარაკებდა რადგანაც ხოსროეშირს თავის ყურით ესმინა თავის ძაგება). ასიმმა უპასუხა: უშანგმა ორი თუ სამი ხელმწიფის ქალი უთხოვა ცოლად, მაგრამ იმ წყეულმა ყველანი დახოცა“. ხო-სროეშირს ასიმის ლაპარაკი ყოველიეე ესმოდა, ხოსროეშირზე მრა-ვალი უმზგავსო ილაპარაკა.

მაშინ ხოსროეშირი დიდად განრისხდა და უნდოდა რომ გამო-ჩენილ იყო და ასიმი მოეკლა, მაგრამ კიდეე მოითმინა, ამ მიზეზით რომ გულჩინს ეწყინებოდა და მეჯლისი წაუხდებოდა. სურხარაემ ინდოურათ თვალით ანიშნა გულჩინს და ხოსროეშირი დაანახვა, გულჩინმა ხოსროეშირიც დაინახა და ორნიც სხვანი შაეით მოსილ-ნი ერთ ალაგ იდგნენ ციარულათ მოართულნი, მარჯვნიე და მარ-ცხნიე ხანჯლები ერჭოთ, სამსაეე თვალი ასიმზე ეჭირათ დიდის მრის-ხანებით. გულჩინმა ინდოურათ ჰკითხა: ისინი ვინ არიანო? სურხა-რაემა მოახსენა: წინ რომ დგას ის ხოსროეშირია, იმას უკან რომ დგას ის თეირდაშტია, ხოსროეშირის ლალა, მესამე კი არ მეცნობა: გულჩინმა უთხრა, ნეტა ტახტზე მოვიწვეედეთ ხოსროეშირს, სურხა-რაემა უპასუხა: ჯერ დრო არ არისო, ეს აიარი ჯერ უნდა ბეერი ვალაპარაკო, ისე რომ იმათაც ყოველიეე თავიანთ ყურით კარგა ისმინონ, რადგანაც ამისთანა ერთგული აიარი ჰყოლია ხოსროეშირს, ამას იქით აეი და კარგი კაცი გაიცნას, შემდეგ მობრუნდა და ასიმს ჰკითხა: „ასიმ სხვა კიდეე ცუდი ზნე რა სჭირს იმ ფალეევანს“? ასიმ-მა უპასუხა, იმის ურიგობას ენა ვერ მოსთქვამს, ხელიც დაშავებუ-ლი აქვს და თეითონაც ფუშიანია, ქაჩალია და თავი მოსველებილი აქვს. შემდეგ ქალებმა უთხრეს, მაგდონი ძრახვა სირცხვილი არ არის შენთვის? ჩვენ რამლის ყრა ვიცით, რამლსა ვყრით და მაშინ-ვე შევიტყობთ თუ ესეთი საძაგელია ის ყაზამფარ ფალეევანი. ბიღო ერთმა იმათგანმა რამლი და შეჰყარა, შემდეგ გულჩინს შეხედა და მოახსენა: თქვენო ბრწყინვალებავ, ხელმწიფის ასულო, ჩემ რამლში ასე სჩანს რომ უშანგ ხელმწიფეს ყაზამფარი ფალეევანი არაეინა ჰყავს. მოუბრუნდა და ასიმს ჰკითხა: ახლა ერან-თურანის ჯარში პირველი

ფალეევანი ვინ არის? ასიმმა უპასუხა ყაზამფარია, მაგრამ მე რომ წამოველ ის შეწუხებული ავათმყოფი გაუშვი, ჩემ აქ მოსელამდის ალბათ მომკედარა და რამლი იმიტომ გაჩვენებს ეგრე.

გულჩინი ძლიერ მობეზრდა ასიმის იმ გვარ ლაპარაკით და ძლიერ მოიწყინა. სურხარაევმა უთხრა ასიმს, აბა რამლს ეკითხო, ცოცხალია თუ არა, რამლი ამტკიცებს რომ, რომელსაც თქვენ ყაზამფარს ეძახით ის ცოცხალია, აბა ერთი კიდეე ეკითხო, გუშინ რომ მხეცი მოკლა ის ყაზამფარია თუ არა? შეჰყარა რამლი კვალად და მოახსენა: იმ მხეცის მკვლელი არავისი ყული არ არისო, ისიც სულთანია, უშანგის ლაშქარში იმაზე უფროსი არავინ არის ამ ქამად, თვითონაც ხელმწიფის შვილიაო და ერთი ვინმე გაარშიყებია და ეეჭვობ რომ ისიც არშიყი იყოს და ამ ქამად ხმისაევ მეჯლისში იმყოფებაო და იმას ორი ფალეევანიც სხვა ახლავსო თან. ეს რომ სთქვა ასიმი ეჭვში ჩავარდა და სთქვა თავის გულში, „ვაი თუ აქ იყოს ხოსროვშირიო". ასიმმა ოთხსავ მხარეს თვალი მოავლო და იფიქრა: თუ რომ მე მამატყუა არვიცი, მე რომ წამოველ ავადმყოფობა მოიგონა, (ეს რამლი კი ძლიერ მაკვირვებს მე). შემდეგ გულჩინმა უთხრა, სურხარავ მაგას რომ ამბობ ვისიც არშიყია იმის მეჯლისში იმყოფებაო, აბა შენი სიტყვის ძალა რით უნდა აღმოაჩინო და ან იმის საყვარელი ვინ არის? ეს უეჭველად უნდა შეძატყობინო.

სურხარაევმა მოახსენა: ჩემი რამლი თუნდა შვიდ ზღვის ქვეშ რომ იყოს, მაინც შეიტყობს, აბა ერთსაც შეეყრი და ვნახო ეხლა რას იტყვის. სურხარაევმა კვალად შეყარა რამლი. როდესაც ხოსროვშირმა დაინახა რამლის ყრა თავის ლალას და შირფანჯას უთხრა, თქვენ ნახეთ რომ ამ მერამლემ ჩვენც შეგვარცხვინოს, მოდი უკან გავბრუნდეთ.

იმ ქამად ასიმი ზე აღზდგა, ხელმწიფის ასული გულჩინი დალოცა და გამოეთხოვა: უკაცრავად დავითვერ და ვაი თუ მეტ-ნაკლები რამ ვილაპარაკო, ამიტომ გთხოვ ახლა კი დასტური მიბოძო რომ წავიდე. გულჩინმა შეატყო რომ ასიმი გაპარვას აპირებს—უთხრა: ასიმ, ჯერ მოიცადე, სურხარაევის სიმართლე და სიმტყუნე გამოვაჩინოთო და მერმე წადიო. ასიმი დაღონებული ისევ დაჯდა. სურხარაევმა რამლი კიდეე შეყარა და მოახსენა: ის ხელმწიფის შვილი სარანდიბის მთის ძირზე ერთი ხელმწიფის შვილის მეჯლისს თამაშას უყურებსო. ხოსროვშირმა, თეირდაშტიმ და შირფანჯამ ძლიერ მოიწონეს სურხარაევის მერამლობა. გულჩინმა უთხრა: სურ-

ხარაე დასთვრი, რას ამბობ? სარანდიბის მთის კალთაში ჩვენის მეტი ვინ არის? ამის მეტი მეჯლისი არსად არისო და ამ მეჯლისში ვგონებ უცხო კაცი არავინ არის, ის სამნი კაცნი სადღა არიანო, უნდა შენ თვითონვე იპოვო. სურხარაემა მოახსენა: ხელმწიფის ასულო, სწორედ აქ უნდა იყვნენ, თორემ ნება თქვენი აღსრულდეს, როგორც გნებავდეთ ისე ჰქმენითო. გულჩინმა უთხრა სურხარაეს, ახლა ისინი როგორ უნდა ძოვიპატიჟოთო? სურხარაემა მოახსენა: ზე აღზდეგ, რამდენიმე ქალს ხელთა ტაპკები მიეც ჯავაჰირით საესე მიდი და თავს გადააყარე, სიმდაბლით სთხოვე მოიწვიე და ტახტს დასვი.

აქ გულჩინისაგან ხოსროვშირის მოპატიჟება თავის მეჯლისში და ასიმის სიკვდილის ჰატიება.

გულჩინმა მსწრაფლ უბრძანა თავის მხლებელთა და ყოველმა თვითო ტაბაკი ჯავაჰირი ხელთ იპყრეს, გულჩინი წინ წაუძღვა ტანის რხევით და სინაზით, სადაც რომ ხოსროვშირი იდგა, იმ მხარეს წავიდნენ. ეს ქალები თავისკენ მიმავალი რომ დაინახა ხოსროვშირმა, დიდად იამა, რა გულჩინიც ხოსროვშირის სიახლოვეს მივიდა, იმ ტაბკებით თვალ-მარგალიტი თავს გადააყარეს და გულჩინი, დილაფრუზ და სურხარაე წინ მიეგებნენ, პირ-მიწა-გაერთებით ქება შეასხეს. შემდეგ გულჩინმა მოახსენა: „მშვიდობა თქვენი აქ მოსელა, ბედნიერიმც იყოს თქვენი მობრძანება! გთხოვეთ რომ მობრძანდეთ თქვენი ბრწყინვალება და ჩვენი მეჯლისი განაბრწყინოთო!“ რა ხოსროვშირმა ამათგან ესეთი სიტყვა გაიგონა, გულჩინს მოახსენა: ბრწყინვალეე და მშვენებით შემკულო, გეტყობათ მიმამგზავსეთ ესმეს! გულჩინმა მოახსენა: „ჰეი, შენ ხელმწიფის შვილო! მე ზეცაში გეძებდი და შენ ქვეყანაზედ ხელში ჩაგიგდე, ხელმწიფის შვილო, განა ვერ გიცნობ რომ თქვენ ხოსროვშირი ბრძანდებით? თქვენ თავს ჩემთან რათა ჰფარავთ? მზის სხივთაგან უფრო უბრწყინვალესო“. მაშინ სურხარაეი წინ წადგა, შირფანჯას უთხრა: „გთხოვეთ რომ იცნობდეთ ეს ჩვენი ხელმწიფის ასული გულჩინია და ეგეც თქვენი ხელმწიფის შვილი ხოსროვშირი, ვგონებ ერთმანერთს გაარშიყებიან ომში და ახლა მადლობა ღმერთს რომ ერთმანერთს შეხვდნენ ამ ჩვენ მეჯლისში, ამის სამხიარულოდ გმართებთ თქვენ რომ წყალობა მოიღოთ და თქვენი ხელმწიფის შვილი მოიწვიოთ ჩვენს მეჯლისში, საწუთროსაგან ქამნი დავიცვათ და წინაღმდეგნი დაე-

თურგნოთ და იმათ ერთმანერთის ნახვით იხარონ". ესე სთქვა და პირ-მიწა გაერთებით სალამი მოახსენა, თეირდაშტიმ და შირფანჯამ მოახსენა: „ხელმწიფის შვილო, რა იქნება ამის ვედრება ისმინოთ, ესეც ხელმწიფის ასულია და უნდა იცოდეთ რომ თავის მეჯლისში დღეს ხელმწიფა და სურს რომ თქვენი ბრწყინვალე საუბარი ისმინოს. ჩვენც თქვენი ერთგულნი მონანიც თან გიახლებით და თქვენ ერთად ყოფნის გამო ჩვენც გავიხაროთ". რა ხოსროეშირმა გულჩინისა და სურხარავის ესეთი თხოვნა მოისმინა, დიდად გაიკვირვა და მოეწონა მათი იქ გვარი სიმდაბლე. მაშინ გულჩინს ქება შეასხა და მოახსენა: „ხელმწიფის ასულო ბრწყინვალეე! ჩვენ მაგოდენა თქვენგან, სიმდაბლის ღირსნი არაფართ, მაგრამ რადგანაც თქვენ სურვილი განმიცხადეთ სიმდაბლით, გიახლებით". რა გულჩინმა ხოსროეშირის საუბარი გაიგონა, დიდს მხიარულებას მიეცა, გულჩინმა მეტი ვეღარ მოითმინა, მაშინ წინ წარსდგა და ხოსროეშირს ხელი-ხელს გაუყარა და ისე წაიყვანა თავის ტახტზე და თვითონ თავზე დადგა სამსახურად. რა ხოსროეშირმა გულჩინისაგან ესე იხილა, თვითონაც ალარ ისურვა დაჯდომა და გულჩინს უთხრა: ამას რიგი და წესი არ მოითხოვს რომ მე ვიჯდე და თქვენ ფეხზე იდგეთო. როდესაც გულჩინმაც ესე ისმინა ხოსროეშირისაგან, მაშინვე თვითონაც დაბრძანდა ხოსროეშირთან. შემდეგ შირფანჯას და თეირდაშტს უთავაზეს ალაგი და იგინიც დასხდნენ, სხვანი იქ მყოფნი იარალით მოემზადნენ და ასიმზე ეჭირათ თვალი და ბრძანებას უყურებდნენ ხოსროეშირისას, თუ როდის უბრძანებდა ასიმის ასო-ასოთ დაკეფას, ტყუილ ლაპარაკისთვის.

ასიმმა იფიქრა: „ეს ჩემი სიცრუვე გამიმჟღავნდა, ახლავ სჯობს რომ როგორმე ჩემ თავს უშველო"—და თავს თავს ეუბნებოდა, „ვაჰ, შე ოხერო ჩემო თავო! შენ რა გსჯიდა რომ ამდენ ცილს სწამებდი ხოსროეშირს, და ამდენ ტყუილ ჭორებს? მე ერთი აიარი კაცი ვარ, ხოსროეშირისთვის რომ სიმართლით მემსახურნა, დიდ პატივსა და წყალობას მივიღებდი და ახლა უსაცილოთ რაც მიყოს ჩემზე ახია". ესე რომ იფიქრა, შეწუხებული ჩუმად გაიპარა მეჯლისიდამ და თავის კარავში მივიდა.

გულჩინმა ერთი მძიმე მურასა ხალათი, სახელმწიფო თაჯი, მურასა ქამარი ხოსროეშირს უძღვნა— ძლიერ მძიმედ და მურასად შემკობილი. ხოსროეშირისთვის კაცს რომ შეეხედა, მეტის სილამაზით და ბრწყინვალებით კაცი თვალს ვერ გაუმართავდა. შემდეგ

გულჩინი ალსდგა ფიალა აიღო ხელთა და ხოსროვშირი დალოცა. ხოსროვშირიც წარმოდგა, იქ მსხდომნი კრებაც ყოველნი, შემდეგ გულჩინმა ხოსროვშირის სადღეგრძელო დალია, მერე სურხარაეს დაალეევინა, სურხარავმაც შირფანჯას დაალეევინა და შემდეგ ყოველმა ინებეს. იმ ღამეს იქ მყოფ ქალებს ყოველს, ხოსროვშირის სილამაზეზე ეჭირათ თვალი და თეირდაშტის მოყვანილობაზე — შირფანჯას სისწრაფეზე გაკვირვებულნი იყვნენ. იმ ღამეს გულჩინმა ხოსროვშირის ეშხზე ისეთი მეჯლისი გამართა, ისე დახვდა და იმოდენა შაქარლამები მოატანინა, რომ ყოველი კაცი გაჰკვირდა. საზანდრები ჩარიგებულნი უცხოს ხმებზე უკრავდნენ და ესენი შეექცეოდნენ. გულჩინმა თვალი მოავლო, ნახა რომ ასიმ აიარი იქ ალარ იყო, ხოსროვშირის მოწვევაში გაპარულიყო. თეირდაშტის შეხედა გულჩინმა და შეატყო რომ ასიმზე ისე განრისხებულ იყო რომ ხოსროვშირის დასტურს ალარ ელოდა და ასიმის სიკვდილს აპირებდა. შემდეგ შირფანჯას შეხედა, ნახა რომ ხმალზე ხელი უძევს და თეირდაშტის უყურებს. ხოსროვშირს კი ალარ შემოხედეს, თეირდაშტიმ ანიშნა, ჯერ ცოტა მოითმინეო. გულჩინი იმათ აზრს მალე მიხვდა და ასიმი ძლიერ შეებრალა რომ თავისის ენისაგან ამისთანა განსაცდელში ჩავარდნილიყო. შემდეგ იფიქრა; ჩემის მიზეზით იმ საბრალოს არა აუტეხოსრაო: სურხარაეს ანიშნა რომ რაც ქალები არიან ყოველნი ზე აღზდგნენ. რაკი კრება წარმოსდგა, მაშინ ხოსროვშირიც წამოსდგა და მოახსენა გულჩინმა: ჰეი სულთა ჩემთა უსაყვარელესო და ჩემის გულის ოცნებავ! მაგ თქვენის სიმდაბლით მე ზეცას ჰღმიტაცეთ, ეს ლხინი, ეს შექცევა და თქვენი აქ ხლება, მე სიზმრად მგონია და ჩემთვის საკვირველი დღესასწაულია თქვენი მობრძანება!.. ღმერთმა ჩემი ვედრება ალმისრულა და თქვენი თავი ქვეყნად მომცა, მხოლოდ ჩემი საწადელი თქვენი შეყრა და ნახვა იყო, მიბრძანეთ თქვენი სამსახური და როგორც ჩემგან შეიძლება ისე გემსახურებით... ისეთის ალერსით მოექცა გულჩინი ხოსროვშირს რომ ერთი ათასად გაუმრავლა სიყვარული. „კვალად მოახსენა გულჩინმა, ხოსროვშირს: ფალევანთა-ფალევანო და დიდო სულთანო, სულთა ჩემთა უსაყვარლესო! ჩემი თხოვნა და ვედრება ესარის რომ თქვენ მხლებელ მონას აპატიოთ და დასთმოთ, ესე იგი ასიმს თავისი დანაშაული, არა თუ ასიმს, არამედ მე მაჩუქო იმის დანაშაული“. ხოსროვშირმა გულჩინის თხოვნა ალასრულა და ასიმს თავისი დანაშაული აპატია. გულჩინმა დიდი მადლობა გადაუხადა

და თეისსაეე ალაგს დაბრძანდა, აგრეთვე ყველანი თავ-თავის ალაგს დასხდნენ.

ხოსროეშირმა თვალი მოაელო ნახა რომ ასიმი იქ არ სჩანდა, მაშინვე შეატყო რომ გაპარულიყო. შირფანჯას უბრძანა: ჩემო ერთგულო გარდანქეშანის შაგირდო, აქ ასიმი არა სჩანს, მე ეიცი რომ ჩემი შიშით გადახვეწილა, შენ უნდა წახვიდე და საცა იყოს იპოვო და ხათრიჯამი გახადო ჩემგან და აქ მოიყვანო. შირფანჯამ მაშინვე მდაბლად თავი დაუკრა და წავიდა საძებნელად, შირფანჯა ასიმის კარავთან რომ მივიდა, ასიმს შეატყობინეს რომ შირფანჯა მოვიდაო. რა ასიმმა შირფანჯას მისელა შეიტყო, სიცოცხლე აღარ შერჩა, თვალები მთვრალ კამეჩივით დაუწითლდა და ცნობა დაეკარგა ჯაერისაგან და თავის თავს აყვედრიდა, თავსა და ბედს იწყველიდა და ესე ამბობდა: „არა ერთი კაცმა მკითხოს, მე ეინა და ინდოეთის ხელმწიფის ქალი ეინა? და მერე მუჰლეილან ხელმწიფის შვილის ხოსროეშირის წინააღმდეგობა?.. შე უმზგავსო ჩემო თავო, რათ უგონებდი იმოდენა ცილსა? ფუ, ჩემ თავს! ახლა თუ შირფანჯას გადაურჩი, თავის დღეში მე სხვა სიკვდილი აღარ მომკლავს, აბა ასიმ თვალი დაგიდგეს, ახლა სხვა არაფერი ღონისძიება არ დაგრჩენია, ეცადე ერთი მხრიდამ კარავი გაარღვიო და გაიქცე საითმე“.

მსწრაფად შირფანჯა შეეიდა ნახა რომ, ასიმს იარაღი შეუსხავს და გაქცევას აპირებს, შირფანჯა წავიდა და სიცილით ასიმს ალაგს დაჯდა და უთხრა: „შე უმზგავსო, აეპირო და აეყბაო! შენ შენი დანაშაული გაპატია ხოსროეშირმა. ასიმი შირფანჯას სიტყვას არ ენდო, ვიდრე შირფანჯამ უშანგისა და ხოსროეშირის მზეზე არ შეჰფიცა რომ ხოსროეშირმა შენი დანაშაული გაპატიაო, ნულარას იშიშვი და თავისთან დაგიბარაო. ამალამ იმასთან უნდა წაგიყვანო. ასიმი ძლიეს დააჯერა შირფანჯამ და წაიყვანა ისევ გულჩინის მეჯლის'ში. მეჯლის'ში რომ მივიდნენ, ასიმმა პირ-მიწა გაერთებით სალამი მოახსენა და დალოცა, ქება შეასხა. ხოსროეშირმაც მადლობა მოახსენა და გაეცინა. ხოსროეშირმა დანაშაული აპატია და მეჯლისიც მალე მოიშალა. ხოსროეშირმა უბრძანა შირფანჯას და ასიმს, და რამდენიმე სხვა პირნიც გაატანა: ახლავე წადით ერთ უცხო ალაგას კარავი აღმართეთ და ამ მეჯლისის სამაგიერო სხვა მეჯლისი გამართეთ.

— ესენი მსწრაფად წავიდნენ და ერთ დიდ ხის ძირას უცხოთ მოფინეს და ორი მურასა ტახტიც დადგეს, შემდეგ მოიტანეს მურა-

სა სუფრის იარაღნი, რა ესენი ყოველი მოამზადეს. მაშინ ხოსროვ-შირმა წამოსელა დააპირა და თავის ლალას თეირდაშტს სახეზე შეხედა და ყარამანის მზგავსი თვალები ცრემლით აევსო, თეირდაშტი მიუახლოვდა და მოეხვია, სთხოვა რომ არ ემწუხარნა: ისე გული დაუმშვიდა. შემდეგ თავის რაშზე შეჯდა, აგრეთვე თეირდაშტიც და წამოვიდნენ. გულჩინიც თავის ფალეევანი ქალებით ქეთან-შაჰასთან წავიდნენ. რა სალამი მოიშალა, გულჩინმა, გულრუხმა და სურხარავმა ქეთან-შაჰას და სარჯანს თავი დაუკრეს და კვალად გულჩინის კარავში მოვიდნენ, იქიდამ ცხენთ შესხდნენ და იმ ალაგს მიეიდნენ საცა ხოსროვშირს მეჯლისი ჰქონდა გამართული, ნახეს რომ გულჩინი თავისის შვიდასის ქალებით მოვიდნენ. მაშინ ხოსროვშირი დიდის აღტაცებით წინ მიეგება და ოთავს მარგალიტი გადააყარა, შემდეგ ხოსროვშირმა გულჩინს ხელი დაუჭირა, გადაიყვანა და ტახტზე დასვა, თვითონაც მეორე ტახტზე დაჯდა და სხვა ქალებიც თავ-თავის ალაგს დასხდნენ, აგრეთვე თეირდაშტი, შირფანჯა და ასიმიც თავ-თავის ალაგს დასხდნენ: მურასად მორთულნი და უცხოთ ზრდილნი მერიქიფენი შემოვიდნენ, მურასა ოქროს თასები ხელში მპყრობელნი, ხოსროვშირსა და გულჩინს სასმელს უთავაზებდნენ, აგრეთვე სხვათა მსხდომთაცა. შემდეგ ასიმმა თვის საკრაეს ხელი მიჰყო და თავის დანაშაულობის პატიებაზე რამდენიმე სიმღერა წარმოსთქვა, ისეთი ხმით იმღეროდა რომ იქ მსხდომნი ასიმის ყოფაქცევას გაეკვირვებინა. ხოსროვშირმა შირფანჯა აიარს თვალით ანიშნა, შირფანჯაც მოჰყვა მშვენიერის ხმით სიმღერის თქმას და ხოსროვშირის ქება, ისე რომ გულჩინი იმათის ხმით ოცნებაში იყო ჩავარდნილი. შემდეგ გულჩინმა ანიშნა სურხარავს, აგრეთვე სურხარავმა დაიწყო ნაზის ხმით სიმღერების თქმა, ხოსროვშირის და გულჩინს აქებდა. ესე უცხო შექცევაში იყვნენ იმ მეჯლისში მსხდომნი.

რა ესენი ამ ლხინში და შექცევაში იყვნენ, ასიმი კარში გამოვიდა და თავის კარავში წავიდა, თავის საკუთარ სალაროდამ ორი უცხო რამ გამოიტანა და მსწრაფლ იმავ მეჯლისში გაჩნდა, ხოსროვშირი დალოცა და ქება შეასხა, წინ წადგა და საშუალო ალაგას დააწყო მეჯლისში, ნახეს რომ იმ ალაგას ერთი მურასა ხე ალიმართა, ქირი ვერცხლისა ჰქონდა, შტონი ოქროსი, ფოთოლნი მწვანე ზურმუხტისანი და ხილნი ესხა სხვა და სხვა ლალ-იაგუნდისა. იმ ხის თავზე ერთი უცხო ფარშავანგი იჯდა, მუშკით და ამბორით სავსე. ასიმმა ფარშავანგს შემოჰკრა ხელი, ფარშავანგი ჩარხიეით

დატრიალდა და ისეთი მშვენიერი სურნელება გამოხდა რომ მუნ მსხდომნი ყოველნი იმ სურნელებით უცნობონი შეიქმნენ. შემდეგ ღვინით სავსე ჯამი აიღო და ხოსროვშირს მიართვა, ხოსროვშირმა შესვა, შემდეგ გულჩინს მიართვა, გულჩინმაც ხოსროვშირის ეშხზე ეცადა რომ სრულებით დაეცალა მაგრამ რამდენსაც დაცლას ცდილობდა უფრო და უფრო ივსებოდა იგი ჯამი, ამაზე დიდად ჰკვირობდნენ ყოველნი. შემდეგ სურხარაი წარმოსდგა და ეცადა რომ დაეცალა იგი ჯამი სმით, მაგრამ ვერც იმან დაცალა. მთელი მეჯლისი იმ ჯამის საქმეს ჰკვირობდნენ, მაშინ ასიმი ადგა და იგი ჯამი ხოსროვშირს უძღვნა და მურასა ხე გულჩინს და მდაბლად ბოდიში მოითხოვა მცირე ძღვნისთვის.

— შემდეგ ასიმს იმ ხისა და ფიალის ვითარება ჰკითხეს: ასიმმა მოახსენა—ეს ხე და ფიალა გარდანქეშან აიარმა მაჩუქა, ამ ჯამის ამბავი ერთი გრძელი უცხო მოთხრობაა, ყარამანი რომ მოვა ღვთით იმისაგან სცნობთო. ესე სთქვა და ბოდიში მოითხოვა მდაბლად. იმ ღამეს სარანდიბის მთის კალთის ქვეშ შეეყენენ, რა გათენებამ მოატანა, თეირდაშტი ზე აღსდგა და მოახსენა: ხელმწიფის შვილო! ჟამი გახლავთ ლაშქარში წასვლისაო, რომ ჩვენი ამბავი არავინა სცნოსო. გულჩინმა რომ ესე გაიგონა ძლიერ შესწუხდა, ისე რომ სულთქმა ღვიძლთაგან აღმოუტეეა და თვალთაგან ცრემლი ვარდის მზგავს ღაწზედ გარდმოედინა და უცნობო შეიქმნა, ალვის მზგავსი მკლავები ხოსროვშირს ბროლის კისერზე შემოხვია და ხოსროვშირს მკერდს გადაეხვია და ერთმანერთს ალერსი დაუწყეს, შემდეგ დიდის დალონებით გაიყარნენ და თავ-თავის ლაშქარში წავიდნენ, ხოსროვშირი უშანგს იახლა და გულჩინი ქეთან-შაჰას.

ხოსროვშირისა და გულჩინის ფარულად ლხინი უშანგ ხელმწიფეს მოხსენდა. რა ესეთი ამბავი შეიტყო უშანგი, უზომოდ შესწუხდა და დიდ ფიქრში ჩავარდა. უშანგის შეწუხება და ფიქრი ის იყო რომ ხოსროვშირზე ცუდი სიზმარი ენახა. უფრო ამაზე იყო მწუხარე, ისე რომ დღე და ღამ ძილი არა ჰქონდა, მაგრამ უშანგმა არავის განუცხადა, როდესაც ხოსროვშირს შეხედავდა გული ათას რიგათ ეკუწებოდა, დღე და ღამ უშანგის ვედრება და ლოცვა ის იყო ღმერთთან რომ ხოსროვშირი დაეფარა აე განსაცდელისაგან. აქეთ მხარეს სარჯან-ჰინდმაც სცნო გულჩინისა და ხოსროვშირის ამბავი, სარჯანიც დიდად შესწუხდა და არ იცოდა რა ექმნა, ხოსროვშირის სიკვდილი განიზრახა გულსა თვისსა და არავის განუცხა-

და, მხოლოდ გულჩინის ქამის დაცემას ელოდა.

ერთ ქამად ქეთან-შაჰა მეჯლისში ბრძანდებოდა რომ ოჰყალი-ჯადოსი და ყარამიჯინის ამბავი მოხსენდა, წინად იმათი აზრი ეს იყო, როდესაც ქეთან-შაჰა, სარჯანი-ჰინდი და ყარამიჯინი ერთად შეიყარნენ და ოჰყალი-ჯადოს მოელოდნენ ერთად წამოსასელელად როჰაბის ციხიდამ, ზღვის პირს რომ მოვიდნენ, უნდოდათ ინდოეთის ქალაქი დაეპყრათ და უშანგზე და რაჰინდზე გამოელაშქრათ. როდესაც ზღვაში ჩასხდნენ ხომალდნი ზღვის ღელვამ დაფანტა და ერთმანერთს დაშორდნენ, ქეთან-შაჰა და სარჯანი-ჰინდი ერთ მხარეს გავიდნენ და რამდენჯერმე ხომ უშანგს შეებნენ და ხოსროეშირის შემწეობით დამარცხდნენ. შემდეგ ძალგამოლეულნი უშანგ ხელმწიფეს რამდენიმე დღის პაემანი სთხოვეს, რადგანაც ყარამიჯინისა და ოჰყალი-ჯადოს მოსელის იმედი ჰქონდათ და უამათოთ შებმის ძალა აღარა ჰქონდათ. როდესაც ხომალდები დაფანტა ზღვის ალელვებამ, ყარამიჯინი რამდენიმე ხომალდებით ერთ კუნძულს გავიდა, რომელსაც იმ კუნძულს ბალი-ბიყამანერ ეწოდებოდა და ეშმაკთ სამკვიდრებელი იყო იგი ადგილი, კეირაში ერთხელ ეშმაკთ უფროსი იმ კუნძულს მოვიდოდა და რაც ქაჯნი და დევნი იყვნენ ქვეყანაზე, სულ იქ შეიყრებოდნენ.

შემდეგ იმ კუნძულიდამ წამოვიდა ყარამიჯინი თავის ლაშქრით და ოცდაათი დღე და ღამე იარეს და სინდისტნის ქვეყანას ხმელეთზე გამოვიდნენ, ორმოცი ათასის კაცით და თავის საომარი იარაღებით შეჭურვილნი. მაშინვე კაცები გაგზავნა ქეთან-შაჰასთან და შეატყობინა რომ ხმელეთზე გამოვედითო. სამი დღე იარეს ხმელეთით და ინდოეთის სამზღვარს მოახლოვდნენ. მაშინ ქეთან-შაჰისაგან გაგზავნილი ვეზირი მიეგება ყარამიჯინს და ყოველივე წერილად მოახსენა: „ქეთან-შაჰა ხმელეთზე გამოვიდაო ლაშქრით და უკვე შეებაო და რამდენმეჯერ უშანგისაგან იძლიაო, შემდეგ ერთი თვე პაემანი სთხოვაო, თქვენის შემწეობის იმედით. ეგება თქვენი შემწეობით მაინც გავიმარჯოთო. ქეთან-შაჰაც მოუთმენლად მოგელით და თვალი გზაზე უჭირავს".

აქ ყარამიჯინის მოსვლა თავის ლაშქრით ქეთან-შაჰის შემწედ.

იმ ქამად ესე ამბავი ქეთან-შაჰას მოხსენდა რომ ყარამიჯინი

ორმოცი ათასი ფალეევანი ლაშქრით მოდისო. რა ქეთან-შაჰამ ესე ამბავი გაიგო, მსწრაფად ბრძანა რომ სამხიარულო ნალარისთვის ეკრათ და ბრძანება გასცა რომ სინდეთის ლაშქარი და დიდებულნი, ყარამიჯინის მისაგებებლად წასულიყვნენ. ლაშქარი დაემზადა მისაგებებლად და წავიდნენ. იქიდამ ყარამიჯინი და აქედამ სინდეთის ხელმწიფე ერთმანერთს შეეყარნენ. რა ყარამიჯინმა დაინახა რომ სარჯანი-ჰინდი თვისის ლაშქრით და დიდებული სარდლებით წინ მიეგებნენ. ყარამიჯინი მსწრაფულ სპილოდამ გადმოხტა, ქეთან-შაჰას, სარჯანს და გურგანს სიყვარულით მიესალმა. მას შემდეგ ცხენებზე და სპილოებზე შესხდნენ და ბანაკს მოვიდნენ. ორმოცი ათასის კაცთა-მჭამელ მარდუხორმებით და ცალ მხარეს ჩამოხტნენ, ლომის, ვეფხის და ბაბრის კარვები დაიდგეს. ყარამიჯინისთვის ცალკე ვეფხის ტყავის კარავი დადგეს ორმოცდა-ხუთ ფეხიანი, შიგ ერთი მძიმე ტახტი დადგეს თავის შესაფერი. იმ დღეს შვიდი კაცი დაკლეს და ერთ დიდ ქვაბში მოხარშეს, აგრეთვე სხვა მარდუხორმ ჯარისთვის სპილოები და რამდენიმე კაციც. ყარამიჯინი რასაკვირველია თავის კარავში დაბრძანდა. სინდელებმა რომელთაც ნახეს ყარამიჯინი საზაროთ კმა იყო. სინდთა ფალეევანთა და დიდებულთა ყარამიჯინის მოწვევა სინანულათ გაუხდათ. ესე იტყოდნენ: „არა მართებდა ქეთან-შაჰას რომ მოეწვია შემწედ კაცთა ხორცის მჭამელნი, ამიტომ რომ ამ იყლიმებში კაცთა მჭამლებს არ გაუშვებენ, თუნდა კიდეც ამის შეცწეობით უშანგი ეძლიოთ და გავაფუჭოთო, რადგანაც ესენი ადამიანთ-მონათესავის მესისხლე მტერნი არიანო. იქნება რომ ჩვენზედაც იხმაროონ ბოროტ-მოქმედებაო“. ამის მიზეზით დიდად შეწუხებულნი იყვნენ. მეორე დღეს ქეთან-შაჰა თავის ტახტს დაბრძანდა და ყველა დიდებულნი იახლნენ და მათთან დასხდნენ, ყარამიჯინიც მობრძანდა. ქეთან-შაჰა კარზე მიეგება და დიდის პატივით მიიწვია. ყარამიჯინი ყველა ფალეევნებზე ზევით დასვეს და სხვანი კაცის მჭამელნი და მათნი დიდებულნი, ზოგნი დასხდნენ და ზოგნი თავს დაადგნენ და სხვანი სინდელნი ფალეევანნიც თავ-თავის ალაგს დასხდნენ. მეორე მხარეს გულჩინი მობრძანდა თავის შვიდასი ფალეევანი ქალებით, ქეთან-შაჰას და თავის მამას სარჯანს თავი დაუკრა და თავის ღირსეულ ალაგს დაბრძანდა. როდესაც გულჩინმა ყარამიჯინი ნახა, მწარე სულთქმა გულიდამ აღმოახდინა და სთქვა თავის გულში: „ვაჰ თქვენ, ერან-თურანის სინდეთისა და დეშტიყიფჩალის ხელმწიფის ფალეევანნო, რომ ამ ვეშაპისაგან დაიხოცებითო.

და უფრო უნამეტნაესი სიმწუხარე ეს იქნება ჩემთვის რომ ხოსროეშირიც ამის ხელით მოკვდესო". ესე განიზრახა და დიდად ამოიოხრა და ვარდის მზგავს ლაწზე მარგალიტის მზგავსნი ცრემლები გარდმოსცვივდნენ. ყარამიჯინმა რომ გულჩინს შეხედა, მისის ტრფიალის ისარი გულს განეწონა და უცნობო შეიქმნა, ტრფიალის თვალით განუშორებლივ უყურებდა გულჩინს, შემდეგ ხელმწიფემ ბრძანა სუფრის მოღება, სუფრა მოიღეს და მეჯლისი გაიმართა, მოვიდნენ უცხოთ დართულნი მერიქიფენი და ნაზის ქცევით ღვინოს აწვდიდნენ დიდებულთა და ფალავანთა. რა ღვინით ზარხოში შეიქმნენ, კაცთა მჭამელნი ზე აღზდგნენ, რა მეჯლისში კაცთა სიმრავლე იხილეს, სულ კბილებმა კაწკაწი დაუწყეს და კაცთა ხორცის მადა მოუვიდათ. შემდეგ ყარამიჯინმა რამდენიმე საესე ფიალა ღვინო დალია და დიდი გუმბათის ოდენა თავი აიღო ზევით და იმ მეჯლისში მსხდომთა თვალი გადააველო, ვინც რომ იმისი ისე ყურება ნახეს, მისის შიშისაგან ცნობა მიეღოთ და სიცოცხლე აღარ შერჩათ.

აქ უშანგ-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ.

უშანგ ხელმწიფე მაშინ ნადიმათ ბრძანდებოდა: როდესაც ქეთან-შაჰას მხიარულობის ნაღარის ხმა მიესმა, აიარებს თვალი გადააველო და შირფანჯა აიარი წინ წარმოსდგა, უშანგ ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა, დალოცა, ქება შეასხა და მოახსენა: „ხელმწიფეო, დღეს ჩვენ ორნი სხვა სახედ შევიცვალენით, მე და დუეზდიავსარ აიარი და ისე მივედით ქეთან-შაჰას ურდოში და მის დიდებულ მეჯლისში, ერთი საკვირველი რამ ვიხილეთ რომ კაცის გონება ვერ მიხვდება, რამდენიმე საშინელი მხეცნი სადაევ შედებულნი საფ-გაწეულნი იდგნენ, ჩვენ ამაზე ძლიერ გავკვირდით. შემდეგ შიგნით შევედით და მეჯლისს ყურება დაუწყეთ, ყოველ ფალავნებს ზევით ერთი ოთხმოცდა-ოთხის მწყრთის სიმაღლის მქონებელი იჯდა. მეტის-მეტი შავი პირი ჰქონდა, საშინელი სანახავი თვალები, ისე ღიათ დაჭყეტილი ეჭირა—პირის ნახევარი ათი მტკაველი გამოვიდოდა, იმის თითო კბილი, ხუთი მტკაველი იყო, თავის სიდიდე აბანოს გუმბათის ოდენა ჰქონდა, ყურები წისქვილის დოლაბს უგავდა, ფრჩხილები ბასრ-ხანჯლებსავით მკვეთელი ჰქონდა, ულვაშები მოკლე ყანის ფარცხს უგავდა. მისის შიშით სინდელთ ფალავნებს ცნობა მიხდოდათ და მის მოსელას ძლიერ ნანობდნენ".

ყარამიჯინმა ქეთან-შაჰას შეხედა და მოახსენა: „თქვენი და უშანგის ბრძოლა როგორ მიდისო? თუნდა ცოცხალი გადაგრჩენიათ აქნომამდე უშანგი, მაგრამ წყალობა მიყაოთ და მე მომანებეთ რომ ჩემის ძმის სპანდიერის სისხლი ეაზღვევინო და ან ჩემი ძმის მკვლელი ხელთა ჩავიგდო“. რა ესე სიტყვა მოახსენა; გუმბათის ოდენა თავი ძირს დაჰკიდა და მოწყენით ამოიოფშვინა. შემდეგ ქეთან-შაჰამ უპასუხა: „ჰეი, სახელოვანო ფალეევანო! აქ რომ მოეედით, უშანგს მრავალჯერ შეეებენით მაგრამ იმათში ერთი ფალეევანია, იმის მოპირდაპირე ჩვენ არავინა გვყვანდა რომ პასუხი გაეცა, თუ უშანგს ის ფალეევანი არა ჰყოლოდა, აქამდის ბოლოს მოუღებდით. ყარამიჯინმა რა ქეთან-შაჰისაგან ამისთანა სიტყვები მოისმინა, ერთ საშინელ მეხსავით იჭექა და ეეშაპსავით ბოლვინვა დაიწყო, მოახსენა: „ჩემი ძმის მკვლელი ფალეევანი ის არის რომელსაც აქებთო? ქეთან-შაჰამ მოახსენა: შენი ძმის მკვლელი ის არ არის, შენი ძმის მკვლელი ყარამან-ყათილია და მაგას კი ხოსროეშირი ეწოდება, ის ყარამან ფალეევანი იმათში არ არის, მხოლოდ იმის მოადგილეთ ხოსროეშირია.

ყარამიჯინმა რომ ესე მოისმინა, ცოფიან ბეელსავით მისი ბრძოლა მოიწადინა და ძაღლიეით ღრენა დაიწყო. თავისთან მსხდომთა ფალეევანთა უბრძანა: „დაემზადენით, იარაღი მოიმარჯვენით რომ ხვალ უნდა ომი აეტეხოთ“. იმ ჟამად შირფანჯა აიარი „იქ იპოებო“ და როდესაც ყარამიჯინი ესე ლაპარაკობდა. რაც გაიგო უშანგ ხელმწიფეს მოახსენა შირფანჯამ. შემდეგ უშანგმა თავის ფალეევნებს შეხედა, ნახა რომ ხოსროეშირს და სეილან-შაჰას შვილს მუზამფარს, არდაშირ-შაჰის შვილს თაჯიბახტს, სარქაბის შვილს არდაშირს, ბარამ თურქისტანს და თეირდაშტის, მხოლოდ ამათ მეტს, სხვა ფალეევნებს, ყარამიჯინის შიშით, პირს ფერი არავის შერჩენოდათ და სუყველას ლამის სისხლი გაშრობოდათ, ყველას თავები დაეკიდნათ და დიდ ფიქრში შესულიყვნენ. რა უშანგ-შაჰამ „შეხედა, „ნახა“ „რომ ფალეევანთა ფერი“ „მიხდოდათ“ „და თავები“ „ძირს“ „დაეკიდათ.“ „მაშინ“ „უშანგმა მაღლის ხმით დასძახა! „ჰეი, თქვენ გამოჩენილნო და სახელოვანნო ფალეევანნო! რა დაგემართად რომ ერთი პირუტყვი წყეულისაგან თქვენ ეგრე შეშინდით? ორმოცდა სამი წელიწადია, რაც რომ ქვეყანაზე ხმალს იქნევთ და ყაფის მთის უკან ფაშკუნჯის ფრთის და ჯანგის მებრძოლნი, ხართუაფის მთის დევების ბრძოლაში ზურგი არ იდრიკეთ და იმისაგან როგორ შეშინდით? მეტადრე ყარამან-ყათილისთანა ფალეევანი თქვენთან მოძმეთ გყავთ, იმის გარდა ხოს

როვშირისთანა ფალეევანი, რისა გეშინიანთ? ახსენეთ ღმერთი და საო-
მარი იარაღი მოიმზადეთ". (უშანგი ამხნევებდა ამისთანა სიტყვებით
ფალეევნებს). მაშინ ყოველნი სარდალნი და ფალეევანნი ზე აღზდ-
გნენ, უშანგ-შაჰას მდაბლად თავი დაუკრეს და ყოველნი თავის სად-
გომს წავიდნენ. ყარამიჯინის შიშით ისე გამოშტერებულიყვნენ რომ
ველარა გაეგოთრა ფიქრისაგან.

აქ ხოსროვშირისაგან ქეთან-შაჰის მეჯლისში შესვლა და ყარამიჯინის ლახტის აღება.

Пმ ჟამად ხოსროვშირი ძლიერ მხიარულად წავიდა თავის კა-
რავში და შირფანჯა იახლა, ხოსროვშირმა უთხრა: შირფანჯავ!
დღეს ხელმწიფის მეჯლისში ნახე, ფალეევანნი რა სახით შეიცვალნენ
ყარამიჯინის შიშით? შირფანჯამ მოახსენა: „ხელმწიფის შვილო,
დღეს მე ისე ვგრძნობ რომ ამ ჩვენ ჯარში ყარამიჯინის მოპირდა-
პირე, ყარამან-ყათილისა და თქვენის მეტი არავინ უნდა იყოს?" ხო-
სროვშირ ეს სიტყვა ძლიერ ეწყინა და უთხრა: „შირფანჯავ! მაგას
რათ იტყვი, ერთ წყეულს ეშმაკს ვგრე როგორ აქებ? მე კაცი არ
ვიქნები თუ ამალამ არ წავიდე ქეთან-შაჰის მეჯლისში და ის ყარა-
მიჯინი არა ვნახო". ესე სთქვა და მაშინვე ზე აღზდგა, საღამური
ტანისამოსი ჩაიცვა, ყარამანისეული ხმალი წელთ შემოიკრა, მარ-
ჯვნივ და მარცხნივ ხანჯლები ჩაირჭო და წასასვლელად დაემზადა.
შირფანჯა აიარი ბევრს ეცადა რომ არ წასულიყო. მაგრამ ვერ და-
აშლევინა, როცა არ დაიშალა თვითონაც თან წაჰყვა, მცირე ხანი
იარეს და ქეთან-შაჰას კარავთან მივიდნენ, ნახეს რომ ქეთან-შაჰას
ისევ ნადიმი ედვა და ძლიერ ლხინსა და შექცევაში იყვნენ, ისეთ
ლხინში იყვნენ რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდა, გახშირებულ
ღვინის სმაში იყვნენ, ადგილ-ადგილ უცხო და უცხო მინარის მზ-
გავსნი ფალეევანნი ისხდნენ, ზოგნიც ქვეყითათ იდგნენ. ესენიც მი-
ვიდნენ და იმათში აირიენენ და დადგნენ, ყარამიჯინს ყურება დაუ-
წყეს, ნახეს რომ ერთი საშინელი სანახავი რამ იყო, თხის ბალნით
შემოსილი იყო, ისეთი საშინელი სახის მქონებელი იყო რომ თუმ-
ცა ეს სახე გამოჩენილთა დეეთა ენახათ, მათაც შიშით გულები და-
უსქდებოდათ, სპილოს ხორცს მიირთმევდნენ და ზედ ღვინოსა სმი-
დნენ. ყარამიჯინს ერთი დიდი გუმბათის ოდენა ლახტი გვერდით
მიეყუდებინა, იმ ლახტს ორმოცდა სამ ალაგს ფოლადის ბურთები

ებნენ, ზედ ხანჯლები ეკიდნენ, საზარელი უზარ-მაზარი რამ იყო, იმ ჯინჯილებს ორმოც-ორმოცი მწყრთა სიმაღლე ჰქონდათ. მარცხენა მხარეს გულჩინი პირსაბურველით იჯდა, მაგრამ ის მეჯლისი იმას ერთი იოტის ტოლათაც არ მიაჩნდა, მხოლოდ ის თავის გულში ღმერთს ეეედრებოდა რომ დაეფარა თავისი ხოსროეშირი იმის ხელიდამ. რა ამ ეედრებაში იყო, თეალი მოაელო ნახა რომ ხოსროეშირი მსახურებში იდგა შავი ტანისამოსით შემოსილი. პირი მზესავით უბრწყინავდა და ლომის მსგავსად გულოვნად იდგა და თამაშას უყურებდა მარიხის ვარსკელავის მზგავსად. მხოლოდ ყარამიჯინს გულმესისხლედ უყურებდა.

გულჩინი დაეკვირდა და ნამდვილად თეალი მოაელო შირფანჯასაც და ხოსროეშირსაც. რა გულჩინმა ხოსროეშირი დაინახა, ღმერთს მადლობა შესწირა ამ გვარ გულოვნობისთვის და სთქვა თავის გულში, „ბარაქალა შენს ეაქკაცობას ხოსროეშირ რომ ამოდენა მტრებში შენ ეგრე უშიშრადა დგეხარ და უყურებ ყველას და წყეულ ყარამიჯინსო“. რა გულჩინი ხოსროეშირის ამისთანა ფიქრში იყო, მაშინ ყარამიჯინიც დამთვრალიყო და თეალების ბრუნვა შეექმნა, ჭანდრის მზგავსი მკლავები გაშალა და გვერდით რომელი ლახტიც ეყუდა, ხელში აიღო, მარჯვნივ და მარცხნივ დაატრიალა და დასდვა თავისავე ადგილს. შემდეგ დაიძახა დიდი ხრინწიანის ხმით: სინდისტნის ფალეევანნო და სარდალნო! ყველამ იცოდეთ რომ მე ფალეევნობის დავას ვეწევი, ალმოსაელეთიდამ ვიდრე დასაელეთამდის! დეეი, ფერია ანუ თუ ადამის ტომი, ვინც ამ ჩემ ლახტს ხელს გაუმართავს, მე იმის ყურმოჭრილი ყმათ გავხდები და ბოლომდის იმის მონათ ვიქნები ვიდრე ცოცხალი ვარ, ანუ თუ ვინმე აიღებს ხელში მაშინ აღარც გულჩინის სიყვარულის დავას გავწევ. ორმოცდახუთი წელიწადია რაც ყაფის მთაში და ოკეანეს ზღვის კუნძულში მყოფნი დეენი, ფერიანი, იფრითნი და სხვანი მრავალნი ფალეევანნი იყვნენ, მოვიდნენ ამის დავაზე რომ ეს ჩემი გურზი დაეძრათ, მაგრამ ვერავინ დასძრა და სირცხვილეულნი უკან შეიქცნენ! აგრეთვე ის ლახტი კვალად აიღო თავს შემოიტრიალა და დასდვა.

რა ესე იხილეს სინდთა და ჰინდთა ფალეევანთა, მოვიდნენ ყარამიჯინის წინაშე, თავი დაუკრეს და მოახსენეს: „ჰეი, გამოჩენილო ფალეევანო! ალმოსაელეთიდამ დასაელეთამდის, ისეთი ფალეევანი არა გვგონია ვინმე იყოს რომ მაგ თქვენის ლახტის აღება შეეძლოსო“. რა ესეთი სიტყვები ხოსროეშირს ესმა იმ ფალეევნებისაგან, მეტი

ჯაერისაგან სიცოცხლე აღარ შერჩა. მაშინვე ყარამანის მზგავსმა გულმა ძგერა დაუწყო და განრისხებულმა ყარამიჯინისაკენ წასვლა დააპირა. როდესაც შირფანჯა აიარმა ესე შეატყო, სიცოცხლე აღარ შერჩა, მაშინვე უკანა კალთაში ხელი სტაცა და ესე უთხრა: ხელმწიფის შვილო, რა პირობას მაძლევდი რომ ჩემ სიტყვიდამ არ უნდა გადასულიყავ?! ხოსროშირმა არ დაიშალა და არცკი მოხედა, კვალად მოახსენა შირფანჯამ, თქვენ ხომ თქვენს თავს მოარჩენთ მაგრამ, თქვენ ღმერთს რა პასუხს აძლევთ რომ ჩემი სისხლი აქ დაილვარაოს უბრალოდ, შენის მიზეზით? ესე სთქვა და შემოდგომის ფურცელივით თრთოლა დაიწყო.

იმ ჟამად გულჩინს თვალი ხოსროშირზე ეჭირა და ძლიერ სწუხდა და არ იცოდა თუ რა ექმნა. სურხარაეს და გულნაზს ანიშნა და ისინი დაანახვა იმ დროს როდესაც ხოსროშირი ყარამიჯინის ომს აპირებდა. რა იმათაც დაინახეს გაჰკვირდნენ და იძახდნენ: ოჰ ღმერთო! რა ფათერაკ საქმეს უნდა წაეკიდოსო!..

აქ სოსროშირისაგან ქეთან-შაჰის მეჯლისში შესვლა და ყარამიჯინის ლახტის აღება.

რა ხოსროშირმა ყარამიჯინისაგან ამისთანა სიტყვები მოისმინა, კანჯარიით გადახტა და ლახტისაკენ წავიდა, რა იმ მეჯლისში მსხდომმა ფალვანებმა იხილეს რომ ყარამიჯინის ლახტის ასაღებად, ერთი მსახურთაგანი შავით მოსილი ვიღაც გამოვიდა, იმრგვლივ ხანჯლებ-მოკრული, ლომ-გული ყმაწვილი, მზისაგან უბრწყინვალესი და დიდი ამაყის ქცევით მოვიდოდა ლახტთან, ისე რომ მტრისაც მოსაწონი იყო.

რა ყარამიჯინმა ხოსროშირი დაინახა, ქეთან-შაჰას ჰკითხა: „ეს ვინ არის ან ვისი მონაო? გთხოვთ მე მაჩუქოთ, ამას ჩემ ღვინის მწოდებლად დავადგენო“. ხოსროშირმა ესეთი სიტყვა რომ მოისმინა ყარამიჯინისაგან, მაშინვე მის ლახტს ხელი შიჰყო, ასწია და ყარამიჯინს დასათხლეშად შეუმაღლა. რა იქ მსხდომთა ხოსროშირისაგან ლახტის შემაღლება ნახეს და საომარის ხმის შეძახება, ყველანი უცნობო შეიქმნენ.

რა ყარამიჯინმა თავის ლახტი თავისზე შემაღლებული იხილა, იგრძნო რომ თუმცა ყაფის მთას მოხვედროდა ისიც კი ვერ გაუძლებდა. ყარამიჯინი მსწრაფლ შიშით ტახტიდამ ძირს ჩამოვარდა,



მაშინ ყარამიჯინს ლახტი დასცდა და მის საჯდომს მოხვედა და მთლად დალეწა. როდესაც რომ ლახტი ყარამიჯინს დასცდა, ხოსროეშირი დიდად განრისხდა, უნდოდა რომ მეორედ დაეკრა და მის სახსენებელი ამოეფხვრა ქვეყნიდამ; მაგრამ იქ მყოფ ფალეენებმა დიდი ჩოჩქოლი და ხმიანობა შექმნეს, შემდეგ ხოსროეშირმა ნახა რომ ხალხის სიმრავლემ უნდა გზა შეუკრან, მაშინ იმის ლახტი შორს გადააგდო და ერთი წიხლი ჩაზილა გულზე, შემდეგ ყარამანისეულ ხმალს ხელი მიჰყო, უკუ მიიქცა და კარეის კართან რამდენიმე ფალევანიც დახოცა და იმ ბნელ ღამეში წამოვიდა იმ ურიცხვ ჯარიდამ ვით დილის ნიავი, ისე მსწრაფად წამოვიდა რომ შირფანჯა ველარ დაეწია გზაზე.

რა ინდოეთის ყარაულებს მოახლოვდნენ, ყარაულთ უფროსმა შეატყო უცხობა და ხმა უყო – ვინ ხარო!? ხოსროეშირმა მაშინვე ხმალს ხელი გაიკრა და რამდენიმე ყარაულთაგანი იქაც დახოცა და წავიდა. იმ ქამად დანარჩენნი ყარაულნი ერთად შეიყარნენ, ნახეს რომ ოცდა-ათამდის ფალევანნი დაეხოცა, იმათაგანი ზოგი ორად იყო გაკვეთილი. რა რომ ესეთი სანახავი იხილეს, მისი ფალევნობა დიდად გაუკვირდათ. ხოსროეშირმა და შირფანჯამ თავიანთ ბანაკს მიაღწიეს, იმ ქამად ყარაულთ უფროსი ყაჰყაი-ფილურსარი იყო, ორმოცი ათასის კაცისა და ინდოეთის მხრისაკენ ქეშიკობდა, ყაჰყაი-ფილურსარმა ნახა რომ ორნი შავით მოსილნი კაცნი მოვიდოდნენ, ყაჰყაიმ შემოსძახა: ჰეი, თქვენ უმზგავსნო, სად მოხვალთ! თქვენ სიცოცხლეს ჩემ ხელიდამ საღ გადაარჩენთ? და ხმალ ხელი გაიკრა და მომავალთ შეუტია, შირფანჯა წინ წარსდგა და ყაჰყაი-ფილურსარს ხმა უყო, ჩვენ უცხონი არა ვართ. მაშინ ყაჰყაიმ იცნო და სიცილი დაიწყო, ნახა რომ შირფანჯა იყო, დაუძახა, შირფანჯაე, ამ დროს საიდამ მოხვალო, ყარამიჯინის შიშით ზეცას ფრინველს ვერ გაუვლია და ხმელეთზე კანჯარს? მეორე რომ მოგდევს იგი ვინ არის? დაუახლოვდა, შეხედა ნახა რომ ხოსროეშირი იყო, მსწრაფლ სპილოდამ გადმოხტა და პირ-მიწა-გაერთებით თაყვანი სცა, დალოცა და ქება შეასხა და ბოდიში მოითხოვა ვერ ცნობისთვის. მაშინვე ხოსროეშირს ერთი შეკაზმული სპილო მოართვა, ზედ შესვა და რამდენიმე ცხენოსნით კარავთან მივიდნენ. ხოსროეშირი თავის კარავში მიბრძანდა, ტახტზე აეიდა და დაიძინა. შირფანჯაც თავის საგომს წავიდა.

აქ ქეთან-შაჰის და ყარაძიჯინის ამბავი მოიხსენიეთ.

აქეთ მხარეს ქეთან-შაჰას მეჯლისში მსხდომნი ხარდალნი და ფალეევანნი ცოტა ხნის შემდეგ გონებას მოეგნენ და ერთმანერთს ყურება დაუწყეს და გაოცებულნი ერთმანერთს ეუბნებოდნენ: „ეს რა მოგვეველინა რომ ამისთანა საქმე ჩვენს დღეში არ დაგვმართიაო! საკვირველი ეს არის რომ ამისთანა დიდებულის ხელმწიფის მეჯლისში ერთი უცხო გვარი კაცი შემოვიდეს და ამისთანა საქმე ჩაიდინოს და მშვიდობითაც უკან მიქცეს! მეტადრე ყარამიჯინისთანა გამოჩენილი ფალეევანი რომ ერთ ადგილას იპოებოდეს და იმასთან ეგეთი საქმე ჩაიდინოს!? (ხოსროეშირს მეჯლისში მიხდომა ყარამანისაგან ესწავლა, როგორც ყარამანი მიუხტა რაჰინჯს მეჯლისში და რამდენიმე ფალეევანნი გაანთავისუფლა და ის დიდებული მეჯლისი სრულიად დამხო და რამდენიმე ნაქები ფალეევანნიც დახოცა იმ მეჯლისშიეე).

ყარამიჯინმა თავი წამოიწია, შეხედა ნახა რომ თავის ტახტი შიწასთან იყო გასწორებული და თვისი ლახტი შორს ეგდო. მაშინ ოთხმა კაცმა ძლივას მოუტანა და სხვა ტახტი დაუდგეს. ყარამიჯინი გაბრუებული მიეიდა და ტახტს დაჯდა, ფარცხ ულვაშებზე ხელი გადისვა და მცირეს ხანს თავ-ჩამოგდებით იჯდა, შემდეგ მაღლა აიხედა და დიდი გუმბათის ოდენა თავი ზევით აიდო და ქეთან-შაჰას ისეთი მრისხანის თვალით შეხედა რომ მისის შიშით ყოველნი იქ მსხდომნი ძლიერ შეშინდნენ, დიდად განრისხებულმა შემოსძახა ქეთან-შაჰას:

„შენ ხომ სასაცილოდ ამიგდე და შენი მასხარა გამხადე! ერთი ეილაც ჯადო წარმოგზავნე განზრახვით და ხიფათში ჩამაგდე!? ეფიცავ თავსა ჩემსა რომ არც შენ, არც სარჯანს, არც გულჩინს, არც გურგანს და არც აქ მჯდომთა ერთ ცოცხალ არ გადაგარჩენთ, უნდა იცოდეთ რომ ყველას ჩემ ხმლის ქვეშ დაგკუწავთ, მერე წაველ და რუბი-მასკუნს ადამიანთ თესლს და სინსილას გავწყვეტ და სულ კაცთა-მჭამლებით ავავსებ.

— მისწვდა, თავის ლახტი აიღო და ხელში ატრიალა.

როდესაც ყარამიჯინისაგან ლახტი ხელთ აღებული ნახეს, ყოველნი ზე ალზდგნენ თავი დაუკრეს და მოახსენეს:

— „ჰეი, ფალეევანო! ამაში ჩვენ დანაშაული არაფერი არა გვაქვსო, შეგვიბრალე ნუ დაგვხოცო, ის ჯადო არ იყო, ის რომე-

ლიც მოვიდა და თქვენ შეგეხოთ, იმას ხოსროვშირი ჰქვიან, რომელიც უშანგის ძმისწულია, შარიბ-შაჰას შვილი. წინათაც მოგახსენეთ თქვენ რომ, თუ აქამდის ეგ ხოსროვშირი არ ჰყოლოდა უშანგს, ჯერ-ჯერობამდე ბოლოს მოუღებდით, მაგრამ ეგ გვიბრკოლებს საქმეს. და ძალოვანი ფალავანიც არის, ისეთია რომ ყარამან-ყათილსაც არ დაუვარდება. „ყარამანიც ერთხელ ამ გვარი ოინი ჩაიდინა, რაჰინდს მეჯლისში მიუხტა, თქვენი ძმაც იმ ჟამად იქ იმყოფებოდა, მეჯლისი დაამხო და რამდენიმე ერანელი ტყვენი გაანთავისუფლა და წაიყვანა. შემდეგ შენი ძმა სპანდიერბარიც ხომ იმან მოკლა“. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, დაჭრილ-დახოცილნი ქეშიკნი მოასხეს და მოახსენეს თქვენ მეჯლისიდამ ორი შავით მოსილნი კაცნი გამოცვივდნენ, როდესაც თქვენ უმაღლეს მეჯლისი ალიაქოთი და ხმიანობა შეიქმნა, ჩვენ იმ შავით მოსილ კაცებს მივცვივდით დასაჭერად, მაგრამ მათ ხმლებს ხელი გაიკრეს, და ესენი ასე უწყალოდ დაგვიხოცეს და დასჭრესო. სარქაბი-ჰინდიც შემოვიდა, ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: „ინდოეთის მაღალო ხელმწიფევ! ამაღამ ვქეშიკობდით, უეცრივ ვნახეთ რომ ჩვენი ლაშქრიდამ ორნი შავით მოსილნი კაცნი მოვიდოდნენ, ჩვენ მაშინვე შევეძახეთ და ვკითხეთ მათი ვინაობა, ვიდრე ჩვენ კითხვას დავასრულებდით, მათ შემოგვიტიეს და ოცდაათი ფალავანი დაგვიხოცეს და იმ წამსვე უჩინო შეიქმნენ, ვერ გაიგეთ ქაჯნი იყვნენ თუ დევნი, ესე სთქვა და თავჩამოგდებით დადგა.

აქეთ მხარეს ეს ამბავი უშანგ-შაჰასაც მოხსენდა, წუხელის ქეთან-შაჰას მეჯლისში ყარამიჯინი, როდესაც დამთვრალაო, თავის ლახტი მოუთხოვია და უკვეხნიაო. რომ ვინც ამ ჩემ ლახტს ხელ გაუმართავსო, მე იმის მონა შევიქმნები ვიდრე ცოცხალი ვარო. შემდეგ რამდენჯერმე აუღია ხელში და დაუტრიალებია და ისევ ისე დაუდვიაო. მაშინ ერთი ვიღაც მსახურთაგანი შავით მოსილი კაცი გამოსულა, ის ლახტი აუღია და ყარამიჯინისთვისვე დაუთხლეშია, ყარამიჯინი შორს გადავარდნილა და მისი ტახტისთვის დაუცია და ტახტი მიწასთან გაუსწორებიაო, შემდეგ იმ მსახურს მრავალი ფალავნები დაუხოცია და ისე უვნებლად გამოსულა. ახლა თვითონაც არ იციან თუ ვინ ყოფილა ის კაცი და ან ვისი უნარია ეს საქმე.

რა უშანგ-შაჰამ ესეთი ამბავი გაიგო, დიდ განკვირვებაში ჩავარდა და უთხრა იქ მსხდომთა: ჰეი, თქვენ ქვეყანაზე გამოჩენილნო ჩემნო ფალავანნო! მე მიკვირს და გამკვირვებია რომ ერთმა

კაცმა ესეთი საქმე ჩაიდინოს! იმდენ ფალეევნებში შეეიდეს, მეტადრე ყარამიჯინისთანა ფალეევანიც იქ იმყოფებოდეს და იმისთანა საქმე გაბედოს, გამოეიდეს და ისეე მშეიდობით წაეიდეს! ეს ეის შეუძლიან და ან ეისი უნარი უნდა იყოსო?! ამ მსჯელობაში რომ იყვნენ, ხოსროეშირი და სხვა ხელმწიფის შეილები რომელნიც იყვნენ, ყოველნი ერთად შემოეიდნენ და ხელმწიფეს თაეი დაუკრეს და სალამი მოახსენეს: ხელმწიფეც ხოსროეშირს მიესალმა სიყვარულით და თაეის ალაგს დაჯდა, აგრეთეე ყოველნი დასხდნენ თაეთაეის ალაგას, შემდეგ უშანგმა ქეთან-შაჰის მეჯლისის ამბაეი უამბო, რა ეს ამბაეი მოისმინეს, ყოველნი დიდად გაჰკეირდნენ. (უშანგს ჰსურდა გაეგო თუ ნამდეილად ეინ ყოფილა თაეის ლაშქრიდამ იმ საქმის მიმქმედი), უშანგმა ჰკითხა ხელმწიფის შეილებს, ეინ იყო თქეენთაგანი რატომ პასუხს არ მაძლეეთო?! არც ერთმა ხმა არ ამოიღო. შემდეგ ყაჰყაი-ფილურსარი ზე აღზდგა თაეი დაუკრა, დალოცა ხელმწიფე და მოახსენა: „შეიდთა იყლიმთა მპყრობელო დიდებულო ხელმწიფეე, ეგ ამბაეი ხოსროეშირს ჰკითხეთო“. რა ესე მოახსენა, ყველამ შეიტყო რომ ხოსროეშირის საქმე ყოფილა. ხოსროეშირი მაშინეე მიხედა რომ ეს ამბაეი ყაჰყაი-ფილურსარს მოეხსენებინა ადრეეე. ხოსროეშირი შესწუხდა და ეარდიეით გაწითლდა და თაეჩამოგდებით იჯდა. შემდეგ უშანგმა დარიგებით უთხრა, ჩემო სიცოცხლეე, ან ჩეენ რათ გეიშერები მაგისთანა საქმეს და ან შენს თაესა და რათ აძლეე მაგ გეარ განსაცდელს, როდესაც ყარამიჯინისთანა ფალეევანი იქ იპოებოდეს, განა იმასთან შეიძლება მაგისთანა საქმის გაბედეა?! მრავალი სხვა დარიგება მისცა დიდად შეწუხებულმა უშანგ ხელმწიფემ, ხოსროეშირს თაეი ძირს დაეკიდა გაჯაერებული და ისე ისმენდა. უშანგს ცუდი სიზმრები ენახა ხოსროეშირზე და ამიტომ იშიშეიდა.

იქით მხარეს ყარამიჯინმა ნამდეილად შეიტყო რომ ეს საქმე ხოსროეშირის საქმე ყოფილა. რა დილა გათენდა მაშინეე ბრძანება გასცა რომ საომარ ნალარისთეის შეებერათ და საომრათ მომზადებულიყვნენ ყოველნი თაეის ლაშქარნი და სინდელნიც.

აქ ორი უშანგის ლაშქრისა და ყარამიჯინისაგან მრავალთა ფალეევანთა დახოცა.

რა დილა გათენდა და სამწუთრომ მზემ თეისი ბრწყინეალე

ხხიენი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ორივე მხრის ლაშქარნი დაემზადნენ საომრად. ზოგნი სპილოებს შესხდნენ და ზოვნიც მარტორქებს და ისე გამოვიდნენ მოედანზე, საფი გასწიეს და დასტა-დასტად დადგნენ, მემარჯვენენი და მემარცხენენი გაეწყვნენ და საომრად დაემზადნენ, ას-ორმოცი ათასი სპილოების საფიც გასწიეს და სანგრად შემოიელეს. ყარამიჯინმა კიდეე მოასხმეევინა სპილოები, სამოცი ათასი, სულ ფოლადით შეჭურვილნი, ერთ სპილოსთვის ყარამიჯინის იარაღი აეკიდნათ და თვითონაც ფოლადით შეიჭურვა, ბაბრისა, ლომისა და სხვა მხეცთა ტყავის ტანისამოსი ჩაიცვა და ზედ ჯაჭვიც ჩაიცვა და დიდს ბინარისავით სპილოზე შეჯდა, თავის ორმოცი ათასი კაცთ-მჭამლები გარს შემოირტყა და დადგა. რა უშანგის ჯარმა ყარამიჯინი დაინახეს, იმის შიშით ერანელთ სახეზე ფერი აღარ ჰქონდათ. რა იმათაც უშანგის ლაშქრის გაწყობილება იხილეს, დიდად მოეწონათ და ქება შეასხეს. მაგრამ უშანგის ჯარი თვალში ეფუქსავატათ. ფალეევნებს თვალი მოედანზე ეჭირათ და იძახდნენ, ენახოთ ვინ გამოვა მოედანზედაო ან ვისი ცხენი დაბრუნდებაო უპატრონოთაო. ამ დროს ყარამიჯინის მხრიდამ ერთი კაცთ-მჭამელი გამოვიდა მოედანზე და დადგა, უშანგის მხრიდამ ფალეევანი გამოითხოვა, ამ ჟამად თარალ-ჯვანი მოედანზე გამოვიდა, ოცდა-თექვსმეტი მწყრთის სიმაღლის მქონებელი, იმ კაცი-ჭამიას დაუსისწორდა და შემოუტია, ლახტი შეუმაღლა და მარდუხორმა აიცდინა. მეორედ კვალად დაჰკრა, მაგრამ ვერა ვნორა. შემდეგ ხმალი ჰსცა, ვერცა რა მან ავნო. აწ რიგი მარდუხორმს ერგო, მარდუხორმა ერთი ასეთი ლახტი დაჰკრა რომ კაცი და ცხენი მიწასთან გაასწორა. ინდოეთის მხრიდამ ბარაქალის ხმა ზეცამდის აღიწია. უშანგის მხრიდამ ჰეითალ-მისირი მოედანზე გამოვიდა, იმანაც რამდენიმე ხმალი და ლახტი ჰკრა, მაგრამ ვერა ავნორა. რა რიგი მარდუხორმს ერგო, ამანაც რამდენიმე ლახტი სცა, მაგრამ ვერა ავნორა. მარდუხორმი განრისხდა და ასეთი ლახტი სცა რომ კაცი და სპილო მიწასთან გაასწორა. მარდუხორმა უშანგის ლაშქრიდამ კვალად ფალეევანი გამოითხოვა. ორმოცი მწყრთის მქონებელი ყაჰყაი-ფილუსარი მოედანზე გამოვიდა, მარდუხორმს ლახტი შეუმაღლა, მან ფარი იფარა, მაგრამ ლახტი ასეთი ძლიერად მოხვდა რომ ფარი და თავი ერთმანერთს შეაჭყლიტა ლ დიდს მთასავით სპილოდამ ძირს დაეცა, ინდოეთის ლაშქარნი დიდად გამაყებულნი იყვნენ იმ ფალეევნისაგან და იმ ორი კაცის სიკვდილი აზღვეევინა ფილუსარმა. რა ყარამიჯინმა ნახა რომ ერთის და-

კერით მოკლა, გული დიდად დაუწყლულდა. ერან-თურანის მხრიდამ ქებისა და ბარაქალის ხმა ზეცამდის აღეწია. იქით მხარეს ყარამიჯინი ისე განრისხდა რომ მეხიეთ ჭექა დაიწყო, უნდოდა თეითონ გამოსულიყო მოედანზე, მაგრამ ქელურ მარდუხორმა არ გამოუშვა და თეითონ გამოეიდა მოედანზე. ალმასის ნაჯახი ხელთ ეჭირა და ყაჭყაი-ფილურსარს შეუმაღლა, ყაჭყაის საჯდომ სპილოს მოხედა და თავი გააგდებინა. ყაჭყაი და სპილო ორნიეე ძირს დაეცნენ, მაშინ მსწრაფლ შირფანჯა მოუხტა და ქელურს ასეთი დაჰკრა რომ ძირს გადმოაგდო და მაშინვე შირფანჯამ სხვა სპილო მოჰგვარა ყაჭყაის და ზედ შესვა. ყაჭყაი მაშინვე ქელურს მიუხტა და ერთი ასეთი დაჰკრა რომ მიწასთან გაასწორა. მაშინ ყარამიჯინმა კეალად მოიწადინა მოედანზე გამოსელა განრისხებული, მაგრამ არ გამოუშვეს, ადამხორი მოედანზე გამოეიდა და ერთი-ერთმანერთზე რამდენიმე იარაღი იხმარეს, ყაჭყაი-ფილურსარმა ხმალი მოუქნია, ადამხორმა ფარი იფარა, ასეთი ხმალი სცა რომ მკერდამდის გაჰკეეთა. უშანგის ლაშქრის მხრიდამ ქება ზეცამდის აღიწია. ყარამიჯინმა რა მისი სიკვდილი ნახა მეტის სიმწუხარით თავში კვამლი აუვიდა, იმ წამსვე სარინჯ მარდუხორი მოედანზე გამოეიდა, ყაჭყაის ასეთი ლახტი დაჰკრა რომ ფარმა ველარ გაუძლო და თავი მოარიდა, სპილოს მოხედა და თავი დაუნაყა, სპილო და ყაჭყაი ორნიეე ქვე დაეცნენ. მსწრაფლ თემური წინ გადუდგა და ყაჭყაი მოედნიდამ წაიყვანა. თემურმა თეისი ლახტი სარინჯს შეუმაღლა, მან ფარი იფარა თემურის ლახტი სარინჯის ფარს მოხვედა, სპილო და კაცი მიწასთან გაასწორა. თემურ-სამარყანდელი მოედანზე ამაყად დაეიდოდა და ფალეევანს გამოითხოვდა, ერთი სხვა მარდუხორმი გამოეიდა მოედანზე, თემურმა ისიც მოკლა, ამ ყოფით თემურმა ოცდა-ათი ფალეევანი მოკლა მარდუხორმებისა.

რა ყარამიჯინმა ამდენი კაცის დახოცა იხილა, დიდად დაილრიალა და მოედანზე გამოეიდა, ერთი ასეთი დაიყვირა რომ ის არემარე შეიძრა. მაშინ ინდოეთისა და სინდეოის დასტები ერთმანერთს ეცნენ, რამდენიმე ფალეევანს იმის ხმის შიშით გულები შეულონდათ, სპილოები ერთმანერთში აირიენენ, ამ ხმაზედ უშანგის ლაშქარში რამდენიმე კაცი ცხენიდამ გადმოცვიედნენ, სპილოთა და მარტორქათა ფეხ-ქვეშ დაისრისნენ და ყველას თვალი ინდოეთის ლაშქრისაკენ ეჭირათ და გაკვირვებით იძახდნენ, ეს რა ხმა იყოეო? ნახეს რომ ერთი დეეის მზგავსი ოთხმოცდა ოთხის მწყრთის სიმალ-

ლის მქონებელი, შაეის ფოლადით თაეით ფეხამდისინ შეჭურეილი, ერთი რაღაც უცნაური ლახტი ხელთ უჭირაეს, ზედ ჯაჭვებით დაბმული ალმასის ბასრი ხმლები და ხანჯლები. ისეთი ყოფა-ქცეეით გამოეიდა მოედანზე რომ თუმცა ყაფის მთის დეეებს ენახათ შიშით გულები დაუსქდებოდათ, ეინც უშანგის მხრიდამ. ყარამიჯინი იხილა დიდად შეშინდნენ. ყარამიჯინმა ცხენი თემურისაკენ გაიგდო, საბრალო თემურმა თაეისკენ მომაეალი რომ ნახა, დიდად შესწუხდა და არ იცოდა თუ რა ექმნა, გაქცეეა და მორიდება არ შეიძლებოდა, ბმიტომ რომ დიდი სირცხეილი იქნებოდა და თაეის სახელს და ფალეენობასაც არ აკადრა და თაეის თაეი სასიკვდილოთ მისცა და თაეის შემომქმედს თაეი მიანდო, მაგრამ იმ წყეულის ყეირილის ხმაზე მცირე ხანს უცნობოც შეიქმნა და ისეე გონებას მალე მოეგო, იქიდამ ყარამიჯინმა შემოუტია, ასე ეგონა ყარამიჯინს რომ უწინ იარაღს იხმარებს ჩემზედაო, მაგრამ თემურმა უწინ ფარი იფარა და უნდოდა რომ იმ წყეულის ლახტს გადარჩენოდა. რა ყარამიჯინმა ამ ყოფაში ნახა, შეატყო რომ მე ესე ეერ გამიძლებსო, მაშინეე თეისი მძიმე ლახტით საბრალო თემურს დაჰკრა და მიწასთან გაასწორა.

რა უშანგმა თემურის ესე უწყალოდ გათაეება იხილა, საყელო გარდაიხია და თეალთაგან ცრემლი გარდმოყარა, ყარამიჯინმა კიდეე ფალეეანი გამოითხოეა ერანელთაგან. ერანელთაგან ყამაჯაით თურქისტნელი გამოეიდა, ორმოცდა-სამის მწყრთის მქონებელი. ყამაჯაითს გურზი მოუქნია ყამაჯაითმა არაფრად მიიმჩნია, ხელი მიჰყო საყელოს, ერთი მცირე ეაშლიეით ასწია და მიწას დასთხლიშა და გაათაეა. კეალად ფალეეანი გამოითხოეა. არყასჯიაილი მოედანზე გამოეიდა, ისიც მსწრაფად მოკლა. რა ესე იხილეს მისის შიშით ეერა რომელმა ფალეეანმა ველარ გაბედა მოედანზე გამოსელა. სინდისტნის მხრიდამ ზურნისა და ნალარის ხმა ზეცად აღიწია, მარდუხორშები რომელსაც მკვდარ კაცს მოახელებდნენ მაშინეე ჰყლაპაედნენ. უშანგ-შაჰამ რამდენჯერმე მარჯენიე და მარცხნიე მიიხედ მოიხედა და დაათეალიერა, უნდოდა რომ ყარამიჯინისთეის ფალეეანი გაეგზავნა, მაგრამ შიშით ყეელა ფალეეანს ფერი აღარა ჰქონდათ სახეზე და ველარაეინ ჰბედავდნენ ყარამიჯინის ომს, ისე შეშინებულიყენენ.

აქ ხოსროეშირისა და ყარამიჯინის ომი ძლიერი.

როდესაც ხოსროეშირმა ნახა ინდოეთის მხრიდან ესეთი მხიარულება და თავის ჯარის ამ გვარი მწუხარება, მსწრაფლ ერთი საშინელი ნარა გასწია, შესძახა მეიდნისკენ და წინ წადგა. რა თავის რაზმთან მივიდა, ერთი საშინელი ნარა კვალად გასწია და ისეთი ხმით დასძახა რომ, ისეთი განრისხებული ხმა (თუ არ ყარამანისა სხვა არავისაგან სმენოდათ), ასე ეგონათ რომ ყარამანი გაჩნდაო. მაგრამ ჰინდელნი და სინდელნი კი იცინოდნენ. როცა ხოსროეშირისაგან ესეთი ხმა გაიგეს, უშანგმა ფალეევნებს შესძახა, ღეთის გულისთვის ნუ გაუშვებთო. ფალეევანნი ბევრს ეცადნენ რომ არ გასულიყო, მაგრამ ხოსროეშირმა არ დაიშალა. თეირ-დაშტი და ყაჰყაი-ფილურსარი აქეთ და იქით მოეჭიდნენ და ბევრს ეხვეწნენ მაგრამ, ხოსროეშირმა არც ერთის თხოვნა არ შეისმინა. რა ესენი მაგრად მოეჭიდნენ, იმ ქამად ყარამიჯინმა შემოსძახა დიდის ხმით. „ჰეი, ერანელნო და თურანელნო, დეშტიყიფჩაღელნო ფალეევანნო და ხელმწიფის შვილნო! ქვეყანაზე მამაცობის და ფალეევნობის დავას ვინ ეწევით! აბა მოედანზე გამობრძანდით, მიცანით რომელიც მე ვარ ყარამიჯინი! სად არის ის გრძნეული, რომელმაც მაცდურობით წუხელის გრძნეულება იხმარა, აბა ახლა მობრძანდეს და მიცნას, დედაჩემს ვითარი შვილი დაუბადებივარო!“ მაშინ ერთი საშინელი ნარა გასწია და მოედანზე ტრიალი შექმნა. რა ხოსროეშირმა ესეთი შემოძახება გაიგონა ყარამიჯინისაგან, დიდად განრისხდა და უნდოდა რომ ფალეევნებისთვის მკლავები ხმლით დაეყრეევინებინა და იმათგან განთავისუფლებულიყო, რადგანაც ისინი არ უშვებდნენ.

აქ გულჩინისა და ყარამიჯინის ომი.

ცოტა ხანმა რომ განვლო, ნახეს რომ ორსავე ლაშქრის შუიდამ ერთი რაღაც დიდი მტვერი ავარდა. რა ქარმა შეჰბერა, მტვერი უკუ იყარა, ნახეს რომ ერთი ოცდაკამეტი მწყრთის მქონებელი, შავი ფოლადით შეჭურვილი თავით ფეხამდის, მარტორქაზე მჯდომი, მთვარის მზგავსი მოვიდოდა.—ხელთ ერთი ფოლადის ლახტი ეჭირა და ტირილით მოაქროლებდა. ასეთის ქცევით მოვიდოდა რომ ორსავეს მხრის ლაშქარს თვალი იმაზე დარჩათ (ეს იყო გულჩინი). რა ყარამიჯინს მოახლოვდა, თვისი მძიმე ლახტი შეუმაღლა და ისე-

თი დაჰკრა რომ ყარამიჯინს ძალა დაადგა. ვიდრე ყარამიჯინი მო-ბრუნდებოდა, გულჩინმა მეორეც დაჰკრა, მაგრამ იმ ორმა დაკრულ-მა ყარამიჯინს ვერა აეგორა. რა რიგი ყარამიჯინს ერგო, ერთი ძ-ლიანი ლახტი მოუქნია გულჩინს, გულჩინმა ფოლადის ფარი თავს იფარა, მაგრამ იმ წყეულმა ისეთი ძალიანად დაჰკრა რომ ფოლადის ფარი დაულეწა და მის საჯდომს მარტორქას მოხვედა და მიწასთან გაასწორა. ვიდრე მარტორქა მიწაზე დაეცემოდა გულჩინი მსწრაფულ შორს გადახტა და ფეხზედვე დადგა.

იქიდამ ხოსროეშირმა, გულჩინი რომ ნახა, გარდმოხტომილი, სიცოცხლე ალარ შერჩა, მარჯვენა ხელი ყაჭაი-ფილურსარ ჩაუგდო სარტყელში და მარცხენა ხელი თეირდაშტს და ესე ორივე ფალე-ვანნი საჯდომიდამ მოგლიჯა და შორს გადასტყორცნა. თვითონ განრისხებულმა ყარამიჯინს შეუტია, ძირ გარდმოხტა, გულჩინზე ხოსროეშირმა ყარამიჯინი ალარ მიუშვა სასიკვდინოთ. ხოსროეშირ-მა შესძახა: „ჰეი, შე წყეულო! მაგ ფალევნისაგან ხელი აიღე, ბულ-ბულთან მალრანს რა ხელი აქეს სამტეროდ—შენი მებრძოლი მე ვარ, მე“.

ამ სიტყვის შემდეგ, ერთმა სხვა ფალეევანმა ქალმა მარტორქა მოჰგვარა, შესვა და ხოსროეშირს მდაბლად თავი დაუკრა, ისინი ორნივ სხვა მხარეს წაიდნენ, ამ ორთა მხრის ლაშქარს, ამ ჩამომ-ხტარ ფალეევანზე დარჩათ თვალი და ვერ იცნეს თუ ვინ იყო იგი, ან საიდამ მოვიდა და ან საით წავიდა, მაგრამ ამის მედგრად ბრძო-ლამ ესე ლაშქარი დიდად გააკვირვა. მხოლოდ გულჩინის ამბავი, ხოსროეშირის მეტმა არავინ იცოდა, გულჩინი იმ მიზეზით უფრო შეება ყარამიჯინს რომ არამც თუ ხოსროეშირს აუტეხოს რამეო. შემდეგ მოედნის თავს დაადგა გულჩინი ფარულად და ხოსროეშირ-სა და ყარამიჯინის შეყრას ყურება დაუწყო, ვისაც ენახა ამას იტ-ყოდა, ერთი ანგელოზი და მეორე დევი შეხვდნენ ერთმანერთსო.

აქედამ უშანგ-შაჰამ და შირფანჯამ, ერანელთა სარდლებმა ყვე-ლამ ქუდები მოიხადეს და ღმერთს ეევედრებოდნენ ხოსროეშირის მშვიდობით გადარჩენას. რა ხოსროეშირმა იგი ფალეევანი გაანთავი-სუფლა ყარამიჯინის ხელიდამ, ყარამიჯინი დიდად განრისხდა ამაზე და კბილს-კბილზე აკრაჭუნებდა, ისე რომ კაცს ეგონებოდა დიდ ხეს ხერხავენო, შემდეგ შესძახა ყარამიჯინმა ხოსროეშირს: „შენ უბედურო, შენ რომ ჩემზე საომრად მოხვალ, ვითარ გაბედე?! ან უშანგის ლაშქარში არავინ იყო. შენის მეტი მეომარი? სად არი ის

გრძნეული ხოსროეშირი რომ მოედანზე არ გამოვა, და შენ მითხარ ვინა ხარ და ანუ რა გქვიან"?..

ხოსროეშირმა შესძახა: „შენ ხოსროეშირს რათ კითხულობ? მე ხოსროეშირის ერთი მცირე მონა ვარ—მე თვითონ ხოსროეშირმა გამომგზავნა შენთან სამრად, ჯერ მე მომეცი პასუხი და შემდეგ ხოსროეშირი მოითხოვე". ყარამიჯინმა რომ ამისთანა მკვახე სიტყვები მოისმინა ხოსროეშირისაგან, მაშინ ერთი ძლიერის ხმით შესძახა ყარამიჯინმა და თვისი მძიმე ლახტი შეუმაღლა ხოსროეშირს. ამისმა მხილველმა ერან-თურანის ლაშქარმა შწუხარების ხმა გაამრავლეს და მაშინვე პირქვე დაეცნენ და პირ-მიწაგაერთებით ღმერთს ეეედრებოდნენ ხოსროეშირის გადარჩენას.

რა ხოსროეშირმა ყარამიჯინისაგან შემაღლებული ლახტი იხილა, შეატყო რომ არამც თუ თვითონ, ვერც ფერია და ვერც დევი გაუძლებდნენ და სთქვა: თუ ამ ლახტს არ მოვერიდე—გამთავებსო, თუ მოვერიდო ჩემი სახელის ნაკლულევანება იქნებაო; მეტადრე ყარამანი თავის საფალვანო დავთრიდამ მომშლისო? როცა ამ საგონებელს იყო, ხოსროეშირმა მსწრაფლ ბახრ ხმალს ხელი მოიკრა, ვიდრე იგი ლახტს დაჭრაედა, ლახტს ხმალი გაჭრა და ოთხი ჯინჯილი მოსწყვიტა და თავის ფოლადის ლახტი თავს დაიფარა. იგი ლახტი ისე ძლიერად მოხვდა ხოსროეშირის ლახტსა, რომ მისმა ხმამ ცა და ქვეყანა მოიცვა და საშინელი ცეცხლები გადმოსცვივდნენ ორთავე ლახტისაგან, ისე რომ მუნ მყოფთა ლაშქართა ვეღარ დაინახეს თუ ხოსროეშირი რა იქნა, ისე დაჰფარა ცეცხლმა ხოსროეშირი. რა ლახტი მოხვდა ხოსროეშირს, მკლავებმა ვეღარ გაუძლეს და მოეკაკვნენ, თავი მოარიდა და მკერდს მოხვდა მედგრად, ისე რომ სული შეხუთა და ცხვირ-პირიდამ სისხლი გადმოსქდა მეტის სიმძიმისაგან. მისი საჯდომი მარტორქა ლახტის ძალამ ჩლიქამდის მიწაში ჩასვა. თვითონაც მცირე ხანს უცნობოდ იყო. რა ცნობას მოვიდა, მარტორქას ქუსლი ჰკრა და იმ ალაგიდამ სხვა მხარეს გადაახტუნა და თავის უენებლად გადარჩომაზე ღმერთს მადლობა შესწირა. ყარამიჯინს ასე ეგონა, ხოსროეშირი თავის რაშიდ მიწასთან გავასწორეო. როგორც ყარამიჯინს ეგონა, აგრეთვე უშანგს, ხოსროეშირის გათავება. უშანგმა იმედი გადაიწყვიტა ხოსროეშირისა, ნახეს რომ მშვიდობით გადარჩა იმ ლახტის დაკვრას და მამაცად იდგა. რა ხოსროეშირი უენებლად იხილეს, ყველამ დიდი ქება შეასხეს. უშანგმა მაშინვე ბრძანა რომ სამხიარულო ნაღარისთვის შე-

ებერათ, რადგანაც მშვიდობით გადარჩენა იხილა ხოსროვშირისა და თვითონაც დიდი მადლობა შესწირა ღმერთს. ყარამიჯინმა მოიხედა, ნახა რომ იგი თავის ლახტნაკრავი ფალეევანი მშვიდობით გადარჩენილა და მყარ მთასავით დგას. ყარამიჯინმა თავის ლახტს დახედა ნახა რომ ოთხი ჯინჯილი ლახტს მოწყვეტილი აქვს. მაშინვე მობრუნდა და ერთი კიდევ დაჰკრა. ხოსროვშირმა კვალად ორი ჯინ. ჯილი თავის ბურთებით მოაგდებინა ხმლით და მას ლახტსაც მშვიდობით გადურჩა, ვიდრე მესამედ მოუბრუნდებოდა ქვეთან შაჰას აიარები მოსცვივდნენ და ყარამიჯინს უთხრეს: მაგას კარგა უფრთხილდი რომ თვითონ ეგ არის ხოსროვშირი. რა ყარამიჯინმა ესე შეიტყო, მსწრაფლ მოუბრუნდა ხოსროვშირს და კვალად დაჰკრა, ისეთი მძიმედ დაჰკრა რომ მხილველთა ეგონათ, ეხლა კი გააწყალაო, მაგრამ ხოსროვშირი იმ ლახტიდამაც დაიფარა ღმერთმა. ყარამიჯინმა რომ ვერა გააწყორა, ძალლსავით ყეფა დაიწყო და კბილების ღრჭენა შექმნა.

ახლა კი რიგი ხოსროვშირს ერგო, თვისი ბასრი შუბი სამჯერ თავს შემოიველო, ისე რომ ვითა ცამ დაიქუხა. იმ გვარი გრგვნა დაიწყებინა და ცხენის ყურს განაწონა და ყარამიჯინს შუბი დაუსისწორა. მან ფარი იფარა. ჰკრა ფარსა და შიგ გაატაინა, ყარამიჯინმა ფარი შუბს მიანება და თვითონ თავი მოარიდა, მაშინ ხოსროვშირი ცხენმა გაიტაცა და იგი ფარი თან წაიღო შუბის წვერით. ახლა თვისი მძიმე ლახტი მიუტანა ყარამიჯინს, შეუმაღლა და იმანაც თვისი ლახტი იფარა, ხოსროვშირმა ლახტი მედგრად დაჰკრა ყარამიჯინს, ყარამიჯინი მშვიდობით გადურჩა, მაგრამ დიდი ძალა კი დაადგა, ისე რომ იმისთანა ძალაზ არავისაგან დასდგომოდა, მცირე ხანს თავი გადააგდო და ისე დადგა გულშეღონებული, ამ ჟამად უშანგის სამხიარულოს ნალარის კვრას ქვეყანა მოეცვა, რა მესამედ ხოსროვშირმა ყარამანისეულ ბასრ ხმალს ხელი მოიკრა და ყარამიჯინს მოუხტა შემოსაკრავად, ყარამიჯინმა შვიდკეცი ნიანგის ფოლადით შეჭედილი ფარი იფარა. ხოსროვშირმა ხმალი მის ფარსა ჰკრა და ფარი შუა გაჰკვეთა, ყარამიჯინმა მსწრაფლ თავი მოარიდა, ყარამიჯინს დასცდა და სპილოს მოხვდა, სპილოს თავი გააგდებინა, შავი მთის ოდენი ყარამიჯინი და სპილო მიწას დაეცნენ; მაშინ ხოსროვშირი ყარამიჯინს გასცილდა. რა ყარამიჯინის გადმოვარდნა იხილეს, ოცდა ათ-ათასმა მარდუხორმა ხოსროვშირს შემოუტიეს და ყარამიჯინის ორმოცდა-რვა შვილმა, ვიდრე ხოსროვშირი ყარამი-

ჯინს მოუბრუნდებოდა, ყარამიჯინს სპილოც მოჰგვარეს და ზედ შესვეს. მაშინ ხოსროეშირი შუა შეიგდეს და გარს შემოერტყნენ მარდუხორმების ურიცხვი ლაშქარი. რა უშანგ-შაჰამ ესე იხილა სიცოცხლე ჯლარ შერჩა, მსწრაფლ ოც-ათას ერანელთა და დეშტიყიფჩაღელთა შეტევა უბრძანა. უშანგის ლაშქარმა მაშინვე შემოუტია დიდის ხმით და იერიში მიიტანეს, მრავალი მარდუხორმები ამოწყდნენ და ყარამიჯინი იმ არეულობაში ფარანგ-თურქისტნელ შემოხვდა და ერთის დაკერით მიწასთან გაასწორა. შემდეგ თემურუჯაზელს შემოხვდა და ისიც მოკლა, ყეიფიურ-მაზანდარელს, დამარიჯანს და სხვა მრავალს. რალა გავაგრძელოთ, იმ დღეს ყარამიჯინმა ას-სამოცამდე ნაქები სარდალნი და ფალეევანნი დახოცა.

რა ხოსროეშირმა ყარამიჯინისაგან ფალეევნების დახოცა იხილა, დიდად განრისხდა და ყარამიჯინს მაშინვე შეილები დაუხოცა, შემდეგ ყარამიჯინს შემოუტია, ყარამიჯინიც დახვდა და თავის მძიმე ლახტი დაჰკრა, შემდეგ ერთმანერთს ბრძოლა დაუწყეს და ერთი მეორეს ერკინებოდნენ ვეშაპებივით. იქით მხრიდამ ქეთან-შაჰამ ჰინდთა და სინდთა სულ ერთიანად შემოტევა უბრძანა, დიდი ზღვის ღელვასავით შემოუტიეს ერან-თურანელებს. რა აქეთ მხარეს შარიბ-შაჰამ ესე იხილა, მაშინვე თავის ლაშქარს სულ ერთიანად შეტევა უბრძანა, ამათაც ყველამ ერთობით შეუტიეს, ეს ორი მხრის უთვალავი ლაშქარი ერთმანერთში დაერიენენ, ვისაც რომ ენახათ ამას იტყოდნენ—ქვეყანაზე მეორედ მოსელაო.

იმ დღეს ისეთი საშინელი ომი ასტყდა, რომ ფალეევანთა ხმისაგან და სპილოთა ბრლვინვისაგან, მარტორქის ღრიალისაგან ნაღარის ხმისაგან, ისრის შრიალისაგან, ხმალთა ცემისაგან, შუბთა ძგერისაგან და ლახტთა ხეთქისაგან ცა და ქვეყანა იძროდა. ასეთი დღე იყო იმ ჟამად რომ სწორედ მეორედ მოსელას ემზგავსებოდა, ბევრი კაცი და ჭაბუკი, თეთრი ცხენი და შავი ცხენი, სრულიად გაერთფერებულიყო. იმ დღეს სარანდიბის კალთაში ოკეანეს ზღვის პირას, ისეთი ომი გარდაიხადეს, რომ რაც ქვეყანა დაარსებულიყო იმ გვარი ომი არაოდეს არ მომხდარიყო. იმ დღეს დაბინდებამდის ამისთანა ბრძოლაში იყვნენ.

ყარამიჯინმა იმ დღეს, უშანგის დასტები ერთმანერთში მიურმოურია და დიდად შეაძრწუნა, თუ იმ დღეს ხოსროეშირი იქ არ დასწრებოდა, უშანგსა და მის ჯარს მალე დაიმორჩილებდნენ, ყარამიჯინს ერთ წამსაც ვერ გაუძლებდნენ ერან-თურანელნი. კვალად

ყარამიჯინმა შემოუტია უშანგის დასტებს და სულ დაფანტა, ისე რომ უშანგის ტახტამდის მიაღწია, დიდის ცდითა და ბრძოლით, ძლიეს უკან დააბრუნეს.

რა ბინდმა მოატანა, ფალეევანთა მკლავნი დაეღალათ, ხმალნიც ხერხს დაემზგავსნენ, ცხენთა სიარული აღარ შეეძლოთ, შუბნიც დაჩლუნგდნენ, მშვილდთა საბელნი დაუდუმდათ, ფარნიც ცხრილს დაემზგავსნენ. რა ესრედ მოუძლურდნენ, ორსავ მხარეს გასაყარს ნაღარას შეჰბერეს, ორსაევ მხრის ლაშქარნი თვისსავე მხარეს მიიქცნენ, მხოლოდ ხოსროეშირი და ყარამიჯინი კი ერთმანერთს ვერ დაშორდნენ. რამდენჯერმე ფალეევანნი და სარდალნი წინ წარსდგნენ და სთხოვეს ხოსროეშირს რომ ხელი აეღო ბრძოლისაგან, მაგრამ ხოსროეშირმა არც ერთის თხოვნა არ მიიღო, ბოლოს ერან-თურანელნი ფალეევანნი ცალ მხარეს დადგნენ და ჰინდელნი ცალ მხარეს და ერთიერთმანერთი მიანებეს ხოსროეშირი და ყარამიჯინი, შუალამემდის შედგრად იბრძოდნენ, ასე რომ ამ ორი ვეშაპის ბრძოლით სარანდიბის მთა იძრწოდა, რა ომი ვერაფრით ვერ გადასწყვიტეს, ხოსროეშირი ძლიერ განრისხდა და ერთი ძლიერი ლახტი დაჰკრა ყარამიჯინს, ყარამიჯინმა ლახტს ფარი უფარა, ლახტმა ფარი დაამშხვრია, ყარამიჯინმა ლახტს თავი მოარიდა, სპილოს მოხვდა და თავი დაუნაყა, სპილო მიწას გარდაიქცა და ყარამიჯინი ქვეშ დაიტანა, ვიდრე ხოსროეშირი მობრუნდებოდა ყარამიჯინს სხვა სპილო მოჰგვარეს და ზედ შესვეს. მაშინ უშანგი წინ გადუდგა, ხოსროეშირს სთხოვა: ჩემო თვალის სინათლევ, გეყოფა ლომისა და დევის ბრძოლა, აიღე ხელი, დღეს საკმარისია, ღვთით მტერი შენგან იძლია, ხვალ კვალად შეებაძ, გთხოვ რომ გამობრუნდე.

ხოსროეშირმა მოახსენა: ჩემო ხელმწიფევ, ვიდრე ეს უკუ არ იქცევა, ჩემგნით პირ-შებრუნება შეუძლებელია, მე რომ უწინ მიეიქცე უკუ ჩემ საბელ არ ვაკადრებ. შემდეგ ჩემმა მტრებმა უნდა გაიცინონ და სთქვან „ხოსროეშირი შეშინდაო და ამიტომ დაბრუნდაო“. შემდეგ იქიდამ ქეთან-შაჰა და მარდუხორმების დიდებულნი წარმოუდგნენ ყარამიჯინს და თავი გაანებებინეს და წაიყვანეს. ქეთან-შაჰას კარავს რომ მივიდნენ, მაშინვე მეჯლისი გამართეს, მცირე ხანს ლვინო სვეს. რა ყარამიჯინი ღვინით დაითრო, დიდ გუმბათსაეით თავი ზევით აიღო და თავის შვილები დაათვალიერა, ნახა რომ ორმოცდა ოთხი შვილი აკლდა, ერთი ძლიერი ამოიოხრა და თვალთაგან რუს ოდენი ცრემლი გადმოსქდა და კანკალი დაიწყო და კბი-

ლების ლრჭენა შეჰქმნა, ისე რომ ხმა ნახეარ ალაჯზე გაიგონებოდა. იქ მსხდომ სარდალთა და ფალეევანთა შიშისაგან სიტყვის თქმა ეეღარ გაბედეს ყარამიჯინის წინაშე.

აქ უშანგ-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ.

უშანგ-შაჰამ ხოსროეშირი თავის კარავში წაიყვანა, შემდეგ შეიდნი იყლიმის ხელმწიფენი, სარდალნი და სპასალარნიც მეეიდნენ უშანგის კარავში. მაშინ უშანგმა ბრძანა რომ რაც იმ დღეს ომში დახოცილნი ფალეევანნი იყვნენ, ყოველნი მოეტანათ. დახოცილნი მოიტანეს და ყოველნი თავის წესით დაამარხეინა. უშანგი დიდად სწუხდა თავის დახოცილ ფალეევნებზე და სარდლებზე, სტიროდა და მცხარე ცრემლები გადმოსდიოდა. შემდეგ ვინცა ვინ იყვნენ სარდალნი და ფალეევანნი უშანგ-შაჰის კარზე შეიყარნენ, უშანგს თავი დაუკრეს და თვისს ადგილს დასხდნენ, მცირე ხანს შემდეგ ხოსროეშირიც მოეიდა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და ხელს აკოცა. უშანგმა თავისთან ადგილი უთავაზა, შემდეგ ხოსროეშირის ლალამ თეირდაშტიმ და ყაჰყაი-ფილურსარმა უშანგს თავი დაუკრეს და ხოსროეშირს ქება შეასხეს. შირფანჯამ უთხრა: ჰეი, ფალეევანნო! მიკვირს თქვენი ფალეევნობისა რომ ორნი მთის ოდენი ფალეევანნი, ხოსროეშირმა ერთი ერთის ხელით და მეორე მეორის ხელით, ერთ მცირე ბურთიეით აგიღოთ და შორს გადაგყარათო! მათ მიუგეს; შირფანჯავ, შენ ეგ რათ გიკვირს? აქლემიც დიდია მაგრამ, ლომის კლანჭს ვერ უძლებს ხოლმეო. ამათ სიტყვაზე ხელმწიფემ და დიდებულთა ყველამ მრავალი იცინეს.

აქ მცირე რამ ქეთან-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ.

ქეთან-შაჰას მეჯლისი ყოველნი კაცნი დიდნი თუ მცირენი, ხოსროეშირის ფალეევნობას და ძალ-გულობას აქებდნენ, რა იმ მეჯლისში ხოსროეშირის ქება ყარამიჯინმა გაიგო, დიდად სირცხვილეულად თავ-ჩამოგდებით იჯდა და თავისთავად სწუხდა, ხოსროეშირის ომის გაუსწორებლობაზე და გულჩინის სიყვარულზე, რადგანაც დავა დათხოვნილი იყო, ამიტომ უფრო სცხეენოდა და გულჩინისათვისაც პირს ეეღარ შეეხედნა. ქეთან-შაჰამ შეატყო რომ ყარამიჯინი დიდად შეწუხებული იყო ხოსროეშირის ომის გაუსწო-

ჩებლობისთვის. ქეთან-შაჰა წინად ესე გრძნობდა რომ რომელ დღეს-აც ყარამიჯინი უშანგ-შაჰას შეებმის, იმავე დღეს დაიმორჩილებსო და უშანგი ვერ გაუძლებსო ყარამიჯინსაო. მაგრამ როგორც ჰფიქ-რობდა ისე ვერ მოუხდა.

აქ ოჰყალი-ჯადოს ამბავი ქეთან-შაჰის წინაშე.

ესენი რომ ამ მწუხარებაში იმყოფებოდნენ, კარზე რაღაც არეულობის ხმა შემოესმათ და აქა-იქ კითხვა შეჰქმნეს ამბისა; ნახეს რომ შეიდნი შაეთ მოსილნი რაღაც ნაირნი ხალხნი, ხელმწიფესთან შემოვიდნენ, ღორის ჯაგრის ჯაჭვები ეცვათ, მათი წვერ-წარბ-წამწამ, სულ ერთმანერთში ჰქონდათ დაბურდენილი და დახონჯილი, კაცს ისე ეგონებოდა რომ თავიანთ დღეში პირზე წყალი არ შეუსხაეთო, ბრჩხილები ჭლანკვის ოდენი ჰქონდათ სიგრძით, პირიდამ ისეთი მყრალი სუნი ამოსდიოდათ, რომ ადამიანი მათი სიმყრალის სუნით ახლოს ვერ მიუდგებოდა, მათ ყველას ხელში მათრახის მაგიერათ თითო შაეი გველი ეჭირათ და რაღაც ნაირ მხეცებზე იჯდნენ. მოვიდნენ ჩამოხტნენ მხეცებიდამ და შინ შეეიდნენ, ქეთან-შაჰას თავი დაუკრეს, ქება შეასხეს და მოახსენეს: „მოგვილოცავს ოჰ-ყალი ჯადოს მოსელა, სამასი ათასის თილისმის მცოდნე ჯარითაო".

რა ქეთან-შაჰამ, სარჯანმა და გურგანმა, ოჰყალი-ჯადოს მოსელა გაიგეს დიდად გამხიარულდნენ. მაშინვე მხიარულობის მეჯლისი გამართეს, ამათაც ადგილი უთავაზეს და დასხდნენ. გულჩინმა რომ ოჰყალი-ჯადოს მოსელა გაიგო, დიდ მწუხარებას მიეცა, ისე რომ სიცოცხლე და ცნობა ალარ შერჩა, მაშინვე სურხარავს (თავის აიარს) ანიშნა, უშანგთან გაგზავნა და ოჰყალი-ჯადოს მოსელა აცნობა—შეუთვალა, გაბრთხილდით რომ ამის ომი ქვეყანაზე არავის შეუძლიანო. რა ამისთანა ამბავი აცნობა და სურხარაეი მსწრაფად გაისტუმრა, სურხარაეი ძლიერ ფიცხი იყო, ისე რომ თავის სისწრაფით ცის ჩარხის სიმრგვლეზე გადახტებოდა. სურხარაეი დილის ნიავსავით მივიდა უშანგ-შაჰის დარაჯებთან, ყაჰყაი-ფილურსარს ყველა ეს ამბავი დაწვრილებით უამბო და გამოეთხოვა, მალე ისევ თავის ჯარისაკენ წამოვიდა, ნახა რომ ქეთან-შაჰას ისევ მეჯლისი ჰქონდა და დიდი ნადიმი ჰქონდათ, ამ სიტყვებით შეეჭცეოდნენ და იძახდნენ: „დღეს ერან-თურანის აღსასრული მოსულაო", იმ ღამეს გათენებამდის სამხიარულო ნაღარის ცემა არ გაწყვიტეს, მრავალ

ალაგს მაშხალები დაენთოთ და თავიანთ გაწერთნილნი სპილოები მოასხეს და სინდურათ ეუბნებოდნენ სპილოებს: „აბა მზად იყავით ხეალისთვისაო, რომ დიდი ომი უნდა გადიხადოთო“. საცა სპილოები ჰყვანდათ სულ ერთად შეჰყარეს, ასეთი ხმით ღრიალებდნენ სპილოები რომ იმათი ხმისაგან ცა და ქვეყანა იძროდა.

აქ უშანგის ამბავი მოიხსენიეთ.

რა დილა გათენდა, უშანგთან ყაჰყაი შეეიდა და იმ ღამის სურხარავის ნათქვამი ამბავი ყველა მოახსენა. რა უშანგ-შაჰამ ესე მოისმინა, შარიბ-შაჰას, ქეიქან-შაჰას და დაუთ-შაჰას შეხედა და უთხრა: „ხელმწიფენო! იმ წყეულ ჯადოს როგორ უნდა შეეებათო? გახსოვთ ჰეილან-ჯადოზე რა ტანჯვა განვიცადეთ? თუ მაშინ გარდანქეშან აიარი არ შეგესწრებიყო და გარდანქეშანს თავის მანქანებით არ მოეკლა, დიაღ მაშინ ძლიერ გვიჭირდა იმისაგან განთავისუფლება.

ხოსროვშირმა ხელმწიფისაგან ესეთი სიტყვები რომ გაიგო, მოახსენა: „ჰეი ხელმწიფეე და დიდებულნო! ერთ ქაჯ ჯადოს რა შეუძლიან ისეთი საქმე რომ თქვენ მაგისთანა სიტყვას ბრძანებთ და ამ ფალავნებს აშინებთ! ოლონდ თქვენ ნუ მოიწყენთ და მე იმის თამაშას გიჩვენებთო“. გაამაყებულმა კვეხნა დაიწყო და ტყვილი არც ერთი არ იყო. რა ხოსროვშირის მამამ შარიბ-შაჰამ გაიგონა ხოსროვშირისაგან იმისთანა ლაპარაკი, დიდად იწყინა თავის შვილისაგან იმისთანა კვეხნა და უთხრა: „ჩემო თვალის სინათლეე და ხემო გულის სიხარულო, მაგისთანა ღვთის საწყენ სიტყვებს ნურასოდეს ნუ იტყვიო“.

აქ ოჭეალი-ჯადოს მოსვლა ქეთან-შაჰის შემწედ.

ამისთანა მხიარულებაში რომ იყვნენ სინდველები, ნახეს რომ ალმოსავლეთის მხარეს შავ ღრუბელმა ჰაერი მოიცვა და საკვირველი ხმიანობა შემოესმათ იმ ღრუბლიდამ, ყოველნი კაცნი გაჰკვირდნენ და ყურება დაუწყეს. ეს ჰაერში მომავალი ნისლი, სარანდიბის მთის კალთაში ჩამოვიდა, როდესაც ის საკვირველი ღრუბელი გადიყარა, სამი ჯადოს ლაშქარი გამოჩნდა ყველას სხვა და სხვა სახე ჰქონდათ და შავით მოსილნი იყვნენ, მათგანი რომელიმე ლომებზე

ისხდნენ, რომელიმე ვეფხებზე, რომელიმე ბაბრებზე, რომელიმე ფა-
ლანგზე, რომელიმე ვეშაპზე, რომელიმე მაიმუნებზე. იმათში ერთი
ოცდა-თხუთმეტის მწყრთის სიმაღლის მქონებელ ჯადოს, ერთი ლო-
რის ტყავის მზგავსი ჯაჭვი ეცვა, თვალები ლურჯი ჰქონდა, ზეითი
ქუთუთოები არა ჰქონდა, თვალთა ბრუნვა ელვას უგავდა, მეხის ჭე-
ქასავით სახარო იყო, ერთ დიდ ვეშაპზე ველების მზგავსი ურიცხვი
ჯადოს მანქანები აეკიდა. თვითონ ეს იყო ოჰყალი-ჯადო თავისის
ჯადოების ლაშქრით. როდესაც ჩამოხტნენ მაშინვე სალაფარდები
გასწიეს, მრავალი კარვები დასცეს. იქით მხრიდამ ქეთან-შაჰა, სარ-
ჯანი-ჰინდი და გურგან-ბელად ქამანი მოეგებნენ, უშანგისა და თავის
ომის ამბავი ჰკითხა და ქეთან-შაჰამ ყველა წერილად უამბო.

აქ ომი უშანგისა და სინდელთ სელმწიფისა, ოჰყალი-ჯა-
დოსაგან გრძნებით დაბრმავება მრავალთა ფალევანთა და
შეპყრობა ხოსროვშირისა და გულჩინისა.

რა ესე ამბავი გამოჰკითხა ოჰყალი-ჯადომ, მაშინვე ბრძანება
გასცა, თავის ჯადოს ჯარზე და ქეთან-შაჰას ჯარზე რომ სახვალიოთ
დაემზადნენ უეჭველად ომი უნდა იყოსო. იმ ღამეს ორსავ ლაშქარს
არავის დაეძინათ, გულოვანთა ომის ნდომით და მხდალთა შიშით.
რა დილა გათენდა საომრად დაემზადნენ, იარაღი მოიმართეს, სპი-
ლოსა და მარტორქას შესხდნენ, დასტები გააწყეს, მემარჯვენენი და
მეზარცხენენი განაწესეს, რაზმებათ გაეწყვნენ და საომრად გაემარ-
თნენ. რა უშანგის ჯარს დაუპირდაპირდნენ, მაშინ ჯადოთ ლაშქარ-
ნიც მომზადებულნი იყვნენ საომრად და ისინიც თავ-თავის ადგილს
დადგნენ. აქედამ უშანგ-შაჰამ ნახა რომ მხოლოდ ოჰყალი-ჯადოს
იმედით ვაწყვეს დასტები და უცხო და უცხო დროშები აღმართეს.
უშანგმაც ომის ნება მისცა ერან-თურანელთა და დეშტი-ყიფჩაღელ-
თა. რასაკვირველია ამათაც დასტები გააწყვეს, დარაზმდნენ და საომ-
რად მოემზადნენ. ხოსროვშირი ხელმწიფის შვილებით და ფალევნე-
ბით ჯარის ნაპირს გადავიდა და იქ დადგა. ისეთი მტვერი აღსდგა
ცხენთა ფეხთაგან რომ ერთმანერთს ველარა ხედავდნენ. რა მტვერი
გადაიყარა, ამ ორთა ლაშქარმა ერთმანერთი იხილეს, გულოვანთა
მოედანზე ეჭირათ თვალი და იძახდნენ, ენახოთ ვინ გამოვა მოედან-
ზე და ვისი ცხენი დაბრუნდება უპატრონოთათ. ოჰყალი-ჯადომ
თვალი გადააგლო უშანგის ჯარს და დიდად მოეწონა და ჰკვირობ-

და მათს სიკეთეს, მობრუნდა და ყარამიჯინს ჰკითხა: „შენი ძმის მკელელი ყარამანი აქ არისო?“ მაშინ ყარამიჯინის მაგიერი პასუხი ქეთან-შაჰამ მიუგო: ყოველის ბრძნებით საესე ხელმწიფეე! ორც ყარამიჯინის ძმის მკელელია აქ, არც თუ თქვენი ძმის აზრაილ-ჯადოს მკელელი გარდანქეშანი, ყარამან-ყათილი და სხვანი ქუჩ-ყაფის მთაში არიან წასულნიო. ოჰყალი-ჯადომ ჰკითხა: „თქვენ ჯარში ისეთი ეინმე არის რომ უშანგის ჯარის სარდლებისა და ფალეენების სახელები იცოდეს?“ ვურგან-ბელადი წინ წარსდგა და მოახსენა: „მე დიალ კარგა ვიცი“. მაშინ ოჰყალი-ჯადომ ერთი ეირის ტყავი მოიღო, საწერელი და კალამი, გურგან-ბელადს უთხრა: „შენ ყოველ ფალეენის და სარდლების სახელები მითხარ და მე დაეწერავო“. გურგანმა სულ თეითო-თეითოდ ფალეენების და სარდლების სახელები უთხრა და ოჰყალი-ჯადომ დასწერა იმ ეირის ტყავზე, შემდეგ ერთი დიდი სინით ცეცხლი მოატეინა, წინ დაიდგა; თავის სარდალ ანყი-ჯადოს მოედანზე გასელა უბრძანა, ანყი-ჯადო მოედანზე გაეიდა და უშანგის ჯარიდამ ფალეეანი გამოითხოვა, უშანგის ჯარიდამ ზოაქ-ნოეჯუანი გამოეიდა და შესძახა: გამოესულეარ და შენ ჰუნარს ენახეო. ოჰყალი-ჯადომ ჰკითხა გურგანს, ეგ რომელი ფალეეანიაო? გურგანმა მოახსენა: ეგ ძალიან გულოეანი ფალეეანია, სახელად ზოაქ-ნოეჯუანი ჰქვიანო, ეგ ერთი ქალის გულისთვის თურქისტნის ქალაქს გადაემტერა, მიეიდა ერთ მთაში დადგა, თურქისტნის მეფემ ჯარი შეიყარა, ჩვიდმეტჯერ მიუხტა, მაგრამ ვერ დაამარცხა, ჯარი მრავალი ამოუწყეიტა. შემდეგ თურქნი წარეიდნენ უშანგს შესჩიელეს და უშანგი ჯარით მიადგა და ყათრანმა დაიმორჩილა და უშანგს დაუმონაეაო. რა ოჰყალი-ჯადომ ესე მოისმინა, თავის წერილს ხელი მიჰყო, ამისი სახელი იპოეა, მოსჭრა და ცეცხლში ჩაგდო. რა იგი ცეცხლში ჩაგდო, ზოაქს თვალები დაუბნელდა და თავის წინ მდგომი ჯადო ვეღარ ნახა. ანყი-ჯადომ მსწრაფულ საგდებელი გადააცეა, შეჰკრა, მიატანა და ოჰყალი-ჯადოს წინ დააგდო.

რა უშანგის ჯარმა ესე იხილეს დიდად გაჰკვირდნენ, შემდეგ ასფარელმა ორმოცდა-ათის მწყრთის მქონებელმა, შაეის ფოლადით შეიჭურეა და მსწრაფად მიმართა ანყი-ჯადოს. ოჰყალი ჯადოს ეს ფალეეანიც დიდად მოეწონა და გურგანს ჰკითხა: „უშანგს ამისთანა ლომგულნი ფალეეანნი საიდამ უშოვნიაო და ამის სახელი რა არისო?“ გურგანმა მოახსენა: „მაგის სახელი ბარამ-ასფარელია; ეგ ასეთი ფალეეანია რომ ერთხელ უშანგი ასი-ათასის კაცით ხუთჯერ და-

ამარცხა, შემდეგ ესეც ყათრანმა დაამარცხა და უშანგს დაუმონა-ვაო". ოჰყალი-ჯადომ ამის სახელიც იპოვა, მოსჭრა შეულოცა და ცეცხლში ჩააგდო, მსწრაფულ ასფარელსაც თვალები დაუბნელდა და იარაღი ხელთაგან დასცვივდა, იგიც შეიპყრა, ანყი-ჯადომ მაგრად შეჭერა და ოჰყალი-ჯადოსთან მიიყვანა და დროშასთან დააგდო. ანყი-ჯადომ კვალად გამოითხოვა ფალევანი. უშანგის ლაშქრიდამ ყაზამფარ-ზადი გამოვიდა, მარტორქას ქუსლი ჰკრა და უნდოდა მსწრაფად მისულ იყო და გურზი დაეცა, რა იგი მოედანს იხილეს ისეთი ამაყი და მუქარით მომავალი, ვიდრე ჯადოსთან მოვიდოდა, იმისი სახელიც იკითხა ოჰყალი-ჯადომ—გურგანმა მოახსენა: „ამას ყაზამ-ფარ-ზადი ჰქვიან, ეს მთაში ერთ დედა-ლომს გაუზრდია თავის ძუ-ძუთი, გაველურებული მთაში დავიდოდა; ამას ერთხელ ხათის ხელმ-წიფე შემოჰყროდა, რადგანაც ამას არაოდეს კაცის სახე არ ენახა, რა ის ხათის ხელმწიფე დაენახა, ერთი დიდი ხე მოეგლიჯა ძირი-თურთ და ისე შემოეტია იმის ჯარისთვის, ჯარი ბევრ ცდილ იყო ამის დაჭერას მაგრამ ვერ დაეჭირა, შემდეგ ჯარისთვის შემოეტია და ბევ-რი ამოეწყვიტა, ხელმწიფეს რომ ვერაფერი გაეწყო, ერთ ქალაქ შეჰფარებოდა, ეს იქაც მიხტომოდა და მრავალი კაცი დაეხოცა, იმ ხით და ქალაქიდამაც ერთი მშვენიერი ქალი მოეტაცნა და ერთ ცი-ხეს მისდგომოდა, ენახა რომ ციხეს კარი დაკეტილია, დაკეტილი კა-რი ერთი გამოწვევით ჩამოეგლიჯა და შიგ შესულ იყო, იქ მყოფნი სულ ამოეწყვიტა იმ ხით და თვითონ და ქალი იქ დაბანაკებულ-იყვნენ. ხათის ხელმწიფე მრავალჯერ მიუხტა, მაგრამ ვერა დააკლო რა. შემდეგ უშანგმა ხათის ქვეყანა რომ აიღო, ესეც მაშინ დაიმორ-ჩილა ყათრანმა და უშანგს დაუმონავა". ოჰყალი-ჯადომ იმისი სახე-ლიც იპოვა, მოსჭრა, შეულოცა და ცეცხლში ჩააგდო, მსწრაფულ ყაზამფარი უჩინო შეიქმნა, ველარ ნახეს თუ ყაზამფარი რა იქმნა. რა ესეთი საქმე იხილეს ორივე მხრის ლაშქარნი, დიდად შესწუხდნენ. ყაზამფარი შეიცვალა და ერთ თვითრ ძალლად გარდაიქცა და რომელ მარტორქაზედაც იჯდა, ისიც ერთ ვეფხათ იქცა. რა იმ ძალლმა ნახა იმისთანა საზარელი ვეფხი, ბევრს ეცადა რომ ჩვეულებისამებრ კა-ცობრიეს ენით ელაპარაკნა, მაგრამ ველარ ილაპარაკა, როდესაც ლაპარაკს დააპირებდა ძალლის ყეფა და წკმუტუნი გამოსდიოდა პი-რიდამ, მხოლოდ კაცის გონება კი ჰქონდა. თავის მარტორქა რომელ-იც ვეფხად გარდაიქცა, ცდილობდა რომ ყაზამფარი მოეკლა, ყა-ზამფარმა რომ ვერალონისძიებით ვერ გადაანარჩუნა თავი, ხან წკმუ-

ტუნი დაიწყო, ხან ღმუილი, კუდ-ამოძუებული აქეთ-იქით მირბოდა, შემდეგ თავიანთ ჯარისაკენ გაიქცა, იგი ვეფხიც იმას გამოუდგა, მაშინ ეს თეთრი ძაღლი ფალვენებში შეეარდა, ვეფხიც თან შეჰყვა, ფალვენებმა ისარს ხელი გაიკრეს და მოინდომეს იმ ძაღლის მოკვლა, მაგრამ უშანგმა უბრძანა ფალვენებს რომ იგი ძაღლი არ მოეკლათ და მხოლოდ იმ მხეციდამ გაერთავისუფლებინათ. ამისმა მსმენელმა ხოსროეშირმა მშვილდ-ისარს ხელი მოიღო და მხეცს ჰკრა და მოკლა. რა ვეფხი დაეცა, ნახეს რომ მარტორქა იყო, ის რომელზედაც ყაზამფარი ჯდებოდა.

რა იგი მხეცი იმ თეთრმა ძაღლმა მკედარი იხილა, თვალთაგან ცრემლი გადმოყარა და ღმუილ-წკმუტუნით სარანდიბის მთისაკენ გაიქცა. როდესაც ესე ნახეს იმ ძაღლისაგან, ყოველნი შესწუხდნენ და იგი ძაღლი შეეცოდათ. შარიბ-შაჰამ ხელმწიფე უშანგს მოახსენა, ამას რასაც ჰხედავდა სუყველა თილისმა-ჯადოთი ერის მაგათ მოქმედებაო, ჩვენ ამათგან დიდი სიფრთხილე გვმართებსო. რა ესე სიტყვა დაასრულა, შეხედეს ნახეს რომ ანყი-ჯადო მოედანზე ფალვანს ითხოვდა, უშანგის ჯარიდამ ზორაბ-სისტანელმა სპილო გაიგდო და მას ჯადოს მიუხტა, ოჰყალიმ იკითხა ამ ფალვენის სახელი, გურგანმა მოახსენა: „ამას ზორაბ-სისტანელი ეწოდება, დიად ძალოვანი ფალვანია, ქეომარ-ხელმწიფის ნათესავია“. ოჰყალი-ჯადომ იმის სახელიც იპოვა, მოსჭრა შეულოცა და ცეცხლში ჩააგდო, ზორაბს მაშინვე თვალთ დაუბნელდა და თავის სპილოსაც, ორნივე მიწას გადაიქცნენ, იგიც ჯადომ შეჰკრა და წაიყვანა. რალა გავაგრძელოთ, ამ ჯადოს მანქანებით, ას-სამოცი ფალვანი დაიჭირეს ერანელნი და თურანელნი. ამ მანქანების მნახველი ხოსროეშირი ძლიერ აჩქარდა და არ იცოდა თუ რა ექმნა, გულმა ცის ჭექვასავით ძგერა დაუწყო. რომელ ალაგსაც იდგა მასვე ალაგ ერთი ძლიერად შესძახა, ისე რომ ცის ჭექას ემსგავსებოდა, თავის რაშს ქუსლი ჰკრა და მოედანს გავიდა და ფალვანი გამოითხოვა.

აქ ხოსროეშირისა და გულჩინის შეებურობა და ჯადოთი დაბრმავება, ოჰყალი—ჯადოსაგან.

რა უშანგმა ესე იხილა, მისმა სულთქმის კვამლმა ჰაერი მოიცვა, რა წყეულმა ოჰყალი-ჯადომ იხილა, ერან-თურანელნი ამისთანა მდგომარეობაში ჩაცვივნულნი, ისე რომ სუყველას თვალთაგან

სისხლის ცრემლი ადინა და შეშინებულ იყვნენ. ოჰყალი-ჯადოს ძლიერ მოსწონდა თაეის იმ გვარი ჯადოობაზობა. რა ხოსროეშირი დაინახა სთქვა: „დიდად მიკვირს რომ უშანგს საიდან უშოვია ამისთანა ფალეუნები და მეტადრე ამისთანა ეეშაპი? თუ ქვეყანაზე ხელმწიფობა და სააპყირანობა ეს უნდა იყოსო!“ შემდეგ გურგანს ჰკითხა: ეს ვინ არის რომ ამისთანა ყოფა-ქცევით მოეაო? ზედ ეტყობა რომ ამას საშინელი ეეშაპიც ეერას დააკლებს. გურგანმა მოახსენა: „ჯადოთა ხელმწიფეე, ქვეყნის დამქცეეი და მოედანზედ ფალეეანთა ამომწყეეტი, ტახტის დამამტვრეველი, უშანგ-შაჰის ძმისწული შარიბ-შაჰს შვილი ხოსროეშირი სწორედ ეგ არისო“. რა ესე სთქვა გურგანი მსწრაფად დაჩუმდა და თავი ქვე ჩამოჰკიდა. ოჰყალი-ჯადომ მისი სახელი იპოეა, მოსჭრა, შეულოცა და ცეცხლში ჩაგდო. რა ცეცხლში ჩაგდო, ხოსროეშირს თვალთ დაუბნელდა და თავთაგან ცნობა დაეფანტა და არ იცოდა თუ რას იქმოდა, თეისმა რაშმა დაიწყო სიარული და ოჰყალი-ჯადოს წინაშე მიიყვანა, ხოსროეშირი ცხენიდამ გადმოეარდა და ოჰყალიმ მისი შეკვრა ბრძანა, მსწრაფლ ისიც მაგრა შეკრეს.

რა გულჩინმა ხოსროეშირი დაჭერილი იხილა, კინალამ ჭკუიდამ შეიშალა და არ იცოდა თუ რა ექმნა. მსწრაფლ ხელი გაიკრა ხმალს და ოჰყალი ჯადოს მიუხტა და ესე იტყოდა: „რადგანაც ხოსროეშირი შეიპყრო მაშ მე ჩემი სიცოცხლე რაღათ მინდაო?“ რა ოჰყალი ჯადომ დაინახა თავისზე მიმავალი გულჩინი სასიკვდილოდ, ოჰყალი-ჯადოს ადრეეე სმენოდა ხოსროეშირისა და გულჩინის ტროფიალი, ადრეეე კანეზრახა იმათი შეპყრობა: შეჰბერა გულჩინს და შეულოცა, შებერვაზე გულჩინი გველივით დაიკლაკნა, დაეცა და ხმალი ხელიდამ გაგდო. თვალნი დაუბნელდა. შემდეგ სურხარაე აიარმა მოინდომა ოჰყალის სიკვდილი, როდესაც გულჩინი იხილა იმ მდგომარეობაში, წინ გარდახტა და ხმალს ხელი გაიკრა. რა ოჰყალი-ჯადომ ესე იხილა, სურხარაესაც შეულოცა, შეჰბერა და თვალნი დაუბნელა. ოჰყალი-ჯადომ მაშინვე მათი შეკვრა ბრძანა და ორნივე მაგრა შეკრეს. ამასობაში ბინდმაც მოატანა და დალამდა, ორთავე ლაშქართა გასაყარს ნაღარას ჰკრეს და ყოველნი თავ-თავისად წავიდნენ.

უშანგ-შაჰ თავ-პირის ცემით და მკერდ-გადახეული დაბრუნდა თავის კარავში და მეჯლისი შეიქმნა. უშანგმა მიიხედა, ნახა რომ ცალი მხარე საფალეენო სკამები ცარიელნი არიან, თავ-პირში წაი-

შანა და ბლოვა დაიწყო. რა იქ მსხდომთა ხელმწიფისა იმ გვარი ბლოვა იხილეს. იმათაც ყოველთა ტირილი დაიწყეს და დიდად სწუხდნენ. უნამეტნაესად შარიბ-შაჰ, სისხლის ცრემლს აფრქვევდა თავის ერთ შვილისთვის.

რა დროიდამაც უშანგ-შაჰასთვის თავის მამას მუჰლეილან-შაჰას ხმალი შემოერტყა, თორმეტი წლისა ყოფილიყო და ცხენს აბხედრებულიყო; თამალაჯის ხელმწიფეს შებმოდა და ხეებსაც მრავალს, მაგრამ ამისთანა განსაცდელს არაოდეს არ შესწრებოდა როგორც ამ ჟამად შეემთხვა. ესენი ამ მწუხარებაში დაუტოვოთ და მცირე რამ ოჰყალი-ჯადოს და ქეთან-შაჰას ამბავი მოიხსენიეთ.

აქ ქეთან-შაჰისაგან გურგანის გაგზავნა უშანგთან და ოჰყალი-ჯადოს თან გაყოლა საღალატოთ.

ქეთან-შაჰა და ოჰყალი-ჯადო ნადიმათ დასხდნენ და ვინცა ვინ დაჭერილნი სარდლები ჰყვანდათ იგინი ყოველნი მოაცხეს და ანყიჯადოს ჩააბარეს,—თვითონ კი ლხინსა და შექცევაში იყვნენ, ოჰყალი-ჯადომ ქეთან-შაჰას მოახსენა: „ხელმწიფეე სინდთა! მე აღთქმა მქონდა რომ, რასაც დღეს მოესულვიყავ იმავ დღესვე უნდა გადამეწყვიტა საქმე და ვინცა ვინ თქვენი მტერნი იყვნენ, ხელ-შეკრულნი თქვენ წინაშე უნდა წარმომედგინა, მაგრამ დღეს ომი არ გადასწყდა, სჯობს რომ გურგან ბელად-ქამანი უშანგ-შაჰასთან გავგზავნოთ მოციქულათ და შეუთვალოთ ესე ყველა, ვითომც თუ რაც იმას ინდოეთში ქვეყნები უჭირავს, ისინი ყველა დაგვანებოს და თვითონ ერანში წავიდეს—და რომელნიც იმის დაჭერილი ფალავნები გყვანან, იმის უკან გაუგზავნი და ამას შემდეგ ერან-თურანი და ინდოეთი შეეაერთოთ თქო“. გურგანი უშანგთან ელჩად გაგზავნეს, ესენი ყოველივე შეუთვალეს რაც ოჰყალი-ჯადომ რჩევა მისცა ქეთან-შაჰას და ოჰყალი-ჯადოც რამდენიმე შეგირდით თან წაჰყვა და სთქვა ოჰყალიმ ამალაშვე იმათ საქმეს დავაბოლოვებო. მაშინ გურგანი გაემგზავრა უშანგისაკენ, ოჰყალი-ჯადოც თავისის ორმოცი შეგირდით თან გაჰყვა და ესე დაარიგა თვისნი შეგირდნი, „როცა იქ წავიდეთ, თქვენც იმ კაცებში აერიენით და თვითო-თვითოდ ყოველ სარდალს და ფალავანს შეულოცეთო, მე რომ ერთი ნარა გავსწიო, თქვენ მსწრაფლ ხმლებს ხელი მოიკარით და უშანგის დანარჩენ ფალავნებს შეუტიეთო“. რა ესენი ესე დაარიგა, სამასი ფალავანიც სხვა წაიყვანა სინდიოონი.

რა უშანგის ყარაულებთან მიეიდნენ, კიდეეაც გათენდა. იმ ღამეს ყარაულთ უხუცესი ყაჭაი-ფილურსარი იყო, ნახა რომ სამასი კაცი ინდოეთის მხრიდამ მოდიოდნენ, ყაჭაიმ მაშინვე სპილო მიქუსლა და შესძახა პეი, ეინ ხართ? რა ოჭყალიმ ყაჭაი-ფილურსარი ნახა, დიდად მოეწონა, მისი სახელი ჰკითხა და გურგანმა უთხრა. შემდეგ გურგანი მიესალმა, ყაჭაის, ყაჭაი-ფილურსარმა გურგანს ჰკითხა: რისთვის მოხვალთო? გურგანმა უთხრა: ქეთან-შაჰამ გამომგზავნა უშანგთანაო. რაც მოხდა—მოხდაო, შეერიგდეთო. ფილურსარმა ასიმი გაგზავნა უშანგ-შაჰასთან და მოახსენა: ქეთან-შაჰას ელჩი გამოუგზავნია შესარიგებლათაო და რასა ბრძანებთო? რა ასიმი მიეიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: ხელმწიფემ მოსვლის ნება მისცა, ასიმ ალარი გურგანთან მოეიდა, გურგანი და მასთან მყოფნი ყოველნი წაასხა. რა ესენი მიეიდნენ ხელმწიფის კარზე, ჩაუშები მოეიდნენ და გურგანი ხელმწიფესთან შეიყვანეს. რა გურგანი შეეიდა ხელმწიფეს სალამი მოახსენა და წიგნი მიართვა. გურგანს ალაგი უთაეაზეს სკამზე, ოჭყალი-ჯადო და მისნი შეგირდნი ყოველნიეე მათთან მოსულნი ზე იდგნენ გურგანს უკან. იქ მისულთა რა უშანგის დიდება ნახეს, დიდად მოეწონათ და გაკვირდნენ თუ ამდენი ხელმწიფენი, სულთანნი და დიდებულნი საიდამ შეეყარა; იმდენნი იყვნენ რომ ანგარიშსს ვერ შეაგდებდნენ.

აქ ოჭყალი-ჯადოსაგან და მისთა შეგირდთაგან, უშანგის სარდალთა, ფალეევანთა და ჯართა, დაბრძავებით შეეურობა.

ეს დროს ოჭყალი-ჯადო უშანგს პირს უყურებდა და ულოცავდა, და სხვანი ჯადონი სხვათა ფალეევანთა ულოცავდნენ და სამასი სინდელნი ფალეევანნიც ოჭყალი-ჯადოს პირში უყურებდნენ და მზად იდგნენ. იქით მხარეს ქეთან-შაჰამ ყარამიჯინს უბრძანა: თქვენც თქვენის ჯარით მოემზადენითო, როდესაც ოჭყალი-ჯადოს ხმას გაეიგებთ, მაშინ ჩვენც მიეეშველოთ. ეგინიც დაემზადნენ. როდესაც შარიბ-შაჰამ ქეთან-შაჰას წიგნი წაიკითხა, ერან-თურანის ფალეევანნი იმ წიგნს ყურს უგდებდნენ და ისმენდნენ თუ რა მოეწერა, იმას კი არ ფიქრობდნენ თუ ჯადოები მიპყოლოდნენ, მაგრამ რალა გაეწყობოდა? უშანგს თორმეტი წლიდამ დაეწყო ხელმწიფობა და იმ ჟამიდამ ვიდრე აქამომდე ყოველ წელს ომებს იხდიდა და ყოველთვის იმარჯვებდა, მაგრამ ამ სინდეთის ომში კი ასე დაემართა. როდესაც

შარიბ-შაჰ ამ წერილს კითხულობდა, ოჰყალი-ჯადოს თვალი შეასწრო, ნახა რომ გურგანის უკან ერთი საზარო საზიზღარი სახის მქონებელი ოცდაცამეტი მწყრთის სიმაღლის მქონებელი ეიღაც დგას, თმა, წვერი და ულვაშნი ერთმანერთში გართხია, თვალის ქუთუთო არა ჰქონდა, არც წარბები და არც წამწამი, თვალები ცეცხლებრ უელვადა, ძლიერ უმსგავსი შეხედულობა ჰქონდა ისე რომ მნახველთათვის საზარად ყმა იყო. ჯადოს თვალი უშანგზე ეჭირა და პირს აცმაცუნებდა, უშანგს ულოცავდა თილისმას, შარიბ-შაჰამ მაშინვე იცნო რომ იგი ჯადო იყო, ის რომ იხილა, თავთავგან ცნობა დაეკარგა, მეორე მხარესაც თვალი მოაელო ნახა რომ ორმოცნი სხვანი ჯადონი იყვნენ სინდელ ფალეენებში არეულნი და ყოველ უშანგის ფალეენებს ულოცავდნენ. შარიბ-შაჰა დარწმუნდა რომ იგი მახინჯი სახის მქონებელი ოჰყალი-ჯადო იყო, და ის ორმოციც რომელნიც სინდებში იყვნენ არეულნი, ოჰყალის შეგირდნი. ამათ გარდა სამასნი სინდელნი ფალეეანნი მოსულ იყვნენ, ისეთნი რომ თითო ყარამანს ემსგავსებოდნენ. შარიბ-შაჰამ იგრძნო რომ ისინი თავიანთ მაცდურობით რამეს აუტეხდნენ. უშანგ-შაჰას შეხედა ნახა რომ დიაღ მოშლილია და საქმის ძალა ვერა შეუტყვია რა, დიდად გაჭკვირდა და თავის გულებაში სთქვა: ეს უშანგი რაღამ გააშტერა ესე? რომელიც ამისთანა მეცნიერი და საქმის მგრძნობი არაეინ იყო და ეხლა კი ვერას ამცნეესო; შემდეგ თვალი მოაელო, ნახა რომ თავიანთ აიარნი იქ იმყოფებიან; შირფანჯა, ასიმი, გაეარსა, ფალანგსა, არეანსა და ფარდას—კიდევ მრავალნი სხვანი, რიცხვით სამოცდა-თხუთმეტნი იქნებოდნენ, შირფანჯა თავისთან მოიხმო და უთხრა რომ ყველას ი ს მ ი ა ზ ა მ ი ეთქვათ, წიგნის კითხვის შემდეგ, უშანგს მიმართა და მოახსენა: ხელმწიფეე, გონება შემოიკრიბე, გაბრთხილდი, სინდელნი აქ რომ მოსულან, არა თუ შესარიგებლად, არამედ საღალატოდ; უნდა იცოდე რომ ოჰყალი-ჯადოც აქ არის თავის ჯადოს შეგირდებით, წინ რომ გიდგა ეგ ოჰყალი-ჯადოა, ეეჭვ რომ ეშმაკურის ჯადოს შელოცვით შეუკერიხარ და იმისთვის გაშტერებულხარ. რა შარიბ-შაჰამ ესე მოახსენა, უშანგმა შემოსძახა, ფალეეანნო, მაგას ნუ გაუშვებთო! ეიდრე უშანგი ფალეეანთა ამ სიტყვას დასძახებდა, მან წყეულმა ჯადომ თვისი ეშმაკური ლოცვა დაასრულა, ხელმწიფემ ხმალს ხელი მოიელო ზე წარმოხტა, მაგრამ ჯადოსაგან შეკრული იყო, ტახტიდამ გადმოეარდა, ხმალიც ხელიდამ გაეარდა. რა ხელმწიფე ტახტიდამ გადმოეარდნილი იხილეს, ფალეეან-

თა ლომებსაკით ბრძოლინეა დაიწყეს, ხმალს ხელი მოიკლეს ენდოდათ რომ სინდელნი ფალეევანნი სრულიად ამოწყვიტათ, მაგრამ იგინიც ყოველნი გრძნებით იყვნენ შეკრულნი, რა ზე წამოიწიენენ იგინიც იქვე დაეცნენ და ალარა შეეძლოთ რა, რომ ან ხელმწიფისათვის ეშველნათ და ან თავიანთ თავისთვის.

ოჰყალი ჯადომ რომ ფალეევანნი დაცემულნი და ლონე გამოლეულნი ნახა, მაშინ თავისის თილისმის ძალით პირს ხელი დაიდვა და ასეთი შეჰყვირა რომ მისის ხმისაგან მრავალნი დაიხოცნენ და ჭკვაზე შეიშალნენ. სპილოებმა და მარტორქებმა დაწყვიტეს ჯინჯილები და ჯარისაკენ გასცვიოდნენ, ისე აირიენენ რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა იმ ლამეს. რა სინდელთა ფალეევანთა ოჰყალის ხმა ესმათ, ხმლებს ხელი დაიდვეს და ერანელთა ფალეევანთა დაუშინეს. ერანელთა ძალა არ ედვათ რომ მტერთათვის პასუხი გაეცათ, იმიტომ რომ ჯადოთი იყვნენ შეკრულნი, ყველა პირქვე და გულალმა ეყარნენ, ბევრი ფალეევანი დახოცეს ამ ყოფაში, მაგრამ რაშელთაც შარიბ-შაჰამ ასწაელა „ისმიაზამის“ თქმა, იმათ ჯადო ვერ მოეკიდათ. მაშინ მათ ხმლებს ხელი გაიკრეს და ისეთი ომი ასტეხეს, რომ უარესი ალარ ენდოდათ, რაც ძალა და ლონე ჰქონდათ იმოქმედეს ერანელთ ფალეევნებმა, მაგრამ ვერა გააწყვესრა. სამოცდათი ფალეევანი გრძნებით შეკრულნი უშანგის წინ მოკლეს, უშანგთან რამდენიმე ხელმწიფეც დაიჭირეს და შეკრეს. როდესაც უშანგის კარავში ამისთანა განხეთქილება მოხდა, მისი ლაშქარი ძალა-უნებლიეთ იბრძოდნენ, სინდელნიც ადრევე იყვნენ მომზადებულნი როდესაც ოჰყალის ხმა მიესმათ იგინიც წამოვიდნენ მოსაშველებლად და დაერევნენ უშანგის ლაშქარს და დიდი სისხლის ღერა შეიქმნა, მრავალი ფალეევანი ამოწყვიტეს სხვა და სხვა გვარისა. მეორე მხრიდამაც ყარამიჯინი მოვიდა თავის მარდუხორმებით, აგრეთვე სარჯანი თავის დასტებით მოვიდა, ანუ-ჯადო თავის ჯადოს ლაშქრით, ყოველი ჯადო სხვა და სხვა ნაირ მხეცებზე ისხდნენ. ჯადონი ლაშქარს ულოცავდნენ, ისე რომ საშინელი ქარი აეყენა და სხვა და სხვა მამაკვდინაეი და შხამიანი გველნი და ჭია-ლუა აწვიმეს. ერანთურანელნი შიშის კანკალმა აიტანა ყველა და ძლიერ შეშინდნენ, თავიანთ სადგომებიდამ შიშით ველარ გამოდიოდნენ და ვერც ხელი გამოიღეს და ვერც ერთმანერთს მიუდგნენ, ისე ჰგონებდნენ რომ მეორედ მოსვლაა. უშანგის ჰარემხანა და ჯაბახანა შარიბ-შაჰამ გატანა და გააშორა. როდესაც ჯარისაკენ მიიხედა, შარიბ-შაჰამ ნახ-

რომ თაეის ჯარის თავზე საშინელი ბურუსი ტრიალებდა და საშინელნი მხეცნი და ეშაპნი სცეიუოდნენ მას ნისლიდამ, ერთი მხრიდამაც სინდელნი და მარდუხორმები შისეეიან, ისე რომ ერანელთა მწუხარების და გოდების ხმას ქვეყანა მოეცეა. რა შარიბ-შაჰამ თაეის ჯარისა ესეთი მწუხარება იხილა, დიდად შესწუხდა და თეითონაც მრაეალი იტირა და იძახდა: ეაჰ, ჩემო ერან-თურანელნო სარდალნო და ფალეეანნო! რამდენ რიგათ ყოველ ადგილას გამარჯეებულხართ და ეხლა რა განსაცდელში ჩასცეიდით და ცუდ ალაგს იქლიტებით უპატრონოთ და ულეთოთ. შარიბ-შაჰ ამისთანა სიტყეებს მოთქმით ტირიდა, შემდეგ შირფანჯა აიარმა მოახსენა: ხელმწიფეო, თუ მიბრძანებთ ახლაეე წაეალ ჩეენ ჯარში და რომელ ფალეეანსაც ეიპოვი თქეენ წინაშე მოეიყეანო. მაშინვე თაეის იარაღზე თუ ნაჯახზე ყოველზე „ისმიაზამი“ დაწერა და თეითონაც გაუწყეეტლიე ისმიაზამს ამბობდა—და ისე იმ ლოცეის ძალით უშიშრად წაეიდა. რა ჯარის სიახლოეეს მიეიდა, ნახა რომ ასეთი თოელი მოდის რომ მის ჯარის გარეშემო სპილოებს და მარტორქებს მუცლამდის შემოსწდომიათ ფალეენებსაც ხელები სიცეისაგან რკინასაეით გაშაეებოდათ და ქეიეან შაჰასთან შეყრილ იყენენ, დაოსებულნი და სიცოცხლის იმედი გადასწყეეტიათ. როდესაც შირფანჯა აიარი დაინახეს, ერთობით დაუძახეს ჰეი, გარდანქეშანის ნაიბო ჩეენო მახნელო! გეიშეელე რამე თორემ სიცეიუმ ამოგეწყეიტაო,

შირფანჯა მაშინვე შეეჭრა ისმიაზამის თქმით და ქეიეან-შაჰას ისმიაზამი შეულოცა და თეითონაც ასწ ელა და ათქმეეინა, რა რომ ქეიეან-შაჰამ ისმიაზამის თქმა გააგრძელა მაშინვე ყოველზე თოელი აელო და ბრწყინეალე მზე გამოეიდა, რა ცოტა მოლონიერდნენ, მაშინვე საომარს იარაღს გაეწყეენენ, შირფანჯა თაეის ნაჯახით წინ გამძღვარეს და შარიბ-შაჰასთან მეიდნენ. რა შარიბ-შაჰამ და ქეიეან-შაჰამ ერთმანერთი იხილეს უშანგიც მაშინ მოაგონდათ და ტირილი დაიწყეს, შემდეგ შარიბ-შაჰამ დაუთ შაჰაც მოანახეინა, იპოენა და ეგიც თაეისთან მოაყეანინა, აგრეთეე ზორაბ-შაჰაც და ძისირის სულთანიც, მალსულ-შაჰაც და სხეანი მრაეალნიც, ესენი სულ შარიბ-შაჰასთან მოასხა. რაღა გაეაგრძელოდ, შირფანჯამ თაეის მამაცობით და ისმიაზამის ლოცეით, ოცდა-რეა ხელმწიფე დაიხსნა რომელნიც თეითო-თეითო იყლიმის მპყრობელნი იყენენ, აგრეთეე ათას-ორასი სარდალიც დაიხსნა იმ გაჭირეებისაგან და ყეელანი შარიბ-შაჰასთან მოასხა თილისმიდამ გამოსულნი. უკან მიიხედეს ნახეს რომ, ის სი-

ციე და სიბნელე მზისაგან ერთ ალაგის მეტი არსად იყო. როდესაც გონზე მოვიდნენ სარდალნი და ხელმწიფენი, მაშინ მოაგონდათ უშანგიც და იკითხეიდნენ თუ სად არისო? რა ნახეს რომ არსად იყო თაეიანთ გულ-კეთილი ხელმწიფე, მაშინ მოაგონდათ უშანგის კეთილი მოუბრობა და დაიწყეს ყველამ ერთობით ტირილი და გლოვა, ისეთი ვაება ასტეხეს რომ მეორედ მოსელას ემზგავსებოდა. რა მცირე ხანი იგლოვეს, შემდეგ შარიბ-შაჰამ უბრძანა ათას-შვიდას ფალეევანს და სარდლებს, ვინცა ვინ იყვნენ და ვისაც კი იარაღი ჰქონდათ ანუ ტანთ-საცმელი, ყველაზე „ისმიაზამი" დაეწერათ, სხვა ფალეევანთაც უბრძანა, რომელნიც ისევ თილისმაში, ნისლში და ჯანუში იმყოფებოდნენ რომ იმათაც ყველას ისმიაზამის ლოცვა ეთქვათ. როდესაც ყველამ ისმიაზამის ლოცვა სთქვეს, სიბნელე სრულიად გადაიყარა, და როდესაც იმ ბნელ ჯანუში მყოფთა ფალეევანთა ესე მისულნი ფალეევანნი იხილეს, ძლიერ გაიხარეს და ღმერთს მადლობა შესწირეს, აიარები დაიფანტნენ აქა-იქ და სიჩქარით მოჰყვანდათ თაეიანთ ფალეევნები შარიბ-შაჰასთან. ამაობით ცამეტი ასი-ათასი კაცი შეიყარნენ ერთად, რაზმები გააწყეს და სხვა მხრებისაკენ წარეიდნენ. იმ დღეს ერანელნი რვა-ასი ათასი კაცი დაიხოცა და დაიჭრა ოჰყალი-ჯადოს წყალობით.

ჯადოსაგან შეშინებულმა შარიბ-შაჰამ უშანგ-ბათს მიაშურა და იმ ქალაქში გამაგრდა თაეის ლაშქრით. როდესაც ციხეში შეეიდნენ, შემდეგ ციხის კედლებზედაც კი დააწერეს „ისმიაზამი". სამასი ათასი მამაცი და რჩეული ფალეევანი ბურჯთა და ქალაქის ციხის მცველად განაწესა და ფალეევნებს მიუჩინეს „ისმიაზამის" მთქმელნი რომელნიც განუწყეტლივ ისმიაზამის ლოცვას ულოცავდნენ ფალეევნებს და სარდლებს. აიარნიც დაფანტეს ყოველ მხარეზე, ჯადოში ჩავარდნილ ლაშქრის მოსაგროვებლად. აიარებმა ჰპოვეს ჯადოსაგან დაბმულნი ფალეევანნი ვიდრე ოთხი ათასი და ყველა უშანგ-ბათს შეიკრიბნენ, ამას გარდა აიარებმა კიდევ იპოვეს ოცდა-რვა ხელმწიფე, იგინიც შარიბ-შაჰასთან შეიყარნენ. რაც რომ ჯაბახანა ჰქონდათ ან სალაროები, ყოველივე ციხეში შეიტანეს და იქ გამაგრდნენ. რაც რომ ციხეს სიმაგრე სჭირდა, ყველა გააწყეს და გაამაგრეს, შემდეგ ნახევრიც სარანდიბის მთის კალთებში გაგზავნეს და ოცდა-რვა ხელმწიფე შარიბ-შაჰას იახლნენ. რა ამათ თაეიანთ ურდოს მოატანეს, ნახეს რომ რამდენიმე სახელოვანნი ფალეევანნი უშანგის ტახტს წინ დახოცილნი ეყარნენ. როდესაც დახოცილნი ფალეევანნი იხილეს, დიდს

ბრუნარებას მიეცნენ, იქით მხარეს ნახეს რომ უშანგ-ხელმწიფე რაძნებით შეეკრათ და სამოცდა-ათნიც სხვა ხელმწიფე და ხელმწიფის შვილები. ას-ოციც სხვა სარდალნი. შემდეგ ნახეს რომ ქეთან-შაჰა თაეის ჯარით მოეიდა და უშანგის ბანაკს ჩამოხტა. ქეთან-შაჰა დიდის ამპარტაენობით და თაე-მოწონეობით ეიდა და უშანგის ტახტს დაჯდა. შემდეგ მოეიდნენ თაეიანთ ჯარით სარჯანი-ჰინდი, გურგან-ბელად-ქამანი და გამარჯეება მიულოცეს ქეთან-შაჰას და ისინიც იქ დასხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ოჰყალი-ჯადოც მოეიდა თაეის ჯადოს მანქანებით, ყარამიჯინიც თაეის მარდეხორმებით, რალა გაეგრძელო ეინცა ეინ იყვნენ ქეთან-შაჰას შემწენი ყოველნი იქ შეიყარნენ უშანგის ტახტზე და მეჯლისი გამართეს. როდესაც ოჰყალი-ჯადო მოეიდა, ქეთან-შაჰა ფეხზე წამოუდგა და ადგილი უთაეაზა თაეისთან, ოჰყალიც შარიბ-შაჰას ტახტს დაბრძანდა. რა მეჯლისი გაიმართა, ოჰყალიმ უბრძანა რომ რაც ერან-თურანელნი დახოცილიყვნენ, ყოველნი გადაეყარათ და რომელნიც დაჭრილნი იყვნენ ისინი მაგრად შეეკრათ და საპყრობილეში ჩაეყარათ. რა მისგან მოიცალეს, სინდელი ფალეენებიც გადეიდნენ და ერანელთ ფალეენების ტახტებს დასხდნენ დიდის სიხარულით, ყარამიჯინიც ხოსროეშირის ტახტს დაჯდა.

შემდეგ ოჰყალი-ჯადომ ბრძანა: უშანგ-შაჰა დასასჯელ ალაგას მოეყეანათ და აგრეთეე სხვანი მისნი პყრობილნი ფალეენნიც. რა ესე უბრძანა ოჰყალი-ჯადომ, მაშინვე წაეიდნენ მოსაყეანად, როდესაც შეეიდნენ სინდელები პყრობილებთან, ნახეს რომ არც ერთს მათგანს ცხობა ალარა ჰქონდათ, თილისმის ჯადოს ისე დაეკარგა იმათი გონება და გრძნობა, მოიყეანეს ძალა უნებლიეთ, ზოგი თრეეით, ზოგი ცემა-ტყეპით. როდესაც ოჰყალისთან მოასხეს, ოჰყალიმ ერთი შეუბერა, შეულოცა და ყოველნი ცხობას მოეიდნენ.

უშანგი რომ ცნობას მოეგო, ნახა რომ თაეის თაეი ჯაჭვებით შეკრულია და თაეისთან სამოცდა-ათი ხელმწიფენიც, სამასნი ნაქები ფალეანნი, შვიდნი თაეის აიარნი და სამოცნი ნაზირ-ეეზირნიც. თაეის ტახტზე ქეთან-შაჰა დაბრძანებულა. რა ოჰყალი-ჯადოს შეხედა ძლიერ შეეზიზღა, ისეთი ცუდი საზარო სახის მქონებელი იყო რომ, მის მზახველს შიშით ნაღველა გაუსქდებოდა. პირიდამ ჯოჯოხეთის კვამლი ამოსდიოდა, იმის პირის კვამლს ის მეჯლისი დაებნელებინა, ისე რომ ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა. ყარამიჯინიც ხოსროეშირის ტახტზე დამჯდარიყო, ისე რომ ეხილა უშანგ-შაჰამ თეალი ტახტი,

ღმერთს მადლობა შესწირა, რა ფალეევანთა თეისი ხელმწიფე უშანგი ხელშეკრული იხილეს, მთერალ სპილოებიეთ ბრლეინეა დაიწყეს და უნდოდათ რომ ჯაჭვები დაეწყვიტათ და თაეიანთ ხელმწიფე გაესთა-ეისუფლებინათ პყრობილობისაგან, მაგრამ ვერც ხელმწიფე გაანთა-ეისუფლეს და ვერც თაეიანთ თაეი; ამათაც ღმერთს მადლობა შეს-წირეს და დადგნენ ჩუმათ და თაეები ძირს დაჰკიდეს.

ქეთან-შაჰამ შესძახა უშანგს: ჰეი, შენ დეშტიყიფჩალელო! შენ რამდენი ხელმწიფენი გააფუჭე და რამდენი ქვეყნები აოხრე! ვინ იცის ეისი ქვეყანა და სახელმწიფო ეის უთაეაზე და ეის ჩაუგდე ხელ-ში, ყოველი შენ დაიშონაე, ეისაც კი წაეკიდე ყველა გადაყლაპე, განა შენ რა ხარ? ახლა კი მოვიდა შენი აღსასრულის დღე, ახა ეხ-ლა ნახე როგორ გადაგყლაპო მე! შენ ეხლა შენ თაეს როგორ სცნობ?..

უშანგმა რომ ესეთი სიტყვები მოისმინა ქეთან-შაჰისაგან, გულ-მა ძგერა დაუწყო ისე რომ ცის გრგვნას ჰგავდა, თვალები ცრემლე-ბით აეესო და უთხრა: „შე უმსგაესო! შენც განა ქვეყანაზე მამაკა-ბის ღაეასა სწეე და ფალეენობის სახელს ირქმეე? ერთი შენსაეით გრძნეული მოგიყვანია და იმის ჯადოების შემწეობით, ეეშაპის მზ-გაესი ფალეეანნი შეაპყრობინე, განა ეგ სახელი და კაცობა?“ ესე უთხრა და ლომსაეით ბრლეინეა დაიწყო და კბილთა ღრჭენა შექ-მნა. რა სინდელ ფალეევანთა უშანგისაგან ესეთი სიტყვები ესმათ, ამ უკანასკნელ დროს, დიდად მოეწონათ და დიდი ქება შეასხეს მისსა გულოვნობასა. რა ქეთან-შაჰამ ესეთი სიტყვები მოისმინა უშანგისა-გან, დიდად განრისხდა და უშანგის სიკვდილით დასჯა ბრძანა. რა გურგანმა და სხვათა ფალეევანთა ისმინეს უშანგის სიკვდილით დას-ჯა, ძლიერ გაიხარეს და თაეიანთში სთქვეს, ვინ იცის რამდენმა ასმა წელიწადმა გაიაროს რომ ამისთანა ძალოვანი და გულოვანი ხელმ-წიფე ალარ დაჯდესო? სხვათაცა თქვეს ეს ცოდვა რომ ესე უბრა-ლოდ მოკვდეს, ესე თქვეს და ზე აღსდგნენ ხელმწიფეს, ოჰყალი-ჯადოს, სარჯანი-ჰინდს და ყარამიჯინს, პირ-მიწაგაეროებით თაეი დაუკრეს და მოახსენეს: ხელმწიფენო! უნდა მოგახსენოთ რომ უშ-ანგს მრავალი ხელმწიფე ამოუწყვეტია და მათის სისხლით ქვეყანა შეულებია. ეხლა რომ იცოდეთ ამის ჰარემი, ხაზინა, ჯაბეხანა და ყო-ველი დოვლათი ამის ძმამ შარიბ-შაჰამ გადაარჩინა და გააპარა, უშანგბათში შეიტანა თაეის ოსტატობით და მრავალი ფალეევანნიც მოარჩინა ჯადოსაგან და სულ ყველა უშანგბათს შეასხა. ძლიერ გაუ-

მაგრებია ციხე და თეითონ იქ დამჯდარა. იგი უსწორო ფალეევანი ყარამანი კი ყაფის მთაში იმყოფება. ამდენი საქმეები სულ იმის გამოთ მოხდა რადგანაც ამ უშანგს იმისი იმედი აქეს და რამდენიმე სხვა ფალეევნებისა, რომელნიც ყოველთვის ამას ერთგულნი არიან და იმითია ამაყათ, მოდი ეს ესე ადვილად არ მოეკლათ, მოეითმინოთ ვიდრე ყარამანი, ყათრანი, ბარამჯიბილი და გარდანქეშანი ამ ორსამ დღეს გაჩნდებოდნენ და ისინი ყოველნი ხელში ჩაეიგდოთ და დიდის ტანჯვით და წვალებით დაეხოცოთ, ისეთის ტანჯვით რომ რომელმაც ეს ჩვენი ნაქმნარი საქმე შეიტყოს ამ ინდოეთში მოსვლა ველარ გაბედოს შიშით. ესე უთხრა და დაჩუმდა. გურგანის რჩევა ყოველს მოეწონა, ქეთან-შაჰსაც, ოჰყალი-ჯადოსაც, ყარამიჯინსაც და სხვებსაც. მაშინ უშანგ-შაჰ, გურგან-ბელად-ქამანს ჩაბარეს და უშანგი თავის სადგომს წაიყვანა და იქ დაატუსაღა. ოთხასი ჯადო ქეშიკად დაუყენა. კვალად ოჰყალი-ჯადოს მოხსენდა რომ შარიბ-შაჰს თქვენი ჯადოთ დამონაებული უშანგის ფალეევანნი და სარდალნი ყოველნი გაუნთავისუფლებია რალაცნაირ ლოცვით და თქვენი ჯადოები განუქარვებიაო, ყოველი ფალეევნები და სარდლები შეუკრებია და ეხლა უშანგბათს ამაგრებსო. უშანგბათი ასეთი დიდი ციხეა რომ ხუთასი კარი აქეს და ძლიერ მაგარი ციხეც არისო, ისე რომ კარსა და კარს შუა ათ-ათი ბურჯი აქვსო, თვითო კარზე თვითო იყლიმის მპყრობელი დაუყენებიაო, ხუთას-ხუთასის ფალეევნებითაო და ხუთ-ხუთი ათასის კაცით.

როდესაც ოჰყალი-ჯადომ თავის ჯადოების განქარვება ნამდვილად შეიტყო დიდად განრისხდა და ჯავრისაგან კბილებს თახთახი დააწყებინა.

აქ ოჰყალი-ჯადოსაგან მრავლის ჯადოების შექმნა.

ოჰყალი ჯადომ მაშინვე უბიდამ ერთი კოლოფი ამოიღო, შეულოცა და მიწაზე დაადო, ეს კოლოფი შეიდ-თავიან ეშაპად გარდაიქცა და განრისხებული ბრდღვინავდა და პირს აღრენდა. სინდელნი ფალეევანნი ისე შეშინდნენ ეშაპისაგან რომ ცნობა მიეღოთ და არ იცოდნენ თუ რა ექმნათ, შემდეგ ოჰყალიმ უბრძანა რომ თვრამეტი ერან თურანელნი დატუსაღებულნი ფალეევანნი მოესხათ. მსწრაფლ პყრობილნი ფალეევანნი მოასხეს, დიდის ტანჯვა-წვალებით და ცემა-ტყეპით. მან წყეულმა ეშაპმა შეისუნთქა და იგინი ყოველნი

შაე ნაკრად გადაეჭრა. სინდელებმა რომ ესე იხილეს უმეტესად მიეცნენ მწუხარებას იმ ეშაპის შიშისაგან. თითონაც ერთ ბერ დეეთ გადაიქცა, ეს სამოც მწყრთად გიზარდა და იმ ეშაპზედ შეჯდა, ეი-ეისი სამასი ათასი ჯადოს ლაშქარიც თან წაიყვანა და ჰაერში აჭიდა, რა ჰაერიდამ დახედა, ნახა რომ უშანგის ლაშქარი ზოგი ციხეში შესულან და ზოგი სარანდიბის მთის ყალთებში დგანან, ციხის მცველად. რა ოჰყალი-ჯადომ უშანგბათის ციხისა ესეთი სიმაგრე იხილა, თავის გულში სთქვა, ალმოსაელეთიდამ დასაელეთამდის რაც დევნი არიან ან ინერითნი და აუჯნი, სულ აქ რომ შეიყარნენ, ამ ციხისა ერთი ქვის მოგლეჯასაც ვერ შეიძლებენ, არამც თუ ალებით ვინმემ აიღოსო.

რა ოჰყალი-ჯადომ თავისი ჯადოს ფანქარეება ნახა და ამ ციხის ამისთანა სიმაგრე, ძლიერ განრისხდა და იფიქრა, აქაც ვინმე ჯადო ყოფილაო. მაშინ პირზე ხელი მიიფარა და ჯადოს მანქანებით ერთი ასეთი შეჰყვირა რომ მისმა ხმამ ქვეყანა მოიცვა, სარანდიბის მთამ და იმ არე-მარემ მის ხმაზე გრგვნა დაიწყეს. შემდეგ ერთი მინა შეაგდო ჰაერში, იგი მინა გასქდა. რა მინა გასქდა, საშინელი ქარი ადგა და საზარელი შავი ლრუბელი აღიმართა და იმ ლრუბლებიდამ სულ ეშაპები აწვიმა და ქვეყანა სრულიად დაბნელა.

რა შარიბ-შაჰამ ესე იხილა, მაშინვე ბრძანება გასცა რომ ყველა ჯარს და ფალეენებს „ისმიაზამი“ ეთქვათ; ღვთის მოწყალებამ და ისმიაზამის ძალამ ასე დაიფარა ერან-თურანელნი რომ ჯადოების მანქანება სულ განაქარეა, რაც გველნი თუ ეშაპნი „ისმიაზამის“ სიახლოვეს მოვიდოდნენ მსწრაფლ განქარვდებოდნენ. რა უშანგის ჯარმა ესე იხილა რომ ჯადოსაგან ვერაფერი ვენოთრა, ღმერთს დიდი მადლობა შეესწირეს და კვალად განაგრძელეს თავიანთ „ისმიაზამის“ ლოცვის თქმა. რა ოჰყალი-ჯადომ ნახა რომ თვისმა ჯადოებმა იმათ ვერა ვენოთრა, კვალად უბიდამ ერთი წითელი მინა ამოიღო, შეულოცა, ჰაერში შეაგდო და იგი მინა ჰაერშივე გასკდა, რა რომ მინა გასკდა, იმ მინიდამ ასეთი ცეცხლები გამოხდა რომ ცა და ქვეყანა მთლად მოიცვა.

რა ციხეში მყოფთა ერან-თურანელებმა ესეთი საშინელი ცეცხლი იხილეს, დიდად შეწუხებულნი ღმერთს ევედრებოდნენ და თავიანთ სიცოცხლის იმედი გადაწყვიტეს. აგრეთვე იმ ციხეში მყოფნი დედანი ისე ტირიოდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ რომ იმათი ტირილისა და გოდების ხმა ზეცად ალიწეოდა. შარიბ-შაჰ და

ხეანი დიდებულნი და სარდალნი ყველანი სასახლის კარს შეიყარ-
ნენ. შაშინ შარიბ-შაჰ შეეიდა უშანგის ჰარემში, ნახა რომ მეორედ
მოსულის შზგაესის ხმით ტიროდნენ იქ მყოფნი დედანი. შარიბ-შაჰ
დაინახეს თუ არა ყოველნი ზე წარმოსცეიდნენ და კალთას მოე-
ჭიდნენ, ეუბნებოდნენ; ეს რა ღეთის რისხვა არისო ჩვენს თავზედაო?
შარიბ-შაჰამ იმათ დიდი იმედი მისცა და უთხრა: ნუ იშიშვითო, რა-
საც ხედავთ ესენი ყოველი ჯადოს მანქანებაა, ღეთის შეწევნით „ის-
მიაზამი“ თქვითო. შარიბ-შაჰამ ხათუმებს შეჰბერა და ყოველს შეუ-
ლოცა, რა შეულოცა და ისმიაზამი გაათავა, წახეს რომ ის დიდრო-
ნი მთის ოდენა ცეცხლი განქარედნენ. რა დედათა ესე იხილეს, ყო-
ველნი შარიბ-შაჰას ფეხს მოეხვიენენ. იქიდამ გამოვიდა შარიბ-შაჰა
და ხუთას ალაჯზე „ისმიაზამი“ დაწერინა და ხუთას კარზე აამართ-
ვინა, სარდალთა და ფალეეანთა ყოველს დიდი იმედი დაუდეა და
გაამხნევა და უთხრა; „ნუ შეესწუხდებით, დღეს ან ხვალ ღეთით ყო-
რამანი და მასთან მხლებელნი სხვა ფალეეანნიც მოგვეშველებიანო,
აბა მანამ მამაცად დაუხვდეთ. თქვენ ღმერთს ეეედრენით, ამ განსა-
ცდელისაგან მალე დაგვიხსნისო“. შარიბ-შაჰამ სარტყელში ჯაჭვის
კალთები გაიმაგრა და ყველა დასტებში მივიდა, აგრეთვე ყოველნი
დამედოენა და უთხრა: ნუ სწუხხართ მხოლოდ ღეთის ეედრებას ნუ
განიშორებთო, მაგათ რასაც ხედავთ ყოველი ჯადოს მანქანებაა, ყო-
ველნი მალე განქარედებიანო, მე ეხლა ციხის გარეთ გავალ. რა გა-
რეთ გავიდა ნახა რომ ფალეეანნი და სარდალნი მამაცად ციხეს გარს
ეელიან და ისმიაზამს ულოცეიდნენ და მისის ძალით ჯადოებს აქარ-
ევებენ. ოჰყალი ჯადომ ნახა რომ იმითაც ვერა გააწყორა, კვალად
უბიდამ ერთი ცხენის ძუა ამოიღო, შეჰბერა შეულოცა და ჰაერში
შეაგდო, ეს ძუა მრავალ ეეშპებად გადიქცნენ და ციხეზე მიიტანეს
ეერიში, ისე რომ სულ პირიდამ ცეცხლი აწვიმეს და ციხეში დენა
იწყო ცეცხლმა, მაგრამ ისმიაზამის ძალით ისინიც განქარედნენ. რა
შარიბ-შაჰასი ამისთანა მხნეობა იხილეს, შიგნითმა ლაშქარმა და
მტრისამ, ყოველმა დიდი ქება შეასხეს იმას და უშანგის ხელმწიფო-
ბას და იძახდნენ, თუმცა უშანგ ხელმწიფე ალარა ჰყავთ, მაგრამ
ერან-თურანს ისეთი პატრონი და მოშველელი გამოსჩენია რომ ოჰ-
ყალი-ჯადოს მანქანებამ მათ ვერა დაკლორაო, თუ ხელმწიფეს ეე-
ზირი ჰყავდეს ამისთანაო, რომ ამისთანა გაჭირეებულ მდგომარეო-
ბაში, ამისთანა ძალოვან მტერს, პირის-პირ უდგეს უშიშრად თვი-
�ს ხელოვნებითაო. ესე თქვეს ხინდელებმა და გაშტერებულნი

უყურებდნენ შარიბ-შახას მოქმედებას და თან ჰკვირობდნენ.

რა ოჰყალი-ჯადომ თეისი თაეი ისე ულონოდ ქმნილი იხილა, რომ თაეის ეშმაკობით და ჯადოებით ციხეს ეერა აენორა, ჰერიდამ ძირს ჩამოეიდა, ქეთან-შახა, სარჯანი-ჰინდი და გურგან-ბელადქამანი დაიბარა და უთხრა: „თქვენ ოცდა ცამეტი ათასი კაცით მოემზადენით, სულ ფოლადის იარაღით უნდა იყვნენ შეეურეილნი, სამ-ათასი გაწერთნილი სპილოც მოამზადეთ, მათაც ჯაჭვნი ჩააცეით ყოველსა და საომარნი დასტაჩუბები დაჰკიდეთ. ყარამიჯინს უბრძანა: „შენც ორმოცი ათასის მარდუხორმებით მოემზადე საომრადო“. თეითონაც ოჰყალი-ჯადომ თეისის ლაშქრიდამ ორასი-ათასი ჯადოები აარჩია და საომრად მოემზადნენ; გაწერთნილ სპილოებზე ციხეები დადგეს და ყოელის მხრიდამ საომარი იერიში მიიტანეს უშანგბათზე. ოჰყალიმ ყარამიჯინს უბრძანა, შენც თაჯახანის კარს მიადეგი ეგება როგორმე დასტაჩუბით კარი დაამტერიო, ათი-ათასი ჯადოც თან წაიყეანე რომ ეინიცობაა თუ შენზე იქიდამ მომაეალი ისარი ანუ ტეა ანუ სხვა რაიმე საომარი იარაღი იყოს მომაეალი, ესე ჯადონი განაქარეებენ და მათგან შენ განგარინებენო.

რა ყარამიჯინმა ესე მოისმინა ოჰყალისაგან, მაშინეე შაეი ფოლადით შეეურეა, თეისი დასტაჩუბი აიღო ხელთა, ათი-ათასი ჯადოთან წაიყეანა და თაჯახანის კარს მიადგა. რა მიუახლოედა და მს ციხეს შინა მყოფთა უშანგის ჰარემთა ყარამიჯინის მისელა იხილეს, რამდონსამე შიშისაგან ნაღველა გაუსკდათ და რამდონიმეც უცნობონი შეიქმნენ ყარამიჯინის ნახეით. ყარამიჯინმა მაშინეე შეუტია, ყოველის მხრიდამ ხმიანობა და კიეინა დასცეს, იერიში მიიტანეს, ისეთი კიეინის ხმა შეიქმნა, რომ მსმენელთათეის საზაროდ კმა იყო. მეციხოენეთა რა ესე იხილეს, მრაეალი საომარი იარაღი მოიღეს და გარედ მტრის ლაშქართა სროლა დაუწყეს, მაგრამ იგინი ეერაფერით უკუ ეერ აქციეს, ამ მიზეზით რომ ჯადონი თეისის ხელოენებით ულოცაედნენ და იმათზე მიმეალი იარაღი სინდელთ და მარდუხორმებს არას აენებდა.

ციხეში მყოფთა რა ესე იხილეს, თაეიანთ იარაღების მოუკიდებლობა, უმეტეს მწუხარებას მიეცნენ და თაეიანთ თაეისაგან ხელი აიღეს. რა ყარამიჯინმა თხრილთან მიაღწია, ოთხს თხრილს ზედ გადახლტა და მეხუთეში ჩაეარდა. იქიდამ მსწრაფლ ამოხტა, ციხესთან მიაღწია და სისხლის მსმელ ეეშაპსაეით ბრლეინაედა, გაჯაერებულმა თაეის დასტაჩუბი ისე მედგრად დაჰკრა თაჯახანის კარსა რომ იგი

ციხე სრულიად შეირყა და თაჯახანის მხრის გალავანმა დასაქცევად ზრიალი დაიწყო. როდესაც უშანგის ჰარემის ხათუმთა ესე გრგვნა გაიგეს ციხისა, თავნი მოიხადეს და ისეთი ტირილ-კივილი დაიწყეს რომ მათის მწუხარების ხმა ზეცამდის აღიწეოდა.

ოჰყალიმაც ორასი-ათასი სინდეთის ჯარი, ორასი-ათასი ჯადოხუთი ათასი მარდუხორმი, შეჰყარა და რაც სარანდიბის მთაში ერანელნი ხალხნი იყვნენ სუყველას მიესია, საბრალო ერან-თურანელთა მწუხარებისა და გოდების ხმა ზეცამდის აღიწია და მხოლოდ იმათი შემწე ღვთის მეტი არაფინ იყო, ყოველნი ისე დაწიოკა. შემდეგ ოჰყალი-ჯადომ ბრძანა: თაჯახანის კარის პირდაპირ ხუთასი ძელი (სახრჩობელა) ამართეთო და ზედ თოკები ჩამოჰკიდეთო. მხოლოდ ამათში ერთი ძლიერ მაღალი ძელი უნდა იყოსო, ისე რომ ამ ციხეზე უმაღლესი, როდესაც ძელები ამართეს, მაშინ მიეიდნენ და ეს ჯარები გარს შემოერტყნენ. იმ დროს ოჰყალი-ჯადომ შეუღლოცა და ჰაერში ერთი ტახტი დადგა, სინდისტნის, ხელმწიფე ქეთან-შაჰა, სარჯანი-ჰინდი და გურგან-ბელად-ქამანი მას ზედ დასხდნენ, რომ უკეთესად ეცქირნათ და ყოველიფე კარგად ენახათ. შემდეგ ოჰყალი-ჯადო ერთ ქვეყრზე შეჯდა, მათრახათ ერთი დიდი გველი იპყრა ხელთა, იმ ქვეყრიდამ მრავალი საშინელი უცხო და უცხო სხვა და სხვა რიგი ჯადოები გამოდიოდნენ, გველნი, ეშაპნი, ცეცხლი და სხვა და სხვა საშიშარნი სანახავნი მხეცნი. რა უშანგის ჰარემმა (მრავალ ცოლებმა) ესე იხილეს თავიანთ თავისაგან ხელი აიღეს. ოჰყალი-ჯადომ ბრძანა: უშანგ შაჰა და ერან-თურანელნი, ჩინელნი ვინცა ვინ იყვნენ ბყრობილნი ფალეანნი და სარდალნი ყოველიფე ჯაჭვებით შეკრულნი ძელებთან თრევით მიეყვანათ. ყოველნი დიდის ტანჯვით და წვალებით მოასხეს იგინი და ქეთან-შაჰას და ოჰყალი-ჯადოს წინ დააყენეს. შეხედა ნახა უშანგმა რომ ოჰყალი-ჯადოს გრძნებით ჰაერში ერთი ტახტი დაუდგაეს, ქეთან-შაჰა, სარჯანი-ჰინდი და გურგან-ბელად-ქამანი მას ზედ დაუსხვეს. ოჰყალი-ჯადო მრავალს რიგ საკვირველ ჯადოს მანქანებით, ცეცხლსა და საშინელ ეშაპებს აწვიმებს ციხეზე. ყარამ-ჯინიც განრისხებულ ეშაპსაკით ციხესთან ტრიალებს და თაჯახანის კარისთვის დასტარუბი დაუკრავს, ისე რომ ბურჯი და კედელი სრულიად დაძრულან. სარანდიბის მთაში მყოფ ერან-თურანელთა მწუხარება განუმრავლებიათ. როდესაც ალმართული ძელნიც იხილა, მაშინვე იგრძნო რომ თავიანთ ჩამოსახრჩობლად აღუმართვინებია.

მაშინ უშანგ-შაჰ დიდ საფიქრებელს ჩაეარდა და მაშინ ყოველ-
თაეის ცოდვანი თვალწინ წარმოიდგინა, თავი უფალს მიანდო და
თაეის ცოდვების მიტევებას ეეედრებოდა. ესე ყოველნი პყრობილ-
ნიც ღმერთს ეეედრებოდნენ, ამათაც ტირილისა და ვაების ხმანი
აღმოუტეევეს, ისეთი საცოდაობის ხმები შეჰქმნეს, რომ მათი მწუ-
ხარება ცამდის აღიწეოდა. ერთმანერთ ესალმებოდნენ და შენდობას
ითხოვდნენ. რა პყრობილთა ჭარემისაკენ მიიხედეს და თავიანთ ცოლ-
შეილი დაინახეს, ისინიც შორიდამ ტირილით ესალმებოდნენ. შა-
ჰიბ-შაჰამაც შემოხედა ციხიდამ ნახა რომ ხუთასამდის ძელები აე-
მართათ, იშანაც იგრძნო რომ ის ძელები პყრობილთათვის აემარ-
თათ დასახრჩობლად, მაშინ დიდ მწუხარებას მიეცა მაგრამ რას გა-
აწყობდა საბრალო? სხვებიც გოცებულნი უყურებდნენ, ხათუმთა
თავისა ცნობა მიჰფანტოდათ და ვაება შეექმნათ და ამბობდნენ, ეს
რა ღვთის რისხვა არისო ჩვენ თავსაო!? როცა დააკვირდნენ, ნახეს
რომ ჯაჭვებით შებორკილებული და შეკრული ერან-თურანის ხელმ-
წიფე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე ბრძანების მიმცემი ზღვისა
და ხმელეთის განმგებელი და შეიდის იყლიმის მპყრობელი უშანგ-
შაჰა მოათრიეს, რომელიც თვისის ძალით მრავალთა ფალეანთა
შემპყრობი და შეიდის დიდრონის სახელმწიფოების მპყრობელი,
მრავალთა გულოვანთა შემაბორკილებელი, ლომებრიე და ვეფხებ-
რიე გამჭრიახი ხელმწიფე. ამისთანა დიდებისა და პატივის პატრონი
უშანგი, ახლა კი თავშიშველი და შეკრული მოჰყავთ ვითა ერთი
უკანასკნელი ტყვეა და მოათრეეედნენ შეუწყნარებლიე და ბერეთვე
ბოშელნიც ერანელნი, თურანელნი და რუბიმასკუნელნი ფალეანნი
და სარდალნი იყვნენ, მათაც უკან მოათრეეედნენ ჯაჭვებით შებორ-
კილებულნი ცემა-ტყეპით და აღმართულ ძელებთან დააყენეს. რა
ბათუმთაც იხილეს, იგინიც მაშინვე მიხედნენ და იგრძნეს რომ ძე-
ლებზე უნდა ჩამოჰკიდონო, მკერდ გადახეულნი და თმა ზილფების
გლეჯით ტიროდნენ და იგლიჯებოდნენ, ისე რომ მათი ხმისაგან სა-
რანდიბის მთა ირყეოდა. იმათი საცოდაობით ქვებიც კი ტიროდნენ.
რა უშანგის ბირველმა სატრფო ცოლმა დიშლად დედოფალმა იმ
მდგომარეობაში იხილა თავის ბეირგეინოსანი უშანგი, მეტის მწუხა-
რებისაგან არ იცოდა თუ რა ექმნა, მაშინვე ხანჯალ ხელი გაიკრა
და უნდოდა რომ თავი თვისი მოეკლა, მაგრამ სხვათა ხათუმთა არ
გაუშვეს და ხანჯალი ხელთაგან წაართვეს და იმედი დაუდეს მრა-
ვალი.

რა შარიბ-შაჰამ თეისი ძმა ამ მდგომარეობაში იხილა სხვა ეერა მოახერხა რა, მწუხარებისაგან პირქვე დაემხო და ცრემლის დენით ღმერთს ეეედრებოდა მისის განრინებისათვის.

ოჰყალი-ჯადომ პყრობილნი რომ ძელებთან მიაყვანინა, უშანგ-ბათისაკენ გაბრუნდა და ციხეში მყოფთა შესძახა! „ჰეი ერანელნო და თურანელნო და დეშტიყიფჩაღელნო! მაგ ციხეს რომ შეჰყარეგიხართ რას ფიქრობთ? უბრალოა თქვენი გამაგრება მანდ! ქვითა და მიწით აგებული ციხე თქვენ ვერ დაგიფარავთ, უბრალოდ ნუ იხოცებით გამოდით თუ ჭკუა გაქვთ, თორემ ერთ რასმეს შეულოცავ მაგ თქვენ ციხეს და შიგ მყოფითურთ ძირიანად მოვგლეჯავ და ოკეანეს ზღვაში გადავაგდებ და ყოველს ისე დაგლუპავთო“. შემდეგ ჯალათებს უბრძანა და უშანგ-შაჰა ძელზე ჩამოსაკიდებლად მიიყვანეს. როდესაც შარიბ-შაჰამ ესე იხილა, უნდოდა რომ თვითონაც გადმოვარდნილიყო ციხიდამ და თავი მოეკლა, მაგრამ ზორაბ-შაჰამ ხელი სტაცა და დაიჭერა, შარიბ-შაჰა ეხვეწებოდა რომ თავი მიენებებინა და სთხოვდა, ალარ მინდა ამას ქვით სიცოცხლეო, ჩემი ძმის უშანგის შემდეგაო. ან ყოველნი გავიდეთ და ციხე მივანებოთო და ჩვენც ჩვენს ხელმწიფესთან დავიხოცნეთ ყოველნიო.

მუზამფარ-შაჰამ ამისთანა საქმის ნება არ დართო და უთხრა: „ჩვენ მაგას კი ნუ ეიქმთ რომ ციხე დავანებოთ, თუ ციხეს დავანებებთ საქმე უფრო ცუდათ წაგვიეაო, ამისთვის რომ ჩვენს ცოლშვილს ჩვენს თვალწინ გაბილწებენო. მოდი ჩვენ ციხის კარი გავაღოთ, ხლმებს ხელი მივყოთ გავსცეიდეთ და ჩვენ საყვარელ ხელმწიფესთან ერთად დავიხოცნეთო“. ამისთანა რჩევა სჯაში რომ იყენენ, შარიბ-შაჰამ და სხვათა შეხედეს ნახეს რომ შირფანჯა და ასიმ აიარი ჯალათებში იდგნენ და „ისმიაზამის“ თქმით ჯალათებს ულოცავდნენ და რომელი ჯალათიც უშანგს მიუახლოვდებოდა, ალმასის ნაჯახს შემოჰკრავდნენ და თავს გაგდებინებდნენ ხოლმე. სამი ჯალათი შირფანჯამ მოკლა და ორი ასიმმა. ოჰყალი-ჯადო ხედავდა რომ რომელი ჯალათიც უახლოვდებოდა ყველა იხოცებოდა, ამაზე უკვირდა და ჯავრი მოსდიოდა. უშანგ-შაჰამ შირფანჯასი და ასიმის ესეთი ერთგულობა რომ ნახა, დიდად დაუმადლა და გულსა თვისსა მცირე იმედი მიიცა.

როდესაც ოჰყალი-ჯადომ იმათი ამ გვარი წინააღმდეგობა იხილა, შეულოცა, ასიმი და შირფანჯა, ყორნებად გადააქცია, შემდეგ უბიდამ ერთი ფრინველის ფრთა ამოიღო, შეულოცა და ჰაერიდამ ჩა-

მოაგდო, იგი ფრთა მიმინოთ იქცა, მათ ორთა ყორანთა შეუტია და მრავალი სცემა, შემდეგ ორნივ ყორანნი აღფრინდნენ და ცი-ზისაკენ წაიღნენ.

ოჰყალი-ჯადომ მსწრაფად შეუალოცა პყრობილებს და იმ პყრობილების სახეები იმ აღმართულ ძელებზედ გამოიხატნენ. მნახველთა ისე ეგონა ხელმწიფე უშანგი და სხვანი პროობილნი მათზე ჩამოკიდებო რა ერანელთა და თურანელთა უშანგ-შაჰა ძელზე ჩამოკიდებული იხილეს, უნამეტნაესი მწუხარება განამრავლეს და იძახდნენ: „ეაჰ ჩვენს თვალებსა რომ ამას ეხედავთო! ესე სახელოვანს და მრავალ რიგად გამარჯვებულ ხელმწიფეს ამისთანა მდგომარეობაში ეხედავთ და ფერასა ეშველითო. ესე ყოველი ჩვენი ცოდვისა გან მოხდაო. ესეთი გლოვით და მოთქმით ტირილი შეექმნათ ყოველთა უშანგის ქვეშევრდომთა. შარიბ-შაჰას ხომ მეტის-მეტი მწუხარებისაგან ცნობა მიხდომდა და გარინდებულიყო; ხან წინ წარსდგებოდა, გადაეარდნას დააპირებდა, ხან უკან დადგებოდა. ამ ყმაც განრისხებულმა ყარამიჯინმა თავის მძიმე ტასტარები საძჯერ თავს შემოიელო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კეალად დაჰკრა და თაჯაბანის კარის ცალი მხარე ჩამოაქცია და უნდოდა რომ ერთი მხრიდამ მაინც როგორმე უშანგბათში შესულიყო. მაშინ მეციხოვენი წინ მოეგებნენ და საშინელი ომი ასტეხეს. შარიბ-შაჰამ და სხვათა ფალეევანთა ნახეს რომ ყაზამფარ-ხათი (რომელიც ოჰყალი-ჯადომ თეთრ ძალლად გადაქცია), იმ ჯარში დაეიდოდა ისევ ძალლის სახედ და ყველას ფერხთქვეშ ეხვეოდა და ეედრებასაეით ჩალასაც მოქმედებდა. ეს ძალლი უშანგ-შაჰასთანაც მიეიდა, ფეხნი აულოკა და პირი მიწას მოუთრია, ხელმწიფე უშანგმა მაშინვე იცნო რომ ეს ყაზამფარ-ხათი იყო; თვალთაგან ცრემლი გადმოედინა და ვალლა შეხედა ზეცას და ღმერთს ვედრება დაუწყო—ესე სთქვა:

„ჰე, საბაოთ ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო! ამას გვედრები რომ დაიხსნა ამ გაჭირვებისაგან ერან-თურანის და დეშტ-ყიფჩაღის ტალხი და ჩემი გამოხსნა და სიცოცხლე ქითა შენი ნება იყოს ისე ასრულდეს“. „მე დიდი შემცოდე ვარ წინაშე შენი ღ ამიტომ სამართალი შემომეგო. და ეხლა აღვითქვამ რომ უკეთუ ამ განსაცდელს გადავრჩე ჩემის ხალხით და ფალეევნებით, ყოველნი შეცოდებისაგან ხელი აეიღო“.

(გაგრძელება მეოთხე კარში იხილე).

შინაარსი.

რაჰინდის ძმის სინდთა ხელმწიფის ქეთან-შაჰას მოსელა უშანგის საბრძოლველად ურიცხვი ჯარით.—ხოსროეშირისა და გულჩინის ამბავი.—ქეთან-შაჰისაგან ყარამიჯინისა და ოჰყალი-ჯაღის მოყვანა მათ საბრძოლველად.—ხოსროეშირისაგან ნადირობად წასელა და გულჩინის ომი სარანდიბის მთაზედ.—ხოსროეშირისა და გულჩინის ომი ერთი მეორესთან ლაშქარში.—უგაზელი ხელმწიფის სეილან-შაჰას მოსელა ასი ათასის უგაზელი ლაშქრით უშანგის შემწედ.—ხორასნის ხელმწიფის მოსელა თავის ფალეენებით უშანგის შემწედ შაჰარი ლოლის მხრიდამ.—შვიდი ხელმწიფის მოსელა უშანგის შემწედ.—ხოსროეშირისა და გულჩინის ომი და ასიმის მოსელა ხოსროეშირის წინაშე.—ხოსროეშირის მოსელა უშანგის წინაშე.—ხოსროეშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდეთის ლაშქარში გულჩინის საცნობელად და ასიმისაგან ხოსროეშირის ძაგება.—გულჩინისა და ერანელთა ომი ძლიერი.—ოთხი სულთნის მოსელა უშანგის შემწედ.—ასიმისაგან ხოსროეშირის ძაგება გულჩინის წინაშე.—ომი გულჩინისა და ხოსროეშირისა, ოდეს სარჯანი გადმოეარდნილი იხილა.—ქეთან-შაჰისაგან გურგანის ელჩად გაგზავნა, გულჩინის მამის გამოსახსნელად.—ხოსროეშირისაგან ასიმის გაგზავნა სინდთა ლაშქარში გულჩინის საცნობლად.—ასიმის მოსელა ხოსროეშირის წინაშე.—ომი ერანელთა და სინდელთა.—ხოსროეშირისა და გულჩინის ერთად შეყრა.—გულჩინისაგან ხოსროეშირის მოპატიჟება თავის შეჯლისში და ასიმის საკვდილის პატიება, ხოსროეშირისაგან გულჩინის ეშხზე მეჯლისის გამართვა და ასიმისაგან ხისა და ჯამის მოართმევა ფოთლიანი.—ყარამიჯინის მოსელა თავის ლაშქრით.—ხოსროეშირისაგან ქეთან-შაჰას მეჯლისისაკენ გამზადება და ყარამიჯინის ლახტის აღება.—ყარამიჯინის და ქეთან-შაჰის ამბავი.—ომი უშანგისა და ყარამიჯინისა და მრავალთა ფალეენთა დახოცვა.—ომი ხო-

სროეშირისა და ყარამიჯინისა ძლიერი.—ომი გულჩინისა და ყარა-
მიჯინისა.—ომი ხოსროეშირისა და ყარამიჯინისა.—ოჰყალი-ჯადოს
ამბავი ქეთან-შაჰის წინაშე.—ოჰყალი-ჯადოს მოსელა ქეთან-შაჰის
შემწედ.—ომი უშანგისა და სინდელთ ხელმწიფისა ქეთან-შაჰისა.—
ოჰყალი-ჯადოსაგან გრძნებით დაბრმაევება მრაველთა ფალევანთა და
შეპყრობა ხოსროეშირისა და გულჩინისა.—ქეთან-შაჰისაგან გურგა-
ნის უშანგთან გაგზავნა და ოჰყალი-ჯადოს თან გაყოლა საღალა-
ტოთ.—ოჰყალი-ჯადოსაგან და თეისთა შაგირდთაგან დაბრმაევება
უშანგის სარდლებისა და ფალევნებისა და მრაველთა ჯართა შე-
პყრობა.—ოჰყალი-ჯადოსაგან მრაველის ჯადოების შექმნა.